ლელო
№021 (12 398) 28 იანვარი ორშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

# ზვიადაურის დაბრუნება



ნუგზარ სუარიძის ფოტო

ირაკლი თავაძე

ძიუდოისტთა წლევანდელმა სალიცენზიო მსოფლიო თასმა სრული ანშლაგით ჩაიარა. ტურნირი მართლაც მაღალი რანგისა გამოდგა და ყოველმხრივ წარმატებული აღმოჩნდა - მოჭიდავეთა შემადგენლობით, გუნდების რაოდენობით თუ სანახაობრივ შეხვედრებით. თბილისის სპორტის სასახლეში მსოფლიოს 40-მდე ნაკრების 252 სპორტსმენი ჭიდაობდა, რომელთა შორისაც 3 ოლიმპიური და 5 მსოფლიო ჩემპიონი იყო. ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში საქართველოს ნაკრებმა 3 ოქროს, ამდენივე ბრინჯაოს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩემპიონები **ზაზა კედელაშვილი** (66), **ზურაბ ზვიადაური** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) გახდნენ, ვერცხლი **ირაკლი ცირეკიძეს** (90) ერგო, მესამეზე კი **დავით კუპრაშვილი** (73), **ვარლამ ლიპარტელიანი** (90) და **ადამ ოქრუაშვილი** (+100) გავიდნენ.

როგორც ვხედავთ, ჩვენმა ნაკრებმა ყველაზე კარგად 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში იჭიდავა, სადაც 4-დან 3 მოჭიდავე კვარცხლბეკზე ავიდა, ხოლო კედელაშვილმა, პრაქტიკულად, გაინაღდა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია. ამასთან, აღსანიშნავია ზვიადაურის დაბრუნებაც.

ზვიადაურის ამ გამარჯვებამ ათენის ოლიმპიადა გამახსენა - სრულ ფორმაში იგი არც მაშინ იყო, მაგრამ მაინც აჯობა ყველას. ტურნირის დაწყებამდე თავადაც ამბობდა და არც მისი პირადი მწვრთნელი, იმავდროულად, ნაკრების თავკაცი **შოთა ხაბარელიც** აღიარებდა, რომ ფორმაში არ იყო და ეს მისთვის სასტარტო ტურნირი უნდა ყოფილიყო, მედალზე კი არც ფიქრობდნენ. საბოლოოდ, მადა ჭამაში მოდისო, ზვიადაურსაც ისე მოუვიდა...

ოლიმპიური ჩემპიონი ფიზიკურად აშკარად არაა ფორმაში. ფიზმომზადება მისთვის იმ დიდების წლებშიც კი „აქილევსის ქუსლი" იყო, არათუ ახლა, ამდენი ტრავმების, ოპერაციებისა თუ გაცდენილი პერიოდის შემდეგ. ამ პირობებში ზვიადაურმა ოპტიმალური სტილით იჭიდავა - უფრო ტაქტიკურად და ნაკლები ენერგიის დახარჯვით. უდიდესი გამოცდილების სპორტსმენს ძალების დაზოგვა სხვისგან არ ესწავლება და საკუთარი შესაძლებლობები მთელ ტურნირზე მშვენივრად გადაანაწილა. იგი არ ჭიდაობდა იმ სტილში, რაც მისგან დიდ ძალას მოითხოვდა, თუმცა საცოდაობა იქნება, სანახაობრივი მხარე დავუწუნოთ. ყველაფრის მიუხედავად, მის გამოსვლებს სილამაზე მაინც არ აკლდა, რადგან ტექნიკით ბუნებამ უხვად დააჯილდოვა. იქნებ გდებების წარმატებით დასასრულებლად ძალა ხშირად ღალატობდა, მაგრამ მაინც ტექნიკური სტილის ერთგული დარჩა.

ზვიადაურს ტრადიციულად უჭირს ტურნირის დაწყება - ვერ იხსნება და პირველი შეხვედრას შედარებით სუსტად ატარებს. ახლაც ასე მოხდა - თავიდან სლოვაკ **მილან რანდლის** დასამარცხებლად დამატებითი დრო დასჭირდა, მერე კი ზედიზედ ორი იპონი მიითვალა - თურქ **მაჰმუდ სარისა** და იაპონელ **საიკო სეიტოსთან.** დაგვეთანხმებით, იაპონელთან მოგება ძიუდოში ძალის საზომად მიიჩნევა, ჩვენ კი დავძენთ, რომ საიტო თავისი ქვეყნის ჩემპიონია.

10



## ლევან გორგოძე ქურიოს ჩემპიონია

სუმო. იანვრის ბაშო 11

# ცქიტიშვილმა ბირმინგემში უკვე ორჯერ ივარჯიშა

## კონტრაქტის გაფორმება 31 იანვრამდე უნდა მოესწროს

ბირმინგემელებს კარგად ვეყოლები შესწავლილი. ახლა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა აინტერესებთ

ინტერვიუ ლევან ცქიტიშვილთან 3



## რა ხდება ბორჯომში სახელმწიფო ტერორი თუ გაუგებრობა?

ტარიელ ფერაძე: პროკურატურამ არ მომცა გუნდის დაფინანსების ნებართვა 3

საქართველო-ლატვია

# ელიავა მენთეშაშვილისა და ღვინიანიძის ნაცვლად

ლატვიასთან 6 თებერვლის მატჩისთვის შემადგენლობის გამოცხადებიდან ორ დღეში საქართველოს ნაკრებს ორი ფეხბურთელი გამოაკლდა - "ვენტსპილსის" ნახევარმცველ **ზურაბ მენთეშაშვილს** ბარძაყის ტრავმამ შეახსენა თავი, "მიუნხენ 1860"-ის მცველ **მათე ღვინიანიძეს** კი მუხლის ტრავმა აწუხებს. მათ ნაცვლად **კლაუს ტოპმიოლერმა** ნაკრებში რიგის "სკონტოს" მცველ **ზაალ ელიავას** უხმო.

**დავით ცაგაძე**


ზაალ ელიავა ნაკრებს დაუბრუნდა

ინტერვიუ ლევან ცქიტიშვილთან

# ცქიტიშვილმა ბირმინგემში უკვე ორჯერ ივარჯიშა

## დღეს მასთან გიორგი ნემსაძეც მივა



საქართველოს ეროვნული ნაკრების 31 წლის შუახაზელი ლევან ცქიტიშვილი პრემიერლიგის „ბირმინგემში" რომ აპირებს მოწყობას, ადრეც გაუწყეთ.

გუშინწინ პრემიერლიგაში ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნი" „ასტონ ვილას" სტუმრად 1:1 დაუზავდა, ზურას მცირე ტრავმა ჰქონდა და სათადარიგო იყო. ამ მატჩზე ბირმინგემიდან ლევან ცქიტიშვილი და „ბირმინგემის" თავკაცი ალექს მაკლიში დაესწრნენ. ხიზანიშვილმა გვითხრა, მაკლიშს თამაშის წინ ვესაუბრე, ცქიტიშვილზე რალაც-რალაცეები გამომკითხა და შევატყვე, რომ მას კარგი თვალით უყურებს.

გუშინ კი ცქიტიშვილს ბირმინგემში დავურეკეთ:

- მოლოდინში ვარ, სატრანსფერო ფანჯარა 31 იანვარს იხურება და მანამდე უნდა მოესწროს ყველაფერი.

**- „ბირმინგემში" უკვე ივარჯიშე?**

- პირველად პარასკევს, მეორედ კი - დღეს.

**- თითქმის ნახევარი სეზონია, უგუნდოდ ხარ - როგორ ჩაიარა ბირმინგემულმა ვარჯიშმა?**

- „ბირმინგემშიც" იციან, რომ ნახევარი ნელი უგუნდოდ ვიყავი და ამას ითვალისწინებენ. რა თქმა უნდა, საუკეთესო კონდიციაში ჯერ ვერ ვიქნები. ახლა სამედიცინო შემოწმებას გავივლი და ვნახოთ, რა იქნება.

**- როგორ ფიქრობ, „ბირმინგემთან" კონტრაქტის გაფორმებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი რა იქნება?**

- „ბირმინგემში" იციან, თუ რა ფეხბურთელი ვარ. ვფიქრობ, ბირმინგემელებს კარგად ვეყოლები შესწავლილი. ახლა მათ ძალიან აინტერესებთ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

**- „ბირმინგემში" როგორ, ვისი დახმარებით აღმოჩნდი?**

- გიორგი ნემსაძე თავის ნაცნობ შოტლანდიელ აგენტს დაუკავშირდა და ჩემს შესახებ ამცნო, ის აგენტი კი „ბირმინგემს" დაუკავშირდა და ბირმინგემელებმაც თვითონ მიმიწვიეს. ხვალ კი აქ ნემსაძეც ჩამოვა.

**ვდავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

კლუბები

# ლოკომოტივის თურქული სპარინგები

თბილისის „ლოკომოტივი" ორკვირიან შეკრებაზეა თურქეთის საკურორტო ქალაქ ქემერში. რკინიგზელებმა უკვე ჩაატარეს პირველი საკონტროლო შეხვედრა. მათი მეტოქე თურქეთის დაბალი დივიზიონის ბინადარი „ქექეროვა-2" იყო. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ფრედ, 1:1 დასრულდა. „ლოკომოტივის" შემადგენლობიდან მეტოქის კარი ახალწვეულმა **გიორგი ქუცურუამ** დალაშქრა.

მომდევნო თამაში **გიორგი კიკნაძის** გუნდმა ალბანური „ტირანას" წინააღმდეგ გამართა და არაერთი საგოლე შანსის მიუხედავად, 0:1 დამარცხდა. ამ შეხვედრაში „ლოკომოტივს" **ირაკლი სამხარაძე** გაუძევეს.

გუშინ თბილისურ კლუბს გერმანულ „კიკერს ემდენთან" უნდა ეთამაშა. 29 იანვარს „ლოკომოტივის" მეტოქე მინსკის „ლოკომოტივი" იქნება, 31 იანვარს კი რუმინეთის „სპორტული". რკინიგზელები საქართველოში 3 თებერვალს დაბრუნდებიან.

აქვე გეტყვით, რომ **დავით გვარამაძის** ნაცვლად, რომელმაც კარიერა დაასრულა, „ლოკომოტივმა" რუსთავის „ოლიმპის" ყოფილი მეკარე **მიხეილ ალავიძე** დაიმატა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


გოგი ფიფია

# ფიფია ზესტაფონში დაბრუნდა

**გოგი ფიფია**, რომელიც ორი კვირის განმავლობაში დნეპროპეტროვსკის „დნეპრში" ისინჯებოდა, „ზესტაფონს" დაუბრუნდა და სავარაუდოდ, მიმდინარე სეზონს იქვე ჩაამთავრებს. ფიფია ფეროელებს პირდაპირ თურქეთში, შეკრებაზე შეუერთდა.

თურქეთში „ზესტაფონი" „არკადიის" თასზე ითამაშებს. 1 თებერვალს იმერელთა პირველი მეტოქე ვლადიკავკაზის „ალანია" იქნება, 3 თებერვალს „ზესტაფონი" რუმინულ „პანდურიის" შეხვდება, 5-ში კი უნგრულ „დებრეცენს". თუ **თემურ მახარაძის** გუნდმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, 8 თებერვალს ტურნირის ფინალში ითამაშებს, ჯგუფის მეორეადგილოსნები კი მესამე საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებენ.

ალბათ, „ზესტაფონის" თავდასხმის ხაზს ახალი ალარავინ შეემატება. პირველი წრის შემდეგ გუნდი იჯარით აყვანილმა **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ** დატოვა, მის შემცვლელად კამერუნელი **ერიკ რომეო ჩასემის** გადაბირება ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ, „ზესტაფონს" „ვიტ ჯორჯიიდან" **ნიკოლოზ გელაშვილმა** მიაშურა.

# სიმურგს ჯორჯიამაც აჯობა

თბილისურ შეკრებაზე მყოფმა „სიმურგმა" მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. აზერბაიჯანული კლუბის მეტოქე ამჯერად „ვიტ ჯორჯია" იყო. ისევე როგორც „ზესტაფონი"-"სიმურგი" (1:0 ფეროელთა სასარგებლოდ), თამაში ავჭალაში, „სინათლეზე" ჩატარდა. შეხვედრა ვეტერინართა აშკარა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, 3:1 დასრულდა. „ჯორჯიას" რიგებიდან თავი **კლიმიაშვილმა, კვალინიძემ** და **ლიპარტიამ** (პენალტით) გამოიჩინეს, შესაბამისად, მე-2, 74-ე და 84-ე წუთებზე.

„ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობა ასეთი იყო:

პირველი ტაიმი: **ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, მელქაძე, სახოკია, ლუჭაშვილი.**

მეორე ტაიმი: **ღურბელეიშვილი, თ. ლონლაძე, ადამაძე, კასრაძე, გურული, ინჯგია, მაისაშვილი, კვალინიძე, ლიპარტია, ბერიაშვილი, ცხადაძე.**

2 თებერვალს „ვიტ ჯორჯია" თბილისის „სპარტაკს" ეთამაშება, მეორე დღეს კი თურქეთში მიემგზავრება შეკრებაზე. მუმლაძის გუნდი იქიდან სხვებზე გვიან დაბრუნდება, რადგან ქართული სეზონი 17 თებერვალს თასის მეოთხედფინალებით განახლდება, ამ ტიტულისთვის ბრძოლა კი „ვიტ ჯორჯიამ" ნაადრევად შეწყვიტა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ბორჯომი

# სახელმწიფო ტერორი თუ გაუგებრობა?

ქართულ ფეხბურთში რა არ მომხდარა, მაგრამ ახლა განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: გუნდს ჰყავს სპონსორი, რომელიც უარს არ ამბობს გუნდის დაფინანსებაზე, მაგრამ დაფინანსების საშუალებას არ აძლევენ.

ჯერ კიდევ შარშან ითქვა, „ბორჯომს" სპონსორი გამოუჩნდა და გუნდის ნორმალურ არსებობას საფრთხე არ ემუქრებაო.

2007-08 წლების სეზონის დაწყების წინ „ბორჯომმა" საგარანტიო ფურცელიც წარადგინა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, რომლითაც „ბორჯომს" ამ სეზონში არანაირი ფინანსური პრობლემა არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ...

ახლა „ბორჯომი" უფულოდ და უპატრონოდაა. საშუასეზონო პერიოდში უსახსრობის გამო არ შეკრებილა და სეზონის მეორე ეტაპზე ფარმ-კლუბით, ანუ თინეიჯერებით აპირებს თამაშს. არადა, გუნდი მეოთხე ადგილზეა და თასის მეოთხედფინალშია გასული.

ჯერ სრულად ვერ გავარკვიეთ, თუ რა ხდება „ბორჯომში", მაგრამ მეტად საყურადღებო, შეიძლება ითქვას, სენსაციურ ინფორმაციას კი მივაკვლიეთ.

გუშინ ტელეფონით ვესაუბრეთ „ბორჯომის" სპონსორს, ბიზნესმენ ტარიელ ფერაძეს.

- შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ „ბორჯომის" სპონსორი მე ვარ, ამის სათანადო დოკუმენტიაც არსებობს.

**- მაშინ, რატომ არ ასპონსორებთ გუნდს?**

- პროკურატურამ არ მომცა გუნდის დაფინანსების ნებართვა.

**- რა მოტივით აგიკრძალათ პროკურატურამ კლუბის დაფინანსება?**

- აჯობებს, სხვა რამეში ჩადო ფულიო - ასე მითხრეს.

**- მერედა როგორია თქვენი პოზიცია?**

- რა თქმა უნდა, ყოველივე ამასთან დაკავშირებით მაქვს ჩემი პოზიცია და ვეცდები, გავერკვე ყველაფერში.

**- „ბორჯომის" დაფინანსების სურვილი ისევ გაქვთ?**

- რა თქმა უნდა, ეს ჩემი მოვალეობაცაა.

**- რას გულისხმობთ?**

- ბორჯომში მიწის ნაკვეთი შევიძინე, სადაც მშენებლობა უნდა დავიწყო, მაგრამ მშენებლობის ნებართვას არ მაძლევენ. ერთი წელია, ასეთი სიტუაციაა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა კი ასეთია - მშენებლობას თუ დავიწყებ, მაშინ გუნდიც უნდა დავაფინანსო, თუმცა ვერც ერთს ვაკეთებ და ვერც - მეორეს. გამგებელთან ვაპირებ შეხვედრას, საქართველოში ახლახანს ჩამოვედი.

**- რომელი პროკურორი არ გაძლევთ „ბორჯომის" დასპონსორების ნებას?**

- იმედი მაქვს, ყველაფერი მოგვარდება. როგორც ბიზნესმენი, უკრაინაშიც ვმოღვაწეობ და საქართველოში სისტემატურად არ მიწევს ყოფნა. ახლა აქ იმიტომაც ჩამოვედი, რომ ჩემს ბორჯომულ საქმეებსაც მივხედო.

აი, ასე უკულმართადაა ჯერჯერობით საქმე „ბორჯომში". ძალიან საინტერესოა, რომელმა პროკურორმა აუკრძალა ბიზნესმენს საფეხბურთო კლუბის დაფინანსება და საერთოდ, რა უფლება აქვს პროკურორს ასეთი რამე გააკეთოს. არა გვგონია, ბიზნესმენმა კონტრაქტი დაარღვიოს მაშინ, როცა ეს მის ინტერესებში არ შედის, თანაც, როცა ხელშეკრულება სახელმწიფოსთან აქვს დადებული.

გაგრძელება, ალბათ, იქნება.

**დავით თავართქილაძე**

# დერბი ამერმა მოიგო

„ამერისთვის" „მერანთან" ჩატარებული საკონტროლო მატჩიც წარმატებული გამოდგა. დავით ეჯიბიშვილის გუნდმა გიორგი ჩიხრაძის ფეხბურთელებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 0:2 დამარცხდა. გლდანელთანაგ გოლები რევაზ გოცირიძემ და დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანეს, 34-ე და 47-ე წუთებზე.

მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, თავბერიძე, გიგაური, სარალიძე (46. შველიძე), ჯანგიძე (46. ტყეშელაშვილი), ქემაშვილი (46. ბაკურაძე), ფურთუხია (46. ქოქიაშვილი), იაგო დეისაძე (46. რეხვიაშვილი), ჟლენტი (46. ყრუაშვილი), გოჩაშვილი (46. იაკობ დეისაძე)

ამერი: ნადირაშვილი (46. ქვაჩახია, 80. გვენცაძე), კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე (46. გვაძაბია), ელბაქიძე, მესხი (46. დობროვოლსკი, 70. ხუციძე), დოლიძე (23. ალავიძე, 70. ცხოვრებაშვილი), ბოლქვაძე (46. დეკანოსიძე, 80. ფარჩუკიშვილი), სილაგავა (46. შალამბერიძე), დავითაშვილი (46. ტატანაშვილი), რ. გოცირიძე (46. ხარაძე, 75. ჩიმაკაძე).



ინტერვიუ ბაქარ მირცხულავასთან

# სპარტაკს ბენფიკა ვამჯობინე

ცოტა ხნის ნინათ პორტუგალიური გრანდი ლისაბონის „ბენფიკა" საქართველოს 17 წლამდე ნაკრების ფეხბურთელებით ბაქარ მირცხულავათი და ნიკა ძალამიძით დაინტერესდა. პორტუგალიელებმა ქართველი ფეხბურთელები სინჯებზე მიიწვიეს, რის შემდეგაც მათი გუნდში დატოვება გადაწყვიტეს.

ბაქარ მირცხუილავა და ნიკა ძალამიძე რამდენიმე დღეში პორტუგალიაში გაემგზავრებიან და „ბენფიკას" 17 წლამდელთა გუნდში ჩაირიცხებიან. ძალამიძე ნახევარმცველია და აქამდე ზუგდიდის „ბაიაში" თამაშობდა.Nბაქარ მირცხულავა კი ამპლუით მცველია და დღემდე ქუთაისის „ტორპედოში" ასპარეზობდა.

„ბენფიკას" საფეხბურთო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში და სასიხარულოა, რომ იქ ორი ქართველი ახალგაზრდა ითამაშებს. ორივე მათგანი ჰერბერტ ცანკერმა აღმოაჩინა საქართველოს რეგიონებში ნიჭიერი ბავშვების ძებნისას. გუშინ ბაქარ მირცხულავას ქუთაისში შევხვდით და გავესაუბრეთ.

**- როგორ მოხვდით ლისაბონის „ბენფიკის" ინტერესის სფეროში?**

- შარშან სექტემბერში 17 წლამდელთა ნაკრებთან ერთად პორტუგალიაში შეკრებაზე ვიყავი. იქ პორტუგალიელ თანატოლებთან ორი ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ. პირველ მატჩში 2:1 გავიმარჯვეთ, მეორეში კი 1:0 დავმარცხდით. თავი კარგად წარმოვაჩინეთ და როგორც ჩანს „ბენფიკას" სელექციონერებმა იქ დაგვადგეს თვალი. პორტუგალიიდან ბულგარეთში ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე სათამაშოდ გავემგზავრეთ. პორტუგალიელი მენეჯერი იქაც გამოგვყოლია. შემდეგ თბილისშიც ჩამოსულა და რუსეთის 17 წლამდელთა ნაკრების წინააღმდეგაც დაგვაკვირდა.

**- როდის გაიგეთ რომ თქვენით ლისაბონის „ბენფიკა" იყო დაინტერესებული?**

- ცოტა ხანში პორტუგალიელ 17-წლამდელებთან კიდევ გავმართეთ ორი ამხანაგური მატჩი. ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით 0:0 დასრულდა. იქ გვითხრა ნაკრები გუნდების მენეჯერმა თამაზ ბოკერიამ, პორტუგალიელები გაკვირდებიან და თქვენი სინჯებზე მიწვევა უნდათო. ჩამოვედით და 10 დღეში ისევ ლისაბონში გავბრუნდით. „ბენფიკას" 17 წლამდელთა გუნდში ორკვირიანი სინჯები გვქონდა. მწვრთნელებს თავი მოვაწონეთ და გუნდში დარჩენა შემოგვთავაზეს. ძალიან თბილად გვექცეოდნენ. Kლუბის მუზეუმი დაგვათვალიერებინეს და სხვა ღირშესანიშნაობებიც გვანახეს.

**- კონტრაქტი უკვე გააფორმეთ?**

- ევროპაში სატრანსფერო სეზონი 31 იანვარს იხურება და ხელშეკრულება იქამდე უნდა გავაფორმოთ. მცირეწლოვანები ვართ და კონტრაქტზე მშობლებმა უნდა მოაწერონ ხელი. ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილია, პორტუგალიაში 2-3 დღეში გავემგზავრებით და „ბენფიკას" 17-წლამდელთა გუნდის წევრები გავხდებით.

**- პორტუგალიური გარემო როგორ მოგეწონა?**

- იქ ფეხბურთელის გასაზრდელად ყველანაირი პირობაა შექმნილი. გამიმართლა ამ გუნდში რომ მოვხვდი. ახლა ყველაფერი ჩემზე იქნება დამოკიდებული. სახლიდან შორს რთულია ყოფნა, მაგრამ იქ ისეთი პირობებია, რომ ფეხბურთის გარდა არაფერზე ფიქრობ. კარგი შანსი გამიჩნდა დიდი ფეხბურთი ვითამაშო და ამისთვის ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ.

**- თქვენს გარდა სხვა უცხოელები თუ აიყვანეს?**

- ძალიან ბევრ ახალგაზრდას აკვირდებოდნენ, თუმცა საბოლოოდ მე, ნიკა ძალამიძე და ერთი ბრაზილიელი ამოგვარჩიეს.

**- პორტუგალიაში ნანახიდან გამომდინარე, ქართველ და პორტუგალიელ ჭაბუკებს შორის დიდი სხვაობაა?**

- ამ ასაკში სათამაშო კლასზე საუბარი ძნელია. დიდი სხვაობა ნამდვილად არ მიგვრძნია, მაგრამ პორტუგალიელები აშკარად უფრო სწრაფ ფეხბურთს თამაშობენ და ტაქტიკურადაც ჩვენზე უკეთ არიან მომზადებული.

**- რამდენად შეეწყვე მათ სტილს?**

- იქ ორი კვირა ვივარჯიშე და ნამდვილად არ გამჭირვებია გუნდთან შეგუება. წინააღმდეგ შემთხვევაში ალარც მიმიწვევდნენ. იგივეს თქმა შემიძლია ნიკა ძალამიძეზე, ის ფლეიმეიკერია და პორტუგალიელებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

**- 15 წლის ხარ, თუმცა ასაკთან შედარებით ფიზიკურად ძლიერად გამოიყურები და სიმაღლეც არ გაკლია...**

- 1.84 მ. ვარ. ცენტრალური მცველისთვის სიმაღლე და კარგი ფიზიკური მომზადება აუცილებელია.

**- როგორც ვიცი ბენფიკასთან ერთად მოსკოვის „სპარტაკიც" გეპატიჟებოდა. პორტუგალიურ კლუბზე რატომ შეაჩერე არჩევანი?**

- მოსკოვის „სპარტაკის" ვარიანტი მართლაც იყო, მაგრამ მამაჩემმა და მწვრთნელებმა „ბენფიკაში" გადასვლა მირჩიეს. „ბენფიკას" საფეხბურთო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში.

**- ბაქარ, ქუთაისის „ტორპედოს" აღზრდილი ხარ და აქამდეც ქუთაისური კლუბის რიგებში გამოდიოდი. როგორც ჩანს, რთული ვითარების მიუხედავად „ტორპედოს" კვლავ შეუძლია ახალი ტალანტების წარმოჩინება?**

- ფეხბურთის თამაში ქუთაისის „ტორპედოში" ბესო ბრეგაძესთან დავიწყე. მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრე „ტორპედოში" ჩავატარე. 17 წლამდელთა ნაკრებში ხშირად მიწევდა თამაში და ამის გამო „ტორპედოსთან" ერთად მხოლოდ 6 შეხვედრა ვითამაშე. გუნდში მართლაც ნიჭიერი ახალგაზრდები არიან, მაგრამ სამწუხაროდ უსახსრობის გამო ყველას გაქცევა უნდა საქართველოდან.

**- რა არის შენი ოცნება?**

- ოცნება არა მაგრამ, მიზანია, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დავიმკვიდრო ადგილი. კახა კალაძის გვერდით თამაშს ვისურვებდი, ის დიდი ფეხბურთელია...

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge





# Mein Gott! ყენია მაგარია!

## 19 წლამდელთა გუნდში ლევანი მე-10 ნომერია. შალკეს ქომაგები იმედოვნებენ, რომ ქართველისგან მსოფლიო დონის ვარსკვლავი დადგება

**ლევან ყენიას**, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ რამდენიმე ამხანაგური თამაში დასჭირდა იმისათვის, რომ „შალკეს" ქომაგები ალეფრთოვანებინა და იმაში დაერწმუნებინა, რომ უდიდესი ტალანტი აქვს. „შალკეს" 19 წლამდელთა გუნდის ამხანაგური მატჩების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში ოპერატიულად არ ვრცელდება ხოლმე და ჩვენც იძულებულები ვართ, გელზენკირხენული კლუბის ფორუმებს ვადევნოთ თვალი, სადაც ყენიაზე უკვე ძალიან ბევრი იწერება. ლევანის გუნდს ოფიციალური მატჩები 10 იანვრიდან დაეწყება და ფანები უკვე დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ქართველი ტალანტი სეზონის მეორე ნახევარში **ნორბერტ ელგერტის** გუნდის ლიდერი იქნება. ალსანიშნავია, რომ ლევანი მე-10 ნომრით თამაშობს.

20 იანვარს ყენიას გუნდმა ამხანაგური თამაში გამართა. „შალკე" „ერკენშვიკს" გაეჯიბრა და 2:0 მოიგო. მეორე გოლი ყენიას ანგარიშზეა. მატჩს 150 მაყურებელი დაესწრო და მათ შორის იყო „შალკეს" ერთ-ერთი ქომაგი, რომელმაც მოგვიანებით გუნდის ოფიციალურ ფორუმზე მატჩი მიმოიხილა და თავისივე გადაღებული ფოტოებიც ატვირთა. ხსენებული ქომაგი ყენიას მეორე გოლზე წერს: „ქართველმა პრედრაგ სტევანოვიჩისგან იდეალური პასი მიიღო, ერთი მეტოქე გზიდან მოხდენილი ფინტით ჩამოიცილა და ბურთი ერკენშვიკელთა კარში გადაზგავნა. ჩვენ ყველაზე მეტად სწორედ მისი თამაში გვაინტერესებდა და დავრწმუნდით, რომ ლევან II ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია."

ძალიან საინტერესოა „შალკეს" კიდევ ერთი ქომაგის, მეტსახელად Smyrkel-ის კომენტარიც, რომელმაც ფორუმზე ლევან ყენიასადმი მიძღვნილი ცალკე თემა გახსნა. აი, რას წერს ის:

„დღეს 19 წლამდელების თამაშზე შევიარე. მართალი გითხრათ, მხოლოდ ნახევარი საათი უნდა დავრჩენილიყავი, რადგან ჩემი შვილი ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ თამაში ისე მომეწონა, რომ საფინალო სასტვენამდე ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია. ლევან ყენიამ, რომელსაც ათნომრიანი მაისურა ეცვა, მაშინვე ტამაშ ჰაინალი მომაგონა, რომელიც თავიდან სწორედ ამ გუნდში თამაშობდა, მაგრამ ვერ დააფასეს და გაუშვეს, დღეს კი ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ყენია მას აღნაგობით ჰგავს, მაგრამ თამაშით გაცილებით შორსაა წასული, ვიდრე მაშინ ჰაინალი იყო. იმედი მაქვს, რომ ქართველი „შალკედან" არასდროს წავა! როცა ყენია ბურთს ეხებოდა, მაყურებლები ერთხმად წამოვიძახებდით ხოლმე: „ღმერთო ჩემო!" თავისი პატარა ფეხებით ისეთ სისწრაფეს ავითარებდა, თმები ყალყზე გვიდგებოდა და როცა დრიბლინგს ახორციელებდა, გულის ნასვლასთან ძალიან ახლოს ვიყავით. ყენია შესანიშნავად ფლობს ბურთს, აქვს მოედნის იდეალური ხედვა, ჩინებული დრიბლინგი მილიმეტრული სიზუსტის პასები. საკმარისია, პირველ გუნდში ივარჯიშოს, რომ ჩვენს ვარსკვლავებს შიშით გული გაუსკდებათ – ამ პატარა ბიჭმა ძირითადი შემადგენლობიდან არ ამოგვაგდოსო. ყენიას ასაკში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ფეხბურთელებს ქება წყენთ და წარმატებები თავში უვარდებათ ხოლმე. თუ ლევანის შემთხვევაში ასე არ მოხდება და თუკი ევროპული გრანდები არ გააგიჟებენ, დამიჯერეთ, ის დიდ ფეხბურთს ითამაშებს არაერთხელ გაგვახარებს. ერთხელ ვნახე და ის უკვე გახდა ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი. მას აქვს იმის პოტენციალი, რომ „შალკეს" ფანებს გულისცემა ხშირად აგვიჩქაროს ხოლმე. „შალკეს" ხელმძღვანელებს მივმართავ: ძალიან გთხოვთ, მიხედეთ ამ ბიჭს, ის დიდი ნიჭის პატრონია."

„ოდნავადაც აღარ ვნერვიულობ იმის გამო, რომ მესუთ იოზილი გვტოვებს. „შალკეს" მომავალი უკვე ყენიასთან ასოცირდება. 16 წლის იყო, ეროვნულ ნაკრებში პირველად რომ ათამაშეს. ეს კი ცოტას არ ნიშნავს," – აცხადებს სხვა ქომაგი.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია...

**გოტფრიდ ლენცი**



მარცხნიდან მარჯვნივ: ლადო ხარაიძე, თორნიკე ჩიხრაძე, ნიკო პატარქალიშვილი, გიორგი გოგოლაშვილი და გიორგი კიკნაძე.

# ოთხი ფეხბურთელი არგენტინაში მიდის ედუარდო დელგადოსთან

## პროექტი „ARGENT-GEORGIA" 2010-2014

საფეხბურთო დონის ასამაღლებლად ხვიჩა მურღულიას, ვასილ აფციაურს, გიგი თარყაშვილსა და ვალერი აგაჯანოვს, არგენტინაში კიდევ ოთხი ფეხბურთელი დაემატებათ:

1. გოგოლაშვილი გიორგი, დაბადებული 1990 წლის 1 იანვარს. ცენტრალური მცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო 10 წლისამ საფეხბურთო კლუბ „ნორჩ დინამოელში". მისი მწვრთნელი იყო თამაზ სამხარაძე;
2. კიკნაძე გიორგი, დაბადებული 1991 წლის 22 სექტემბერს. მარჯვენა ნახევარმცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო, საფეხბურთო კლუბ „მთვარის გლობუსში" 9 წლისამ. მისი მწვრთნელი იყო რევაზ გვარაკიძე;
3. ხარაიძე ლადო, დაბადებული 1988 წლის 4 ივლისს. ცენტრალური ნახევარ მცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო საფეხბურთო კლუბ „ნორჩ დინამოელში", ნოდარ ხიზანიშვილის მწვრთნელობით.
4. ჩიხრაძე თორნიკე, დაბადებული 1992 წლის 8 ივლისს. ნახევარმცველი. 9 წლის ასაკიდან თამაშობს ფეხბურთს. მისი მწვრთნელები იყვნენ მამუკა მურჯიკნელი და კახა ბექაური.

ამ ფეხბურთელებმა ამა წლის 23 იანვარს, მიიღეს არგენტინის ვიზები და 2 თებერვალს გაემგზავრებიან არგენტინაში.

პროექტი „Argent-Georgia" 2010-2014 ითვალისწინებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს ნაკრები გუნდების გაძლიერებას და წარმატებით მონაწილეობას ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში.

მიმდინარე წლის მარტსა და მაისში ედუარდო დელგადო კიდევ მიიწვევს ფეხბურთელებს მოსამზადებლად.

**ნიკო პატარქალიშვილი**
**პროექტის „ARGENT-GEORGIA" 2010-2014 ხელმძღვანელი**

# იაშვილი შეუცვლელია

მოსამზადებელი ეტაპის ბოლო მატჩი „კარლსრუემ" „მაინცის" წინააღმდეგ ჩაატარა და ფრედ, 1:1 ითამაშა. **ალექსანდრე იაშვილმა** მოედანზე 90 წუთი გაატარა, მარჯვენა ნახევარმცველის ფუნქციები შეასრულა და კლუბის ოფიციალური საიტის ცნობით, ეს არცთუ ურიგოდ გამოსვლია.

შეგახსენებთ, ამ პოზიციაზე იაშვილს ბუნდესლიგის პირველ წრეშიც არაერთხელ უთამაშია, შესაძლოა, სეზონის მეორე ნახევარში ეს მის ჩვეულ ამპლუადაც კი იქცეს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგა 1 თებერვალს განახლდება. 2-ში „კარლსრუე" „ნიურნბერგს" უმასპინძლებს, 3-ში კი „შალკე" „შტუტგარტს" მიიღებს.

რაც შეეხება მეორე ბუნდესლიგას, „ფრაიბურგმა" „ციურიხთან" 1:1 ითამაშა. **ოთარ ხიზანეიშვილმა** მხოლოდ ბოლო 20 წუთი გაატარა მოედანზე, „პადერბორნმა" „ვოლფსბურგის" მოყვარულები **დავით სირაძის** დაუხმარებლად 3:0 გაანადგურა, ტრავმირებული **მათე ღვინიანიძე** კი „მიუნხენ 1860"-ს „ბაიერნთან" დერბიში (1:1) ვერ დაეხმარა. შვეიცარიაში მოასპარეზე ერთადერთ ლეგიონერს რაც შეეხება, არც სანდრო იაშვილს უთამაშია „ოსნაბრუკთან" 1:1 დასრულებულ შეხვედრაში.

**ლევან ჯანეზაშვილი**



მარჯვნივ ალექსანდრე იაშვილი

# ქეცბაიას ნიტაიშვილმა მოაგებინა

„ქართველი ზოგადად ხშირად უშვებს შეცდომებს, რაც ძირითადად კონცენტრაციის შესუსტებით აიხსნება. ასე იყო ამ თამაშშიც, თუმცა საერთო ჯამში მის თამაშს დღევანდელ შეხვედრაში კარგს ვუწოდებთ", - ასე შეაფასა goal.com-მა **კახა კალაძის** თამაში და თან ათბალიანი სისტემით ექვსიანი დაუწერა. „მილანმა" კი **პატოს** დუბლის წყალობით 2:0 მოუგო „ჯენოას". **ალესანდრო ნესტას** და კახას გაუჭირდათ **მარკო ბორიელოსთან** გამკლავება, თუმცა საბოლოოდ ეს მაინც შეძლეს.

ინგლისში მორიგ ტურს შესანიშნავ ხასიათზე შეხვდა **ზურაბ ხიზანიშვილი**, რომელსაც „ბლექბერნ როვერსის" ხელმძღვანელობამ 2011 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტი. ბირმინგემში „ასტონ ვილას" წინააღმდეგ ზურა სათადარიგოთა სკამზე დარჩა, **მარკ ჰიუზმა** მისი თამაშში ჩართვა არ ჩათვალა საჭიროდ. შეხვედრა 1:1 დასრულდა.

ესპანეთში **შოთა არველაძის** გარეშე სეზონში მესამედ მოიგო „ლევანტემ" - ვალენსიელებმა სტუმრად „მურსია" დაამარცხეს - 3:2, თუმცა კვლავ ბოლო ადგილზე დარჩნენ.

კვიპროსის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ანორთოსისში" დაბრუნების შემდეგ პირველი გოლი გაიტანა **კლიმენტი ნიტაიშვილმა**, თანაც ამ გოლით **თემურ ქეცბაიას** გუნდმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მატჩის 71-ე წუთზე ნიტაიშვილმა გაიტანა და ყოფილი გუნდი აეკ-ი ლარნაკაში განბილებული გაუშვა - 2:1. **ლევან მაღრაძის** „აპოლონი" სტუმრად 2:2 დაუზავდა „ენოსისს", ქართველს არ უთამაშია. **ლევან ქებაძის** „ახნასი" დღეს ლიმასოლის აელ-ს ესტუმრება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

LEGA CALCIO



ტორინომ და ლაციომ ფეხბურთის ნაცვლად იომეს

იტალია. სერია A. XX ტური

# სპალეტიმ შეუძახა: მანჩინი, მოვდივარ!

## პატო უკვე მილანის ლიდერია?

ამ ჩემპიონატში პირველად მოხდა, რომ "სამპდორია" მშობლიურ "მარასიზე" ერთბურთიან სხვაობას დასჯერდა და არა 3:0-ს, როგორც წინა წინა ხუთ შემთხვევაში. ასე რომ, შევაქოთ "სიენა", რომელმაც სამბურთიან სხვაობას მიჩვეულ გენუელებს სერიოზული თავსატეხი გაუჩინა. მატჩი თანაბარ ბრძოლაში, რომ იტყვიან, კაცი-კაცზე წარიმართა. ერთადერთი, ვისაც მოქმედების სრული კარტ-ბლანში ჰქონდა, **კასანო** იყო. რატომღაც, მას ახალგაზრდა **როსეტინი** მოუჩინეს მეურვედ, მაგრამ ცხადია, ანტონიომ ეს დუელი პირწმინდად მოიგო: ჯერ იყო და, თამაშის დასაწყისში გამოუცდელ მცველს უხეში შეცდომა აპატია, თუმცა პირველი ტაიმის მიწურულს, ანალოგიურ სიტუაციაში, აღარ დაინდო და ზედ მეკარე **მანინგერიც** მიაყოლა - 1:0. ექსპერტების აზრით, კასანო ჩინებულ ფორმაშია და თუ ასე გააგრძელა, არაა გამორიცხული, **რობერტო დონადონიმ** და ევროსიაშიც ჩასვას. მაგრამ გენუელთა მწვრთნელ **ვალტერ მაძარის** თუ დავუჯერებთ, ჭირვეული ბიჭი ოპტიმალური კონდიციებისგან ჯერ შორს ყოფილა. ალბათ, მწვრთნელი ხანდახან ასეც უნდა ლაპარაკობდეს...

მის კოლეგა **მარიო ბერეტას**, მდგომარეობის გამოსასწორებლად, წინ მთელი ერთი ტაიმი ჰქონდა. განახლდა თუ არა თამაში, მან მოედანზე შეუშვა ვეტერანი **რიგანო**, რომელიც ახლახან "ლევანტედან" გადაიყვანეს. სწორედ რიგანოს ჰქონდა ყველაზე ხელსაყრელი მომენტი. "სამპის" მცველი **აკარდი** მაღალ ბურთზე შეცდა და ვეტერან თავდამსხმელს ისღად დარჩენოდა, **კასტელაციც** უსაქმოდ დაეტოვებინა, მაგრამ გენუელთა მეკარემ სასწაული რეაქცია გამოავლინა და ანგარიში უცვლელი დატოვა. მერე რიგანოს კიდევ ერთხელ მიეცა შანსი, როცა საქმეს დამაგვირგვინებელი დარტყმაღა აკლდა, ეს მცდელობაც ჩაიფუშა. მოკლედ, "სამპდორიამ" მოიგო, მაგრამ ვაი ამ მოგებასო, ამაზეა ნათქვამი...

1:0 დაფიქსირდა რომის "ოლიმპიკოზეც", თუმცა "სიენისგან" განსხვავებით, "პალერმომ" "ჯალოროსის" პრობლემები ვერ შეუქმნა. **ფრანჩესკო გვიდოლინის** ბიჭებმა ორადორჯერ დაარტყეს კარში და მხოლოდ ერთხელ, მატჩის მიწურულს იყვნენ მიზანთან ახლოს, როცა **კავანი** 7-8 მეტრიდან ურტყამდა... ზედ საფინალო სასტვენის წინ კი **მექსეს** ჰქონდა ბრწყინვალე შანსი, მაგრამ **მანსინის** გოლს დამატება არ ეწერა. ეს გოლი კი "პალერმოს" მეკარე **ფონტანას** სინდისზეა. **პისაროს** კუთხურის შემდეგ მან კარიდან გამოსვლა დააგვიანა, რითიც უმალ ისარგებლა მანსინიმ და თავური მიზანში მოარტყა. ეს კი მოხდა ზუსტად სამ წუთში მას შემდეგ, რაც არბიტრმა სიცილიელთა მცველ **რინაუდოს** მიმართ ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინა და მოედნიდან მიაბრძანა. "პალერმოსთვის" კი ეს ზედიზედ მესამეა მარცხია და დროა, გვიდოლინმა რაღაც ილონოს, თორემ პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** ის ოთხჯერ ჰყავს გაგდებული და არც მეხუთედ იტყვის უარს...

კვირის მოვლენებიდან დიდ ინტერესს იწვევდა "ფრიულის" მატჩი, რომელშიც "უდინეზე" "ინტერს" მასპინძლობდა. წინა ტურში "პარმასთან" სკანდალური გამარჯვების (3:2) შემდეგ ლიდერი ისედაც ყურადღების ცენტრში იყო. **რობერტო მანჩინის** სჭირდებოდა ალალი 3 ქულა, რომელიც ამჯერად არავის დააეჭვებდა. პირველი საგოლე მომენტი სტუმრებს ჰქონდათ, მაგრამ **კამბიასომ** ვერ ივარგა. ტაიმის შუაწელში "ნერაძურიმ" სერიოზული დარტყმა მიიღო. ნახევარწუთიანი ინტერვალით **სეზარ აპარესიდომ** ორი ყვითელი ბარათი მიიღო და თანაგუნდელები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. აქ გაგვახსენდა ამასწინანდელი სათასო მატჩი "იუვენტუსთან", როცა **ბურდისო** მთლად მე-8 წუთზე გააძევეს, "ინტერმა" კი ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა (2:2). თავდაპირველად, სტუმრებს კაცნაკლულობა არ ეტყობოდათ. **კრუსს** ნაღდი საგოლე მომენტიც ჰქონდა, მაგრამ მერე და მერე უდინელებმა თამაშის სადავეები ხელში აიღეს და უკვე **კვალიარელლას** შეეძლო ანგარიშის გახსნა. ცოტა ხანში, **პასკუალე მარინოს** ბიჭებმა ვერ ისარგებლეს "ინტერის" საჯარიმოში შექმნილი ქაოსით, რომელიც **დ'აგოსტინოს** მწვავე გადაცემას მოჰყვა, ბურდისო კი **დოსენას** დარტყმულს გადაეფარა.

მეორე ტაიმი "უდინეზეს" აშკარა უპირატესობით წარიმართა და **ჟულიო სეზარს** კინაღამ ორჯერ მოუხდა ბურთის ბადიდან გამოტანა. მაგრამ არც "ინტერი" მჯდარა გულხელდაკრეფილი. მეტიც, **იბრაჰიმოვიჩმა** შეაგდო კიდეც, მაგრამ **ლუკოვიჩს** უხეშად ეთამაშა და, არბიტრმა გოლი არ ჩათვალა. სიტუაცია საეჭვო იყო და ვნახოთ, რა გამოხმაურება მოჰყვება ამ ამბავს... თამაშის ბოლოს მანჩინი მაინც ვა-ბანკზე წავიდა და ნახევარმცველი კამბიასო ფორვარდ **კრესპოთი** შეცვალა, თუმცა საყაიმო შედეგს მაინც ვერ ასცდა. ახლა კი დავხედოთ ცხრილს და ვნახავთ, რომ "ინტერსა" და "რომას" შორის სხვაობა 5 ქულამდე შემცირდა. სხვათა შორის, "პალერმოსთან" მატჩის წინ რომაელთა თავკაცი **ლუჩანო სპალეტი** იქადნებოდა, ადრე თუ გვიან მანჩინის აუცილებლად დავეწევიო...

**პატო** სასწაულებს ახდენს: უკვე 3 გოლი 4 მატჩში! გუშინ, ბრაზილიელმა ვუნდერკინდმა "ჯენოას" მარტომ მოუგო. სტატისტიკოსებმა კი ჩაინიშნონ: პატომ სერია A-ში უკვე პირველი დუბლიც გაიფორმა. გენუელები საათზე მეტ ხანს უძალიანდებოდნენ მრისხანე მეტოქეს და მეორე ტაიმის დასაწყისში კინაღამ დაწინაურდნენ კიდეც. **კახა კალაძის** მორიგი შეცდომა "მილანს" კვლავ გოლად დაუჯდებოდა, რომ არა **კალაჩის** დიდოსტატური ნახტომი ბორიელოს დარტყმულზე. სხვათა შორის, ამ უკანასკნელთან ბრძოლაში **ნესტასაც** მოუვიდა ლაფსუსი და ამჯერზეც კალაჩმა იყოჩაღა. ცოტა ხანში, **კალაძე-ბორიელოს** დუელი ისევ გენუელის დარტყმით დასრულდა, მაგრამ უკვე უზუსტოდ...

68-ე წუთზე კი ყველაფერი თავის ადგილას დადგა. **მალდინის** ჩაწოდების შემდეგ, **ზეედორფმა** ბურთს ოდნავ შეუცვალა მიმართულება, პატომ კი მიზანში მოარტყა. ორ წუთში "ჯენოა" 10 კაცით დარჩა. კარისკენ გაჭრილ პატოს მეკარე **რუბინიო** გამოუხტა და საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა. ბუნებრივია, არბიტრს წითელ ბარათზე არც უფიქრია. რაც შეეხება ბრაზილიელის მეორე გოლს, აქაც ზეედორფის წყალობა იყო: პატოს წინ მხოლოდ მეკარე **სკარპი** გახლდათ და პრობლემაც იოლად მოგვარდა - 2:0.

**ჩეზარე პრანდელიმ** პირობა დადო, ემპოლიდან 3 ქულას წამოვიღებთო. სიტყვის კაციც ამას ჰქვია, მაგრამ ვეჭვობთ, მატჩის დასრულებამდე ათიოდ წუთით ადრე რომ გეკითხათ, "ვიოლას" ბოსი ქულითაც კმაყოფილი იქნებოდა... და აი, აქ გაიხსნა კვანძი. **მუტუს** დარტყმის შემდეგ, **მარძორატის** ბურთი სახეში მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა. მერე **პაცინის** კვერიც გამოცხვა. საქმე ისაა, რომ "ფიორენტინის" ახალგაზრდა ფორვარდს პირველ ტაიმში ორი გოლი არ ჩაუთვალეს, ხოლო ერთ ეპიზოდში ასეთივე ხვედრი **უიფალუშის** თავურსაც ეწია. ზოგიერთმა ინტერნეტ-გამოცემამ ეჭვი გამოთქვა, რომ პაცინის მეორე გოლი ჩასათვლელი იყო...

"კალიარიმ" პატარა სასწაული მოახდინა. სარდინიელებმა "ნაპოლის" გამარჯვება ბოლო წამებში გამოსტაცეს ხელიდან. მათ ზედიზედ 7 მარცხის შემდეგ იყოჩაღეს, თუმცა დაუჯერებელია, რომ გავარდნა თავიდან აიცილონ. ერთი საინტერესო დეტალი: "კალიარის" სულ 3 მოგება აქვს და აქედან ორი - "ნაპოლისთან". თუ გახსოვთ, კამპანიელებთან მათ ჩემპიონატის პირველ ტურშიც გაიმარჯვეს (2:0).

"კალიარის" არ იყოს, იყოჩაღა "რეჯინამაც", რომელმაც ბერგამოში ორბურთიანი დეფიციტი გააბათილა. გავიხსენოთ, რომ "ატალანტამ" ოთხი დღის წინ "მილანს" მოუგო (2:1). ხანდახან, ფეხბურთი ასეთი ალოგიკურია...

ორი მატჩი უგოლოდ დასრულდა. "კატანია" და "პარმა" თითქმის არ ურტყამდნენ კარში, "ტორინო" და "ლაციო" კი ერთმანეთს ბინძურ ფეხბურთში გაეჯიბრნენ: 10 გაფრთხილება და 2 გაძევება! საოცარი ამბავი შეემთხვა "ლაციოში" ახლახან მისულ **ბიანკის**, რომელსაც გუშინ 61-ე წუთზე ჰქონდა დებიუტი, მაგრამ... "სიტის" ყოფილმა ფორვარდმა ოთხ წუთში 2 ყვითელი ბარათი იხილა და შეიძლება, ამ მიღწევით ისტორიაშიც შევიდა...

**ტრეზეგეს** დუბლი და **დელ პიეროს** გოლი თავისი საგოლე პასით - ეს იყო მთავარი ტურის ბოლო მატჩში, რომელშიც "იუვენტუსმა" დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა. ეს "ტრეზეგოლი" მართლაც რომ "ლივორნოს" დამაქცევარია. გავიხსენოთ, რომ პირველი წრის მატჩში (პირველი ტური, 5:1) დავიდმა ტოსკანელები სულაც ჰეთ-თრიკით "ასიამოვნა"...

### მომდევნო ტური

2 თებერვალი. პალერმო-ლივორნო, ნაპოლი-უდინეზე. 3 თებერვალი. **ჯენოა-კატანია, ინტერი-ემპოლი, იუვენტუსი-კალიარი, ლაციო-სამპდორია, პარმა-ატალანტა, რეჯინა-ტორინო, სიენა-რომა, ფიორენტინა-მილანი.**

### სამპდორია-სიენა 1:0

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, გასტალდელო-6, აკარდი-6, მაჯო-6.5, ლუკინი-6.5, ვოლპი-6.5, დ. ფრანჩესკინი-6.5 (83. დელვეკიო-შ.გ), პიერი-7, პალომბო-6.5 (90. კ. ძენონი-შ.გ), ბელუჩი-6, კასანო-7 (68. ბონაცოლი-5.5).

**სიენა:** მანინგერი-6, პორტანოვა-5.5, დე ჩელიე-6.5, როსეტინი-6.5, ლორია-6.5, კოდრეა-6.5, ლოკატელი-6.5 (34. ფორესტიერი-5), ვერგასოლა-6 (65. ალბერტო-6), გალოპა-6.5, ფრიკი-5.5 (53. რიგანო-6), მაკარონე-5.5.

**გოლი:** 1:0 კასანო (44)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 18-34; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12-13 (3-9); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 25 000

### რომა-პალერმო 1:0

**რომა:** ა. დონი-6, ფერარი-6, ტონეტო-6, კასეტი-5.5, მექსე-6.5, პეროტა-6.5 (70. აკვილანი-6), ბრიგი-6, პისარო-6.5, ტადეი-6, მანსინი-7 (88. სისინიო-შ.გ), ტოტი-6 (81. ვუჩინიჩი-შ.გ).

**პალერმო:** ა. ფონტანა-5, ბარძალი-6.5, ძაკარდო-6, ბიავა-6, რინაუდო-5, მილიაჩო-6, სიმპლისიუ-6 (62. კავანი-5.5), კაზერტა-5.5 (82. იანკოვიჩი-შ.გ), გუანა-6, ამაური-6.5, მიკოლი-5 (61. კასანი-6).

**გოლი:** 1:0 მანსინი (58)

**გაძევება:** რინაუდო (55. პალერმო)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 21-13; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 23-9 (11-2); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 33 000

### უდინეზე-ინტერი 0:0

**უდინეზე:** პანდაროვიჩი-6, საპატა-6.5, ლუკოვიჩი-6.5, დოსენა-6.5, ფელიპე-6.5, გ. დ'აგოსტინო-6, ინლერი-6.5, მესტო-6 (85. ფერონეტი-შ.გ), პეპე-6 (78. ფლორო ფლორესი-შ.გ), კვალიარელა-5.5 (90. კანდრევა-შ.გ), დი ნატალე-5.5.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6.5, კორდობა-6, მაქსველი-6, ბურდისო-6, მატერაცი-6.5, კამბიასო-6.5 (84. კრესპო-შ.გ), სეზარი-4, სტანკოვიჩი-6.5, ხ. ძანეტი-6.5, იბრაჰიმოვიჩი-6.5, კრუსი-5.5 (78. ვიეირა-შ.გ).

**გაძევება:** სეზარი (23. ინტერი)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 22-21; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 17-10 (6-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 26 000

### მილანი-ჯენოა 2:0

**მილანი:** კალაჩი-6, ოდო-7, ნესტა-6.5, კალაძე-6, მალდინი-6.5, პირლო-6 (83. ემერსონი-შ.გ), ამბროზინი-6.5, გატუზო-6 (88. ბროკი-შ.გ), კაკა-6, ზეედორფი-6, პატო-7 (89. ჯილარდინო-შ.გ).

**ჯენოა:** რუბინიო-6, სანტუში-5, ბოვო-6, ფაბიანო-5, მ. როსი-6 (72. ლუჩო ფიგეროა-შ.გ), მილანეტო-6 (72. სკარპი-6), იურიჩი-5, დანილო-5, კონკო-6, ბორიელო-6, სკული-5.5 (64. ა. ლუკარელი-5.5).

**გოლები:** 1:0 პატო (68), 2:0 პატო (82)

**გაძევება:** რუბინიო (70. ჯენოა)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 23-10 (12-5); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 49 028

### ემპოლი-ფიორენტინა 0:2

**ემპოლი:** ბასი-6, მარძორატი-6, რაჯი-6, პრატალი-6 (80. ვანილი-შ.გ), ჯოვინკო-6 (79. ვანუკი-შ.გ), ანტონინი-6, მარიანინი-6, მორო-6, ბუშე-6, ბუდელი-5.5, პოცი-5.5 (67. საუდატი-6).

**ფიორენტინა:** ფრეი-6.5, გამბერინი-6, პასკუალი-6, უიფალუში-6.5, დაინელი-6.5, სანტანა-5.5 (85. სემიოლი-შ.გ), კუზმანოვიჩი-5.5, მონტოლივო-5, დონადელი-5.5 (59. იორგენსენი-6), პაცინი-7, მუტუ-7 (90. გობი-შ.გ).

**გოლები:** 0:1 მუტუ (81), 0:2 პაცინი (90)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 21-22; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 18-10 (8-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 13 000

### ატალანტა-რეჯინა 2:2

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-5.5, კაროციერი-5.5, პელეგრინო-6.5, ბელინი-6, რივალტა-7, კ. დონი-6 (78. ს. ინძაგი-შ.გ), გუარენტე-6 (68. პაოლუჩი-5.5), ტისონე-6.5, პინტუ-5.5, ლანჯელა-6 (82. დე აშენტისი-შ.გ), ფლოკარი-6.

**რეჯინა:** კამპანიოლო-5, ვალდესი-5.5, არონიკა-6, ჩიროლო-5.5 (50. მისიროლი-6), მოდესტო-6, ლანძარო-6, ბარეტო-7, ტონიოლო-6, ვიჯანი-6, ბრიენცა-5.5 (86. კამონე-შ.გ), სტუანი-5 (50. ჩერავოლო-6.5).

**გოლები:** 1:0 რივალტა (18), 2:0 ლანჯელა (47), 2:1 ვიჯანი (59), 2:2 ბარეტო (65)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 20-22; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 25-8 (12-6); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 9 100

### ტორინო-ლაციო 0:0

**ტორინო:** სერენი-6.5, ნატალი-6, დელაფიორე-6 (87. მოტა-შ.გ), ლანა-5.5, დი ლორეტო-6.5, ბარონე-4.5, ლაზეტიჩი-6, პ. ძანეტი-6, როზინა-5.5, დი მიკელე-5 (46. ბოტონე-6), სტელონე-6.5 (64. ბელანოვიჩი-5).

**ლაციო:** ბალოტა-7, სივილია-6, კოლაროვი-6.5, კრიბარი-6, დე სილვესტრი-6 (75. ვინიაროლი-შ.გ), ლედესმა-5.5, მაური-6, ბეჰრამი-6, მუდინგაი-5.5, როკი-5.5 (61. ბიანკი-4), პანდევი-6 (80. ტარე-შ.გ).

**გაძევება:** ბარონე (44. ტორინო), ბიანკი (65. ლაციო)

**გაფრთხილება:** 6-4; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 27-21; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 13-13 (6-7); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 18 000

### კალიარი-ნაპოლი 2:1

**კალიარი:** სტორარი-6, ლოპესი-6, აგოსტინი-6, ფერი-6.5, ბიანკო-5.5, კონტი-6.5, ბიონდინი-5.5 (60. მატრი-7), პაროლა-6, ლარივეი-6 (58. ფინი-6), აკვაფრესკა-5.5 (57. ფოჯა-6.5), ჟედა-5.5.

**ნაპოლი:** ჯანელო-6.5, კანავარო-6, კონტინი-7, რულო-4.5 (53. მონტერვინო-6), დარიში-6.5, კუპი-6.5 (39. გრავა-6), ბოლიაჩინო-6, გარგანო-5.5, ჰამსიკი-7, ლავეცი-6, სალაიეტა-5.5 (84. სოსა-შ.გ).

**გოლები:** 0:1 ჰამსიკი (56), 1:1 მატრი (90), 2:1 კონტი (92)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 8-3; **კარში დარტყმა:** 22-12 (11-6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 11 000

### კატანია-პარმა 0:0

**კატანია:** პოლიტო-5.5, ტერლიცი-6, ხ. ვარგასი-6, სილვესტრი-5.5, სტოვინი-6.5, ედუსეი-6.5, კოლუჩი-6, ბაიოკო-6 (82. იცკო-შ.გ), ჯაკ. ტედესკო-5.5 (67. პია-5.5), სპინეზი-5.5 (77. მორიმოტო-შ.გ), მასკარა-6.

**პარმა:** ბუჩი-6, ფალკონე-6, კასტელინი-6, დ. ძენონი-6, მ. როსი-6.5, გასბარონი-5.5 (67. რეჯინალდო-5.5), ჩიგარინი-6.5, მორონე-6, მარიგა-6.5, პიზანუ-6 (90. ბუდანი-შ.გ), კორადი-5.5 (82. კ. ლუკარელი-შ.გ).

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 4-0; **ჯარიმა:** 26-32; **თამაშგარე:** [illegible]; **კარში დარტყმა:** [illegible] (4-5); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** [illegible]

### ლივორნო-იუვენტუსი 1:3

**ლივორნო:** ამელია-5.5, გრანდონი-5.5, კნეჟევიჩი-6, გალანტე-6, ბალერი-6, ვიდიგალი-6.5, დე ვეცე-5, ა. ფილიპინი-6 (59. პულცეტი-5.5), პასკუალე-5.5, ტავანო-6, დიეგო ტრისტანი-5 (59. ბოგდანი-6.5).

**იუვენტუსი:** ბელარდი-6.5, გრიგერა-6, ლეგროტალიე-6.5, მოლინარო-6, კ. ძანეტი-7, სალიჰამიჯიჩი-6 (59. ბირინდელი-6), ნოჩერინო-6.5, ნედვედი-6 (90. კასტილია-შ.გ), პალადინო-5, დელ პიერო-7 (74. იაკუინტა-შ.გ), ტრეზეგე-7.5.

**გოლები:** 0:1 ტრეზეგე (30), 0:2 დელ პიერო (49), 0:3 ტრეზეგე (64), 1:3 ბოგდანი (79)

**გაძევება:** დე ვეცე (53. ლივორნო)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 13-19(7-14); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 20 | 15 | 5 | 0 | 43-13 | 50 |
| 2. რომა | 20 | 13 | 6 | 1 | 38-19 | 45 |
| 3. იუვენტუსი | 20 | 11 | 7 | 2 | 39-17 | 40 |
| 4. ფიორენტინა | 20 | 10 | 7 | 3 | 32-18 | 37 |
| 5. უდინეზე | 20 | 9 | 6 | 5 | 23-22 | 33 |
| 6. სამპდორია | 20 | 8 | 4 | 8 | 26-24 | 28 |
| 7. მილანი | 18 | 7 | 6 | 5 | 30-16 | 27 |
| 8. ატალანტა | 20 | 6 | 8 | 6 | 29-28 | 26 |
| 9. პალერმო | 20 | 6 | 7 | 7 | 27-34 | 25 |
| 10. ჯენოა | 20 | 6 | 7 | 7 | 20-27 | 25 |
| 11. ნაპოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 30-31 | 24 |
| 12. კატანია | 20 | 5 | 8 | 7 | 18-22 | 23 |
| 13. ლივორნო | 19 | 5 | 6 | 8 | 23-31 | 21 |
| 14. ლაციო | 20 | 4 | 8 | 8 | 22-29 | 20 |
| 15. პარმა | 20 | 4 | 7 | 9 | 22-29 | 19 |
| 16. ტორინო | 20 | 2 | 12 | 6 | 17-24 | 18 |
| 17. რეჯინა | 19 | 3 | 9 | 7 | 17-28 | 18 |
| 18. სიენა | 20 | 3 | 8 | 9 | 22-31 | 17 |
| 19. ემპოლი | 20 | 3 | 7 | 10 | 15-28 | 16 |
| 20. კალიარი | 20 | 3 | 4 | 13 | 15-37 | 13 |

ბომბარდირები: 15 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 13 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა); 11 - ბორიელო (ჯენოა); 10 - კრუსი (ინტერი), ტოტი (რომა); 9 - ბელუჩი (სამპდორია), დელ პიერო (იუვენტუსი), ტავანო (ლივორნო); 8 - ამაური (პალერმო), კ. დონი (ატალანტა), კაკა (მილანი), პანდევი (ლაციო); 7 - დი ნატალე (უდინეზე), კვალიარელა (უდინეზე), სალაიეტა (ნაპოლი).

## სერია B

XXII ტური

**აველინო-ტრევიზო 1:1**

გოლები: 1:0 მენგონი (67), 1:1 ბეგეტო (84)

გაძევება: ბარეტო (79. ტრევიზო)

**კიევო-ჩეზენა 3:1**

გოლები: 1:0 მორო (26), 1:1 კროჩე (40), 2:1 მორო (77), 3:1 კოსატო (82)

გაძევება: მანდელი (87. კიევო)

**გროსეტო-მოდენა 0:2**

გოლები: 0:1 პინარდი (31-პენ), 0:2 ოკაკა-ჩუკა (73)

**ლეჩე-ფროზინონე 3:0**

გოლები: 1:0 ფაბიანო (20), 2:0 ძანკეტა (47), 3:0 ტირიბოკი (76)

**მესინა-ტრიესტინა 1:2**

გოლები: 1:0 დევანო (7-პენ), 1:1 გრანოკე (13), 1:2 ზგრინია (75)

გაძევება: ლიმა (6. ტრიესტინა)

**პიაჩენცა-ასკოლი 2:1**

გოლები: 1:0 დედიჩი (66-პენ), 1:1 სომეზე (86), 2:1 ბიანკი (90)

გაძევება: ვოლფი (68. პიაჩენცა), პეშე (68. ასკოლი), ჩოფი (78. ასკოლი)

**პიზა-ბარი 1:1**

გოლები: 0:1 კავალი (12), 1:1 ლორენცი (54)

**რავენა-მანტოვა 5:2**

გოლები: 0:1 გოდეასი (7), 1:1 სფორცინი (11), 2:1 სუჩი (18), 3:1 სუჩი (19), 3:2 ფიორე (45), 4:2 სუჩი (56), 5:2 სფორცინი (65)

**რიმინი-ბოლონია 1:2**

გოლები: 1:0 ვალიანი (7), 1:1 ვიტიელო (41-საკ. კარში), 1:2 ბუკი (57)

**სპეცია-ალბინოლეფე 0:2**

გოლები: 0:1 ჩელინი (32), 0:2 ჩელინი (67)

**ვიჩენცა-ბრეშა 1:1**

გოლები: 0:1 ძამბრელა (7), 1:1 მაზიელო (42)

გაძევება: ტერანოვა (56. ვიჩენცა), ვასი (83. ბრეშა), ჯაკომინი (86. ვიჩენცა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლონია | 22 | 13 | 7 | 2 | 28-10 | 46 |
| 2. კიევო | 22 | 14 | 4 | 4 | 42-26 | 46 |
| 3. ლეჩე | 22 | 13 | 6 | 3 | 37-14 | 45 |
| 4. ალბინოლეფე | 22 | 13 | 5 | 4 | 35-17 | 44 |
| 5. პიზა | 22 | 12 | 7 | 3 | 36-26 | 43 |
| 6. ბრეშა | 21 | 11 | 5 | 5 | 31-19 | 38 |
| 7. მანტოვა | 22 | 11 | 4 | 7 | 34-27 | 37 |
| 8. მესინა | 22 | 9 | 5 | 8 | 19-25 | 32 |
| 9. რიმინი | 22 | 8 | 6 | 8 | 28-24 | 30 |
| 10. მოდენა | 22 | 7 | 8 | 7 | 31-28 | 29 |
| 11. ტრიესტინა | 22 | 7 | 7 | 8 | 27-36 | 28 |
| 12. ასკოლი | 21 | 6 | 9 | 6 | 27-22 | 27 |
| 13. ფროზინონე | 22 | 7 | 6 | 9 | 27-32 | 27 |
| 14. პიაჩენცა | 22 | 8 | 2 | 12 | 18-26 | 26 |
| 15. გროსეტო | 22 | 6 | 7 | 9 | 19-28 | 25 |
| 16. ბარი | 22 | 4 | 9 | 9 | 26-35 | 21 |
| 17. აველინო | 22 | 5 | 6 | 11 | 23-32 | 21 |
| 18. სპეცია | 22 | 4 | 7 | 11 | 25-34 | 19 |
| 19. ტრევიზო | 22 | 5 | 5 | 12 | 21-31 | 19 |
| 20. რავენა | 22 | 4 | 5 | 13 | 26-38 | 17 |
| 21. ვიჩენცა | 22 | 3 | 8 | 11 | 20-36 | 17 |
| 22. ჩეზენა | 22 | 2 | 10 | 10 | 22-34 | 16 |

ბომბარდირები: 16 - გოდეასი (მანტოვა); 15 - კასტილიო (პიზა); 14 - ჩელინი (ალბინოლეფე); 13 - გრანოკე (ტრიესტინა); 12 - ჟედა (რიმინი), მარაცინა (ბოლონია), ტირიბოკი (ლეჩე); 11 - პელისიერი (კიევო); 10 - გუიდეტი (სპეცია), ლოდი (ფროზინონე), მოსკარდელი (ჩეზენა), პოსანცინი (ბრეშა), სონჩინი (ასკოლი), სუჩი (რავენა); 9 - ბეგეტო (ტრევიზო), ბრუნო (მოდენა).

## სერია C1/B

### გამოტოვებული მატჩები

კროტონე-ლუკეზე 2:1; ლანჩანო-პისტოიეზე 2:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ექსპერტის მოსაზრება

# დაუმი: რეკორდმაისტერ, გეშინოდეს სტევენსის და დიეგოსი

## გავარდნისგან არც ჰერტა და დორტმუნდი არიან დაზღვეულები...



ჰამბურგის თავკაცი ჰუუბ სტევენსი

ბუნდესლიგის მეორე წრეში ჩემი ყურადღების ცენტრში ორი მწვრთნელი მოექცევა – „ბაიერნის" დამრიგებელი **ოტმარ ჰიტცფელდი** და „ჰამბურგის" მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი**. მიზეზი მარტივია: დასრულდება თუ არა სეზონი, ორივე მათგანი დატოვებს თანამდებობებს და რაც მთავარია, ორივეს აქვს ჩემპიონობის შანსი.

ჩემი აზრით, იმ ფაქტით, რომ სტევენსი და ჰიტცფელდი მიდიან, „ჰამბურგიც" და „ბაიერნიც" უფრო მეტად იხეირებენ და აი, რატომ: მწვრთნელები უფრო თავისუფლად მიიღებენ გადაწყვეტილებებს. მათ უკვე არაფერი აქვთ დასაკარგი და ამრიგად, ეს ყველაფერი გაცილებით საინტერესო გახდება, ვიდრე აქამდე იყო. ადამიანი სწორედ მაშინ აღწევს წარმატებებს, როცა თავისუფალია.

თუმცა ზეწოლა მაინც იარსებებს. ეს განსაკუთრებით ჰიტცფელდს ეხება. ჰო, ახლა მეტყვით, რომ მიუნხენში წნეხი ყოველთვის მძიმეა, მაგრამ მე ოტმარს კარგად ვიცნობ და ვიცი, არაფერს დათმობს, თავის პრინციპებს არ უღალატებს. მას ძალიან უნდა, რომ ბოლო სეზონში სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს და ყველაფერს გააკეთებს, რომ რეკორდმაისტერიდან თავაწეული წავიდეს.

ცხადია, რომ „ბაიერნი" ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის აშკარა ფავორიტია. სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, ალბათობა იმისა, რომ მიუნხენური გიგანტი ჩემპიონი გახდეს, არც მეტი, არც ნაკლები, 50 პროცენტია. ალბათ გაგიკვირდათ და მკითხავთ: *„მხოლოდ 50 პროცენტი?"* მე გიპასუხებთ: ეს არის კვოტა იმის გათვალისწინებით, რომ „ბაიერნს" „ვერდერისა" და „ჰამბურგის" სახით სერიოზული კონკურენტები ჰყავს. და ეს რეკორდმაისტერისთვის ძალიან საშიში კონკურენციაა.

„ჰამბურგში" ყველაფერი სტევენსზეა დამოკიდებული. ჰო, HSV ნამდვილად არ თამაშობს ყველაზე თვალსასეირო ფეხბურთს, მაგრამ ჩრდილოგერმანული კლუბი ისეთი პრაგმატულია, როგორც არასდროს და ჩემი აზრით სტევენსის სამწყსოს აქვს შანსი, ბოლო ტურის შემდეგ, სატურნირო ცხრილში „ბაიერნზე" წინ იყოს. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ ბოლოს „ჰამბურგმა" გაიცინოს.

„ვერდერში" კი, უმთავრესი ძალა **დიეგოა**. მე მას ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობ, როცა „სანტოსში" თამაშობდა – დიეგო გრანდიოზული ფეხბურთელია! ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ბრემენული კლუბის ხელმძღვანელებმა დიეგო გაცილებით დიდხანს დაასვენეს, ვიდრე სხვა ფეხბურთელები. მან ეს ნამდვილად დაიმსახურა. **თომას შააფი** ძალიან ჭკვიანი მწვრთნელია და მან კარგად იცის, რომ ასეთი გადაწყვეტილებით ორი კურდღელი დაიჭირა: პირველ რიგში დიეგო გაახარა და თანაც, ამით ის მოიგო, რომ ბრაზილიელი სამშობლოდან კარგად დასვენებული დაბრუნდა. არა მგონია, რომ ამით „ვერდერის" სხვა ფეხბურთელები განაწყენდნენ, რადგან ყველას ესმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დიეგო „მუსიკოსებისთვის" და რომ ის სხვებზე მეტს იმსახურებს. როცა ის საუკეთესო ფორმაშია, მხოლოდ მას შეუძლია გერმანიის ჩემპიონატის ბედის გადაწყვეტა. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ „ვერდერს" შეუძლია „ვერცხლის სინის" მოგება, მაგრამ გარემო ამას არ ავალდებულებს, განსხვავებით „ბაიერნისგან", სადაც მეორე ადგილზე გასვლაც კი კატასტროფად აღიქმება. ეს კი, „ვერდერისთვის" „ბაიერნთან" შედარებით უდიდესი უპირატესობაა.

პირველობისთვის ბრძოლაზე არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება ბრძოლა ელიტაში დარჩენისთვის. იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არაა მთლად გამოკვეთილი, თუ რომელი გუნდები იბრძოლებენ ლიგაში დასარჩენად. მე-13 ადგილიდან და ქვემოთ ნებისმიერი გუნდი შეიძლება გავარდეს. „დუისბურგი", „კოტბუსი", „ნიურნბერგი", „ჰანზა", „არმინია", „ბოხუმი" – თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ექვსეულიდან მინიმუმ ორი გუნდი მაინც გავარდება.

რატომ მხოლოდ და მხოლოდ ორი? იმიტომ, რომ არაა გამორიცხული, გაისად მეორე ბუნდესლიგაში „ჰერტა", „ვოლფსბურგი", „აინტრახტი" ან სულაც „დორტმუნდი" ვიხილოთ. ეს ნამდვილად არ გამიხარდება, მაგრამ დაზღვეული ჯერჯერობით არცერთი მათგანი არ არის.

**კრისტოფ დაუმი**
ბილდი

მომავალი მწვრთნელები

# გამონაკლისი მათეუსისთვის

## ლიცენზიას შოლიც აიღებს...

**ლოთარ მათეუსს** ძალიან ხშირად კბენენ იმის გამო, რომ მას სამწვრთნელო ლიცენზია არა აქვს, სამაგიეროდ აქვს იმის პრეტენზია, რომ მაღალი დონის მწვრთნელი ერქვას. მათეუსი 2004 წელს ძალიან გაწყენდა იმის გამო, რომ გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად არ დანიშნეს და ახლაც, როცა „ბაიერნში" არა ის, არამედ **იურგენ კლინსმანი** მიიწვიეს, მიუხედავად იმისა, რომ ლოთარი სულ იმეორებდა, „ბაიერნში" მუშაობას შევძლებო.

აი, მათეუსმა როგორც იქნა გადაწყვიტა, ლიცენზია აიღოს. და სპეციალურად მისთვის, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდიუმში გამონაკლისი დაუშვეს. საერთოდ, სამწვრთნელო კურსები იქ 10 თვეს გრძელდება ხოლმე, მაგრამ მათეუსს ნება დართეს, DFB-ს მასწავლებელ **ერიხ რუტემიოლერთან** სამთვიანი კურსები გაიაროს (თებერვლიდან მაისამდე).

*„დიახ, ლოთარის შემთხვევაში გამონაკლისი დავუშვით, მაგრამ ასეთი რამ სხვა დროს აღარ განმეორდება. მათეუსმა კი ეს ნამდვილად დაიმსახურა, რადგან გერმანული ფეხბურთის წინაშე უდიდესი დამსახურება აქვს,"* – ეს საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივნის, **ვოლფგანგ ნირსბახის** სიტყვებია. გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა DFB-ს სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმაც**. მეტიც, მათეუსთან მიმართებაში გამონაკლისის დაშვება სწორედ მისი იდეა გახლდათ.

*„ძალიან გამიხარდა, რომ ასეთი გამონაკლისი დაუშვეს. ამით უდიდეს დროს დავზოგავ და მადლობის თქმის მეტი არაფერი დამრჩენია,"* – აცხადებს მათეუსი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ ირანს უარი შეუთვალა – ირანის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ეპატიჟებოდნენ. რუტემიოლერი კი, რომელმაც მათეუსს უნდა ასწავლოს და მერე გამოცდები ჩაიბაროს, აცხადებს, ნურავინ იფიქრებს, რომ ლოთარი ლიცენზიას იოლად აიღებს, კურსი აბსოლუტურად ჩვეულებრივი, ოღონდ უფრო ინტენსიური იქნება და გამოცდაც არანაკლებ მკაცრი იქნება, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევებშიო.

სამწვრთნელო ლიცენზიის აღებას აპირებს **მეჰმეთ შოლიც**, რომელმაც კარიერა შარშან ზაფხულში დაასრულა. მაგრამ მას ჩვეულებრივი, ათთვიანი პროგრამის გავლა მოუწევს. ამის შესახებ ინფორმაცია ზამერმა გაავრცელა, რომელიც დარწმუნებულია, რომ შოლისგან მაღალი დონის სპეციალისტი დადგება. *„ზაფხულიდან საქმეს შევუდგები. ავიღებ ლიცენზიას და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან,"* – აცხადებს შოლი.

ინტერვიუ კევინ კურანისთან

# ევროპის ჩემპიონობა მინდა

## გერმანიის ჩემპიონობა შალკეში ერთად უფრო გემრიელი იქნება, ვიდრე ბაიერნში...

**მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ წელიწადნახევარზე მეტი გავიდა, მაგრამ როცა გერმანელი ჟურნალისტები „შალკეს" ფორვარდ კევინ კურანის ინტერვიუს ართმევენ, ყოველთვის ახსენებენ იმას, რომ იურგენ კლინსმანმა ის მუნდიალს მიღმა დატოვა. დღეს კევინი აღიარებს, მაშინ იმდენად დარწმუნებული ვიყავი განაცხადში მოხვედრაზე, რომ მოვეშვი და ამიტომაც დავისაჯეო. წინ ევროპის ჩემპიონატია და კურანი ორი წლის წინათ დაშვებული შეცდომის გამეორებას არ აპირებს. მისი მიზანი კონტინენტის პირველობის მოგებაა. ლევან კობიაშვილის თანაგუნდელს „ბილდ ამ ზონთაგი" გაესაუბრა.**

**- ჰერ კურანი, რამდენიმე თვის წინათ განაცხადეთ, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ 2008 წელი ჩემი წელიწადი იყოსო. რამდენად რეალურია ეს და რა მიზნები გაქვთ?**

- უმთავრესი მიზანი ევროპის ჩემპიონობაა და ვფიქრობ, ამ მიზნის მიღწევა რეალურია. ამასთან, მინდა, რომ „შალკესთან" ერთად ისევ მოვიპოვო ჩემპიონთა ლიგის საგზური და მინდა, რომ გერმანიის თასის ფინალში ვითამაშო.

**- ევროპის ჩემპიონობა ნებისმიერი გერმანელის ოცნებაა. მაგრამ ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ავსტრია/შვეიცარიაში გამარჯვება იოლი არ იქნება. ნახევარფინალში გასვლა დაგაკმაყოფილებთ?**

- არა! არავითარ შემთხვევაში.

**- და როგორ გგონიათ, აქვს კი ისეთ გუნდს ფინალში გასვლის შანსი, რომლის მეკარესაც კლუბში სათადარიგოთა სკამს ახეხინებენ?**

- რა თქმა უნდა. არ ვიცი და ვერ ვხვდები, რატომ არ ათამაშებენ მას „არსენალში". ფაქტი ის არის, რომ იენსმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. ვფიქრობ, მას ბევრს ვერაფერს დააკლებს ის, რომ ერთი სეზონის განმავლობაში ნაკლები სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა. ლემანი გამოცდილი, მაღალი დონის მეკარეა და დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ძალიან კარგად ითამაშებს.

**- ორი წლის წინათ, იურგენ კლინსმანმა მსოფლიოს ჩემპიონატის განაცხადიდან ბოლო წამს ამოგშალათ. ხომ არ გეშინიათ, რომ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე იოახიმ ლიოვიც ასე მოიქცევა?**

- არა მგონია, რომ ასე მოხდეს. მოდით, ასე ვიტყვი: ორი წლის წინათ ზედმეტად დარწმუნებული ვიყავი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მათამაშებდნენ. და არ ვმალავ, რომ მაშინ ცოტათი მოშვებული ვიყავი, რადგან მეგონა, რომ განაცხადში აუცილებლად მოვხვდებოდი. ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა. გაცილებით კონცენტრირებული და მონდომებული ვარ. ამიტომაც, არა მგონია, რომ ლიოვმა ევროპის ჩემპიონატს მიღმა დამტოვოს.

**- მუნდიალის შემდეგ კლინსმანს ერთხელ მაინც შეხვდით ან ტელეფონით ესაუბრეთ?**

- მხოლოდ ერთხელ შევხვდი. ეს შარშან, ინგლისთან მატჩის დროს მოხდა.

**- როგორ შეგხვდათ?**

- ჰმ... როგორ შემხვდებოდა? სიმართლე გითხრათ, ერთობ კომიკური შეხვედრა გამოვიდა. იცით, მე ისეთი ადამიანი, რომელიც წყენას მალე ივიწყებს და სხვაზე დიდხანს არ ბრაზობს. მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ადამიანებს წყენა ძალიან მალე ვაპატიო. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ საერთოდ, ადამიანში პირველ რიგში დადებით მხარეებს ვხედავ და მხოლოდ მერე უარყოფითს.

**- მაგრამ კლინსმანის შემთხვევაში ყველაფერი სხვანაირად იყო, არა?**

- მართალი ბრძანდებით, კლინსმანის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად იყო. მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩენა ჩემთვის იმდენად დიდ შოკი იყო, რომ თამამად შემიძლია ვთქვა, ამ შოკიდან დღესაც არ ვარ ბოლომდე გამოსული. შესაბამისად, ძალიან კომიკური იყო ის, რომ კლინსმანისთვის გამარჯობა უნდა მეთქვა და ხელი უნდა ჩამომერთმია.

**- კომიკური? რას გულისხმობთ?**

- თავისუფლად არ ვიყავი, ზეწოლის ქვეშ გახლდით მოქცეული. ჩემი ასეთი მდგომარეობა არავის გამოჰპარვია – სხვა ფეხბურთელებმაც შეამჩნიეს, რომ დაძაბული ვიყავი. მაგრამ საკუთარ თავს პატივს ვცემ, პატივს ვცემ კლინსმანსაც, რომელმაც 2006 წელს გერმანია გააბედნიერა – მივესალმე კიდეც და ხელიც ჩამოვართვი.

**- რამდენად შეგცვალათ იმ ფაქტმა, რომ 2006 წლის მუნდიალზე არ ითამაშეთ?**

- რომ გითხრათ, კარდინალურად შემცვალა-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. ალბათ უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვი, რომ ამ ამბავმა ცოტათი შემცვალა. მინდა, საკუთარ თავს დავუმტკიცო, რომ გაცილებით მეტის მიღწევა შემიძლია და სწორედ ეს არის ყველაზე მთავარი. მინდა, რომ უფრო და უფრო უკეთესი ფეხბურთელი გავხდე, განვვითარდე. ეს არის ჩემი მოტივაცია.

**- თქვენს პირად სტატისტიკაში ტიტულების გასწვრივ ჯერ კიდევ ნული წერია...**

- კარიერას რომ ვამთავრებდე, ძალიან დამწუხრებული ვიქნებოდი. მაგრამ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას ჯერ არ ვაპირებ. იმედია, ფეხბურთში კიდევ რამდენიმე წელს გავატარებ და შესაბამისად მინდა, რომ რამდენიმე ტიტული მოვიგო.

**- იქნებ „ბაიერნში" უნდა გადახვიდეთ იმისათვის, რომ კარიერის უტიტულოდ დასრულება არ მოგიხდეთ? მიუნხენურ კლუბში იმის გარანტია გექნებათ, რომ ტიტულს მოიგებთ...**

- მართალი ხართ: ყველაზე იოლი გამოსავალი „ბაიერნში" გადასვლა იქნებოდა. სხვათა შორის, 2005 წელს „ლიონში" გადასვლაც შემეძლო და ეს ნაბიჯი რომ გადამედგა, ახლა უკვე ტიტულოვანი ვიქნებოდი. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მე ტიტულების მოგება „შალკესთან" ერთად მინდა. ისე არ გამიგოთ, თითქოს „ბაიერნის" მიღწევებს ვაკნინებ, მაგრამ გერმანიის ჩემპიონობა „შალკესთან" ერთად გაცილებით ძვირად ფასობს და უფრო გემრიელია, ვიდრე გერმანიის ჩემპიონობა „ბაიერნთან" ერთად.

**- „შალკე" მესუთ იოზილის სახით უნიჭიერეს ფეხბურთელს კარგავს. რატომ მოხდა ასე?**

- ამ თემაზე დიდი კომენტარის გაკეთება არ მსურს. მესუთი თავის ასაკში გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. იოზილი უდიდესი ტალანტია. დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს მომავალში მასთან ერთად გერმანიის ნაკრებში ვითამაშებ.

**- მაგრამ?**

- „შალკეს" ქომაგისთვის მიუღებელი და წარმოუდგენელია ის, რომ 19 წლის ფეხბურთელმა ასეთ ჩინებულ პირობებზე უარი თქვას და ვაჭრობა წამოიწყოს. მაგრამ მოდით, მესუთს ამის გამო ნუ განვსჯით – ის ჯერ კიდევ პატარაა და ცხოვრებას ახლა სწავლობს. ნებისმიერ ადამიანს აქვს შეცდომის დაშვების უფლება.

**გოტფრიდ ლენც**

ნიუკასლი

# შირერს მეორე მწვრთნელობა არ სურს

## ალანი ჯორდების მომავალ მწვრთნელად, კიგანმა ვუდგეიტი ტოტენჰემს დაუთმო?

შაბათს ინგლისის ასოციაციის თასის მეოთხე რაუნდში, "ნიუკასლი" "არსენალს" შეხვდა. ლონდონელებმა 3:0 გაიმარჯვეს. **კევინ კიგანის** გუნდმა მეორე უგოლო მატჩი ჩაატარა. "მირორი" იუწყება, რომ შეხვედრის წინ კიგანმა ფეხბურთელები შეკრიბა და ასე დაარიგა - არსენალი" მაღალ ტემპში თამაშობს, მეტოქე მოკლე პასებით შეეცდება მიზნის მიღწევას, ვეცადოთ, ჩვენ უკეთესი პასები ვაკეთოთო. ტაბლოიდს თუ დავუჯერებთ, "ნიუკასლის" ვარსკვლავები გაოგნებულები შეჰყურებდნენ თავიანთ მწვრთნელს. ისინი კონკრეტულ მითითებებს ელოდებოდნენ, კიგანი ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა და ტაქტიკა და სტრატეგია ერთხელაც არ უხსენებიაო.

"არსენალმა" საკმაოდ იოლად გაიმარჯვა. მან ნაწილობრივ მაინც მოახერხა რეაბილიტაცია "ტოტენჰემთან" განცდილი ფიასკოს (ლიგის თასზე 1:5) შემდეგ. **ემანუელ ადებაიორმა** ორი გოლი შეაგდო. ნიუკასლელმა **ნიკი ბატმა** კი ავტოგოლი გაიფორმა. სამართლიანობა მოითხოვს, ალინიშნოს, რომ ჯორდებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს. მათ მეტოქის კართან (რომელსაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ **იენს ლემანი** იცავდა) ორი სახიფათო მომენტი შექმნეს: **ალან სმიტის** იერიშისას **გაელ კლიშიმ** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, ხოლო **მაიკლ ოუენმა** ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცილა.

"ნიუკასლს" ასოციაციის თასს გამოეთიშა. კიგანმა ახლა მხოლოდ პრემიერლიგაზე უნდა იფიქროს. მწვრთნელი შემადგენლობის გაძლიერებას ცდილობს. გაურკვეველი ვითარება შეიქმნა **ჯონათან ვუდგეიტთან** დაკავშირებით. "მიდლსბროს" ცენტრალურ მცველს "სენტ ჯეიმს პარკზე" დაბრუნება შესთავაზეს. გუშინდელმა "სანმა" კი გვაუწყა, რომ გარიგება არ შედგება. "ბორომ" 28 წლის ვუდგეიტი "მანსფილდთან" სათასო მატჩის განაცხადში არ შეიყვანა. ჯონათანს ნიუკასლში ელოდებოდნენ. მას სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო. ტრანსფერის დეტალები შეთანხმებული იყო. ბოლო წუთს ვუდგეიტმა კონტრაქტის გაფორმება გადაიფიქრა.

საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, "სანი" კიგანს შეეხმიანა. მწვრთნელმა მიუგო - როგორც ჩანს, ვუდგეიტი "ტოტენჰემში" წავა. "მიდლსბრო" ორივე კლუბთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, ჯონათანმა კი ლონდონი აირჩიაო. "მირორი" ბოლო წუთამდე დარწმუნებული იყო, რომ ვუდგეიტი "ნიუკასლში" გადაიდოდა და რომ ჯორდები 8 მილიონ გირვანქას იხდიდნენ. "მიდლსბროს" ამ თანხის გარეშე არ დარჩება. მას "მამლები" მიუთვლიან. "ტოტენჰემს" ვუდგეიტის ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

დავუბრუნდეთ "ნიუკასლს". კიგანს კიდევ ერთი გარიგება ჩაუვარდა. **ალან შირერმა** მისი ასისტენტობა იუარა. ამის შესახებ მიმომხილველებს ჯორდების თავკაცმა აუწყა: *"ოთხი საათის განმავლობაში ვისაუბრეთ. მასთან შეხვედრა სასიამოვნო იყო. გულწრფელი დიალოგი გამოგვივიდა. ალანმა ყველაფერი დეტალურად გამოიკითხა. შევეცადე, მის კითხვებზე ამომწურავად გამეცა პასუხი. მან მითხრა, რომ მეორე მწვრთნელად მუშაობა არ სურს. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ალანი "ნიუკასლში" მაინც დაბრუნდება და რაიმე თანამდებობას დაიკავებს."*

კიგანის დანიშვნამდე შირერი მთავარი მწვრთნელობის კანდიდატი იყო. ჟურნალისტების აზრით, შესაძლოა, მან მისტერ კევინი შეცვალოს. კიგანმა კლუბთან სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი ამოწურვის შემდეგ მწვრთნელი 60 წლისა იქნება. ეს საპენსიო ასაკია. ალანს დღესაც არა ერთი საინტერესო შეთავაზება აქვს, მაგრამ მას მხოლოდ "ნიუკასლის" გაწვრთნა სურს. 2011 წელს ის საპასუხისმგებლო პოსტისათვის მზად იქნება.



კევინ კიგანის გუნდმა ორი უგოლო მატჩი ჩაატარა


ეროვნული ბიბლიოთეკა


ხუანდე რამოსს ჯერმეინ დეფო არ ეთმობა

ტოტენჰემი

# დეფო რჩება

## დეკუ და ორი მიდლსბროელი უაით ჰართ ლეინზე

**ჯერმეინ დეფო** მზადაა, წერტილი დაუსვას სპეკლაციებს მისი "ტოტენჰემიდან" აბარგების შესახებ. თავდამსხმელი "მამლებთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. დეფოს მოქმედ ხელშეკრულებაში 18 თვეა დარჩენილი. საუბარია თანამშრომლობის ოთხი წლით გაგრძელებაზე. შეთანხმების შემთხვევაში, ფეხბურთელს კვირაში 40 ათას გირვანქას დაუნიშნავენ. 25 წლის დეფო ლონდონური კლუბის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავი გახდება. მკითხველს შევახსენებთ, რომ "უაით ჰართ ლეინზე" ახალი მწვრთნელის მისვლის შემდეგ ჯერმეინს პრობლემები შეექმნა. ინგლისურ გაზეთებში ისიც კი დაწერეს, **ხუანდე რამოსმა** დირექტორებს დეფოს გაყიდვას მოსთხოვაო. სპეკულაციების გაჩაღებიდან ერთი კვირის შემდეგ, პრემიერლიგის კალენდარულ მატჩში, ჯერმეინი "ტოტენჰემის" კაპიტნის რანგში ვიხილეთ. რამოსმა გულშემატკივრებს დაანახა, რომ ის დეფოს გუნდისათვის საჭირო ფეხბურთელად მიიჩნევდა. ჯერმეინის შეძენა "ასტონ ვილას" სურდა, თუმცა მარტინ ონილს სხვა თავდამსხმელის მოძებნა მოუწევს.

გუშინდელ "მირორში" ხუანდე რამოსის საინტერესო კომენტარი გამოქვეყნდა. ესპანელმა მწვრთნელმა მიმომხილველს აუწყა, სატრანსფერო საკითხებს მარტო მე არ ვწყვეტო: *"გადაწყვეტილებას გუნდურად ვიღებთ. დირექტორატის გავლენიანი წევრები და მე ვსხდებით, ვთათბირობთ და კანდიდატებზე ვთანხმდებით. მაგალითად, მე უკვე შვიდი თუ რვა ფეხბურთელი დავიწუნე, რომელთა შეძენა დირექტორებს სურდათ, მე კი მივიჩნიე, რომ ისინი გუნდს ვერაფერს შესძენდნენ."*

რამოსს არც ის დაუმალავს, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო **ალან ჰატონი**, რომელიც "ტოტენჰემში" გადადის. დაინტერესებულ მკითხველს მოვახსენებთ, რომ ჰატონი "რეინჯერსის" მარჯვენა მცველია და "მამლებს" მისი ტრანსფერისათვის 8 მილიონი გირვანქა აქვს გამზადებული. რამოსის კომენტარით თუ ვიმსჯელებთ, დირექტორატმა მისი შეძენა მწვრთნელის გარეშე გადაწყვიტა.

ზაფხულის ტრანსფერებისას "ტოტენჰემი" ბარსელონელი **დეკუს** შეძენას ეცდება. პორტუგალიელ ნახევარმცველს ინგლისში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ მისი მომავალი კლუბის ვინაობა უცნობია. "ტოტენჰემის" გარდა, მას "ნიუკასლი" და "ჩელსიც" ეპატიჟებიან. მიმდინარე სეზონი დეკუს ბარსელონურ კარიერაში საუკეთესო არ არის. ესპანური გაზეთები წერენ, რომ სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, "ბარსა" ფეხბურთელს გაყიდის. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია.

და კიდევ, ნიუს ოფ ზე უორლდის ცნობით, "ტოტენჰემში" ჩაირიცხება **ჯონათან ვუდგეიტი**. "მიდლსბრო" მის სანაცვლოდ 7.5-8 მილიონ გირვანქას მიიღებს. "მამლებს" "რივერსაიდიდან" კიდევ ერთი ფეხბურთელის გადაყვანა უნდათ - ინგლისის ნაკრების გარემარბ **სტიუარტ დაუნინგის**, რომელიც 12 მილიონი გირვანქა ღირს. პოპულარული ინგლისური ტაბლოიდის ცნობით, ტრანსფერები უახლოესი 48 საათის განმავლობაში უნდა განხორციელდეს.

მანჩესტერ სიტი

# რიჩარდსი: ახალი კონტრაქტი თუ ტრანსფერი?

## სვენს თავდამსხმელი სჭირდება

"მანჩესტერ სიტი" მიკა რიჩარდსთან თანამშრომლობის გაგრძელებას ცდილობს. მოლაპარაკებები შეჩერებული იყო. რიჩარდსი ახალ აგენტთან აფორმებდა კონტრაქტს. მან ეს საკითხი მოაგვარა. აგენტმა "სიტის" ხელმძღვანელობასთან პირველი შეხვედრა გამართა და თავისი კლიენტის პირობები გააცნო. რიჩარდსმა ხელშეკრულების გაგრძელების სანაცვლოდ კვირაში 70 ათასი გირვანქა მოითხოვა. მანჩესტერელებმა ეს წინადადება უარყვეს. ისინი მზად არიან, 50 ათასი გირვანქა გადაუხადონ. ამ ხელფასის დანიშვნის შემთხვევაში, რიჩარდსი "სიტის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. მაგრამ მისი შემოსავალი საგრძნობლად ნაკლოები იქნება იმასთან შედარებით, რასაც ინგლისის ნაკრების სხვა ვარსკვლავები იღებენ. 19 წლის რიჩარდსმა უნდა გადაწყვიტოს: აწყობს თუ არა 50 ათასი. თუ არა, სეზონის დასრულებისთანავე ტრანსფერზე დააყენებენ. მოვლენების განვითარებას თვალს ადევნებენ პრემიერლიგის გრანდები. "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" მიკას შეძენა სურთ. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ რიჩარდსი "სიტის" წინადადებას დათანხმდება და დღევანდელ გუნდში დარჩება. ორიოდე დღის წინ მანჩესტერელთა თავკაცმა **სვენ გორან ერიქსონმა** განაცხადა, დაინტერესებულ კლუბებს შეუძლიათ, საკუთარი სტადიონები გაყიდონ, მაგრამ ის ფული რიჩარდსის შეძენას მაინც არ ეყოფაო. შემდეგ სვენმა კატეგორიულად დასძინა, რომ ახალგაზრდა მცველი არ იყიდება.

განვაგრძოთ "სიტის" სატრანსფერო ამბების მიმოხილვა. მანჩესტერულ კლუბს სევილიელი თავდამსხმელის **ლუიშ ფაბიანოს** შეძენა სურს. "მირორის" ცნობით, ანდალუსიური კლუბი 60 მილიონ ევროს ითხოვს. სწორედ ეს თანხა დაასახელა სევილიელთა პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ ნიდომ**, როცა მას ესპანეთში შეეხმიანნენ - ლუიშ ფაბიანო არ იყიდება. მისი აბარგება გამორიცხულია. ტყუილად წურავინ იოცნებებს. ფეხბურთელის ტრანსფერზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიფიქრებთ, თუ 60 მილიონ ევროზე მეტს შემოგვთავაზებენო. "სიტი" საკმაოდ შეძლებული კლუბია, მაგრამ არც იმდენად, რომ ამხელა თანხა ერთ ფეხბურთელში გადაიხადოს.

ბარსელონის "ესპანიოლმა" მანჩესტერელთა ბერძენ თავდამსხმელს, **გიორგიოს სამარასს** დაადგა თვალი. კატალონიელებს საუკეთესო ბომბარდირი და კაპიტანი **რაულ ტამუდო** დაუშავდათ. მან მკლავი მოიტეხა და რამდენიმე თვე ვერ ითამაშებს. სამარასი ტამუდოს შემცვლელად შეიგულეს. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

საერთოდ, "სიტისათვის" ახალი ფორვარდი აქტუალური თემაა. მოგეხსენებათ, იტალიელი **როლანდო ბიანკი** იჯარით "ლაციოში" მიავლინეს. ლუიშ ფაბიანოთი დაინტერესებაც ამით უნდა აიხსნას და თუ სამარასის გაყიდვაზე უარს განაცხადებენ, არც ეს იქნება გასაკვირი. სვენი ბიანკის შემცვლელს არა მარტო ესპანეთში ეძებს. რუსული სააგენტოებით ცნობით, მას სურს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ცსკასა და ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი, **ვაგნერ ლავი** გადაიბიროს. მოლაპარაკებები 23 წლის ფეხბურთელის ტრანსფერის შესახებ უახლოეს 24 საათში დაიწყებაო, ვკითხულობთ "სპორტ-ექსპრესში". სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეები რჩება.

და კიდევ, "სიტიმ" "ინტერის" კოლუმბიელი მცველი **ნელსონ რივასი** მოიკითხა. მანჩესტერელებმა იტალიურ გრანდს თანხის დასახელება შესთავაზეს. იანვრის ფანჯრისას რივასის ინგლისში გადაბარგება არარეალურიაო, წერენ აპენინელი ჟურნალისტები.



მიკა რიჩარდსი

### რეალი: ორი ბრაზილიელი ახალწვეული?

"რეალს" "სანტოსის" ამომავალი ვარსკვლავის, **ტიაგო ლუიშ მარტინსის** შეძენა სურს. 18 წლის ბრაზილიელს ლიონელ მესის ადარებენ. მისი აგენტი ვაგნერ რიბეირო მადრიდში უახლოეს დღეებში ჩავა და მოლაპარაკებებს გამართავს. სავარაუდოდ, სამეფო კლუბი "სანტოსთან" წინასწარ კონტრაქტს გააფორმებს. ტიაგო მადრიდში სეზონის დასრულებისთანავე გადავა. ვაგნერ რიბეირო მადრიდელთა კიდევ ერთი ვარსკვლავის, **რობინიოს** აგენტია. "რეალმა" ეს თავდამსხმელიც "სანტოსიდან" შეიძინა.

მადრიდში გადასვლას კიდევ ერთ ბრაზილიელ თავდამსხმელს უწინასწარმეტყველებენ. პალერმოელ **ამაურის** ვგულისხმობთ. გასულ ზაფხულს ამაურის რომა ეპატიჟებოდა. სიცილიელთა პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** 18 მილიონი გირვანქა მოითხოვა. ჯალოროსიმ მოლაპარაკებები დაუყოვნებლივ შეწყვიტა. "პალერმო" ფეხბურთელს დღესაც ძვირად აფასებს, რათა დაინტერესებული კლუბები ჩამოიშოროს. ამაურის აგენტი მარიანო გრიმალდი ამბობს, რომ მისი კლიენტი სეზონის ბოლომდე სიცილიაში დარჩება. "რეალის" გარდა, ფეხბურთელს "მილანი" და "იუვენტუსიც" აკვირდებიან.

### ვენგერის გეგმები შეიცვალა

**არსენ ვენგერი** თეო უოლკოტს იჯარით აღარ გაუშვებს. ორი დღის წინ "მირორმა" გვაუწყა, "არსენალის" თავკაცმა პრემიერლიგის მწვრთნელებს ჩამოურეკა და ახალგაზრდა თავდამსხმელი შესთავაზაო. ვენგერს სურდა, მის შეგირდს სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდა. ამიტომ დაინტერესებულ კლუბებს ექვსთვიან საიჯარო ხელშეკრულებას სთავაზობდა. მაგრამ გეგმები შეიცვალა. "არსენალს" საკადრო პრობლემები შეექმნა. ვენგერის ამბობს, რომ მის განკარგულებაში 17 ჯანმრთელი ფეხბურთელია. მოსიე არსენს ყველა მათგანი სჭირდება. უოლკოტის იჯარით გადაყვანა "ბლექბერნს" სურდა. ვარდების თავკაცმა მარკ ჰიუზმა ჩაშლილი გარიგების გამო უკმაყოფილება ვერ დამალა. აქვე გეტყვით, რომ "არსენალი" და "მანჩესტერ იუნაიტედი" "ევერტონის" მცველ **ჯოლეონ ლესკოტით** დაინტერესდნენ. გასულ ზაფხულს, სპეკულაციების თანახმად, ლესკოტის შეძენა მადრიდის "რეალსაც" სურდა. ჯოლეონი ინგლისის ნაკრების კანდიდატია. ის "ევერტონში" საუცხოო სეზონს ატარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

XXIII ტური

**ლილი-პსჟ 0:0**

**ლილი:** მალიჩკი, ბერია, რამი, პლესტანი, ტაფორო, მავუბა, კაბეიე, დებუში, ობრანიაკი (90. ჰაზარი), ბასტოსი (76. მირალა), ფოვერგი.

**პსჟ:** ლანდრო, სეარა, ზ. კამარა, იეპესი, არმანი, ჟ. კლემანი, შანტომი, ბ. მენდი (83. არნო), როტენი, ლუინდულა (86. ბურილიონი), დიანე.

**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 14 896

**მარსელი-კაენი 6:1**

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ჟ. როდრიგესი, ჟივე, კრუპოვიესა, კანა (67. კაბორე), ბე. შეირუ, კ. ზიანი, ნასრი, ვალბუენა (90. ზენდენი), ჯ. სისე (84. აკალე)

**კაენი:** კოსტილი, ენგბარტი, ტიამი, სორბონი, სეოზი (67. მაზური), პრომანი, ნივე (76. კელერი), დერუანი, ელუჩანსი, გუფრანი, ტუდიჩი (56. კომპანი).

**გოლები:** 0:1 ტუდიჩი (2), 1:1 ჯ. სისე (28), 2:1 ვალბუენა (41), 3:1 ვალბუენა (43), 4:1 ჯ. სისე (55), 5:1 ჯ. სისე (57), 6:1 ნასრი (81)

**გაფრთხილება:** 1-3
**მაყურებელი:** 45 000

**ლე მანი-მონაკო 1:0**

**ლე მანი:** როში, კალვე, ჟედერი, სედრანი, ბუპური (83. სამასა), კუტადორი, ლუვიონი, იებდა, მაცუი (80. ბაალი), მაეგა, ლე ტალეკი (90. პინო).

**მონაკო:** რომა, ადრიანო, ბოლივარი, მონსორო (6. მოდესტო), მურატორი, მერიემი (69. ალმირონი), დ. პერესი, ლეკო (58. გაკპე), ნენე, მენეზი, პიკიონი.

**გოლი:** 1:0 მაცუი (23)
**გაფრთხილება:** 1-3
**მაყურებელი:** 9 417

**ოსერი-ნანსი 0:0**

**ოსერი:** სორენი, ტამაში, გრიშტინგი, მინო, ჟორესი, შაფნი, პედრეტი, კალენბერგი, ოლიეში (65. ი. ბა), ლეჟონი (86. ა. ტრაორე), ნიკულაე.

**ნანსი:** ბრასილიანო, სოგე, ანდრე ლუისი, პუიგრენიე, ბიანკალანი, ბერენგერი, ბ. გავანონი, ბრისონი, მალონგა (68. კიმი), ი. დია (71. კურბელო), ფორტუნე.

**გაფრთხილება:** 4-1
**მაყურებელი:** 6 548

**ტულუზა-ნიცა 1:1**

**ტულუზა:** დუშე, ებონდო, სეტო, არიბაჟე, ილუნგა, დიოზი, პაულო სეზარი, არაში (87. ბატლი), მ. სისოკო, ელმანდერი, გინიაკი (82. სირიეი).

**ნიცა:** ლორისი, ჟონეშამი, სიდი, ალიაია, როოლი, ეშუაფნი (46. მოდესტე), ბალმონი, ელებუიკი, ედერსონი, ბამოგო, ლასლანდი (74. მ. ტრაორე).

**გოლები:** 1:0 არიბაჟე (34), 1:1 ედერსონი (89)

**გაფრთხილება:** 3-1
**მაყურებელი:** 15 408

**მეცი-რენი 1:1**

**მეცი:** მარიშე, კუბილიე, ბასონგი, მ. დიოპი, კ. გეიე, ფრანსუა, აგუაზი (68. რენუარი), ბესა (57. პიანიჩი), ჟიგაქსი, შაპუი (68. მომ. ნ'დიაიე), აგირე.

**რენი:** პუპლენი, დ. ტრაორე (46. დანზე), დემბელე, ჰანსონი, ფანი, ლემუანი, სორლენი,ძ ვილტორი (71. მარვო), ტომერტი, პაჟისი (59. ე. დიდო), ბრიანი.

**გოლები:** 0:1 ტომერტი (30), 1:1 მომ. ნ'დიაიე (79)

**გაფრთხილება:** 0-0
**მაყურებელი:** 9 823

**ლანსი-სტრასბური 2:2**

**ლანსი:** რუნიე, ჰილტონი, ბელაჯი, ლორენტი, ბიშევაცი, დემონი (80. ლაკური), მონტერუბიო, სი. კეიტა, კოვაჩევიჩი, მაულიდა, ხიტერი (46. მონე-პაკე).

**სტრასბური:** კასარი, დოს სანტოსი, დუკროკი, ბელაედი, ჟელეში, როდრიგო, კოადი, აბდესადკი (71. იოჰანსენი), ლაკური, გამეირო (75. სანტოსი), რენტერია (61. მულუნგუ).

**გოლები:** 0:1 რენტერია (4), 1:1 მონტერუბიო (6-პენ), 1:2 ა. სანტოსი (76), 2:2 მონტერუბიო (82)

**გაფრთხილება:** 3-4
**მაყურებელი:** 31 323

**სოშო-ვალანსი 1:0**

**სოშო:** რიშერი, დაფი (30. პიშო), ბრეშე, იოკიჩი, პერკისი, ისაბეი, მორის-ბელეი (91. მატისი), პიტო, ერდინგი, დალმა, ტრაორე (74. ვარგასი).

**ვალანსი:** პენეტო, დუკურტუა, მარტინესი, სომეი, ტრაორე, რუდე, საესი, სანჩესი (69. დუმენგი), მატერი (42. სებო), პუოლი, სავიდანი (78. ოდელი).

**გოლი:** 1:0 ბრეშე (23)
**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 12 518

**ლორიანი-ბორდო 1:0**

**ლორიანი:** ოდარი, ჟალე, ჟენტონი, სიანი, მორელი, ეძოლო, აბრიელი, ოტკოერი, ჟუფრე (75. ფ. რობერი), ლე პენი (90+2. მურა), საიფი.

**ბორდო:** რამე, ჟურიეტი, ენრიკე, პლანუსი, მანაგა, ა. დიარა, დუკასი (82. მიკუ), ობერტანი, იუსი (72. ალონსო), ვენდელი, ბელიონი (72. კავენაგი).

**გოლი:** 1:0 ჟალე (77-პენ)
**გაფრთხილება:** 2-1
**მაყურებელი:** 11 182

**სტ. ეტიენი-ლიონი 1:1**

**სტ. ეტიენი:** ვივიანი, დაბო, ნივალდო (46. ბენალუანი), ტაველარიდისი, ვარო, დერნისი (76. დუალა), ლანდრენი, მატუიდი, პერენი (54. გარენი), გომისი, ილანი.

**ლიონი:** კუპე, კლერი, გროსო, სკილაჩი, ბოდმერი, კროსასი (64. ფრედი), კალსტრიომი, ტულალანი, ბენ არფა (69. ს. დელგადო), ბენზემა, გოვუ (81. რემი).

**გოლები:** 1:0 გომისი (45), 1:1 ბენზემა (90+1)

**გაფრთხილება:** 1-3
**მაყურებელი:** 34 138

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 23 | 14 | 4 | 5 | 44-22 | 46 |
| 2. ბორდო | 23 | 12 | 6 | 5 | 34-26 | 42 |
| 3. ნანსი | 23 | 9 | 11 | 3 | 26-13 | 38 |
| 4. ნიცა | 23 | 9 | 10 | 4 | 23-16 | 37 |
| 5. მონაკო | 23 | 10 | 4 | 9 | 28-21 | 34 |
| 6. კაენი | 23 | 9 | 7 | 7 | 25-26 | 34 |
| 7. ლორიანი | 23 | 8 | 9 | 6 | 22-22 | 33 |
| 8. ლე მანი | 23 | 10 | 3 | 10 | 29-33 | 33 |
| 9. ვალანსი | 23 | 9 | 5 | 9 | 27-23 | 32 |
| 10. მარსელი | 23 | 8 | 8 | 7 | 31-26 | 32 |
| 11. რენი | 23 | 8 | 6 | 9 | 23-28 | 30 |
| 12. პსჟ | 23 | 7 | 8 | 8 | 22-21 | 29 |
| 13. სტ. ეტიენი | 23 | 8 | 5 | 10 | 23-24 | 29 |
| 14. სტრასბური | 23 | 7 | 8 | 8 | 23-24 | 29 |
| 15. ლანსი | 22 | 7 | 6 | 9 | 23-27 | 27 |
| 16. ტულუზა | 23 | 6 | 9 | 8 | 23-28 | 27 |
| 17. ლილი | 22 | 5 | 12 | 5 | 23-21 | 27 |
| 18. ოსერი | 23 | 7 | 5 | 11 | 19-31 | 26 |
| 19. სოშო | 23 | 5 | 8 | 10 | 19-27 | 23 |
| 20. მეცი | 23 | 1 | 6 | 16 | 12-40 | 9 |

**ბომბარდირები:** 15 - ბენზემა (ლიონი); 11 - ბელიონი (ბორდო); 10 - ნიანგი (მარსელი), ელმანდერი (ტულუზა), დე მელო (ლე მანი); 8 - საიფი (ლორანი), ნიკულაე (ოსერი), კონე (ნიცა), ჯ. სისე (მარსელი); 7 - ჟუნინიო (ლიონი), მენეზი (მონაკო), ოდელი (ვალანსი), პიკიონი (მონაკო), რენტერია (სტრასბური), სავიდანი (ვალანსი).

### II დივიზიონი

XXII ტური

| | |
|---|---|
| აიაჩო-ანჟერსი | 1:1 |
| ბულონი-გინგამი | 0:2 |
| ბრესტი-კლერმონი | 1:1 |
| დიჟონი-სედანი | 1:1 |
| გრენობლი-ამიენი | 2:2 |
| გენიონი-ბასტია | 0:1 |
| ლიბურნი-შატორუ | 1:0 |
| ნიორი-რეიმსი | 0:1 |
| ტრუა-მონპელიე | 2:1 |
| ნანტი-ჰავრი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნანტი | 21 | 12 | 6 | 3 | 33-17 | 42 |
| 2. ჰავრი | 20 | 11 | 7 | 2 | 36-18 | 40 |
| 3. ტრუა | 21 | 10 | 8 | 3 | 29-19 | 38 |
| 4. ბასტია | 21 | 10 | 6 | 5 | 31-19 | 36 |
| 5. კლერმონი | 21 | 8 | 11 | 2 | 32-21 | 35 |
| 6. გრენობლი | 22 | 9 | 7 | 6 | 29-23 | 34 |
| 7. მონპელიე | 22 | 8 | 8 | 6 | 25-18 | 32 |
| 8. ანჟერსი | 22 | 8 | 8 | 6 | 21-19 | 32 |
| 9. აიაჩო | 22 | 8 | 8 | 6 | 24-23 | 32 |
| 10. სედანი | 21 | 7 | 9 | 5 | 26-24 | 30 |
| 11. ბულონი | 22 | 7 | 6 | 9 | 25-31 | 27 |
| 12. ბრესტი | 22 | 7 | 6 | 9 | 19-28 | 27 |
| 13. გინგამი | 22 | 6 | 8 | 8 | 21-21 | 26 |
| 14. რეიმსი | 21 | 7 | 4 | 10 | 24-34 | 25 |
| 15. შატორუ | 22 | 5 | 8 | 9 | 21-26 | 23 |
| 16. ნიორი | 22 | 6 | 4 | 12 | 20-26 | 22 |
| 17. დიჟონი | 22 | 4 | 10 | 8 | 16-30 | 22 |
| 18. ლიბურნი | 21 | 4 | 6 | 11 | 25-37 | 18 |
| 19. ამიენი | 21 | 3 | 8 | 10 | 20-31 | 17 |
| 20. გენიონი | 22 | 2 | 8 | 12 | 21-33 | 14 |

## საბერძნეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ერგოტელისი-ოფი | 1:1 |
| ქსანთი-ვერია | 2:0 |
| ირაკლისი-ასტერასი | 0:0 |
| პანიონიოსი-აპოლონი | 2:1 |
| აეკ-ლევადია | 3:0 |
| ლარისა-ატრომიტოსი | 2:0 |
| ოლიმპიაკოსი-არისი | 1:0 |
| პაოკ-პანათინაიკოსი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აეკ | 18 | 14 | 0 | 4 | 39-9 | 42 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 18 | 12 | 5 | 1 | 33-13 | 41 |
| 3. პანათინაიკოსი | 18 | 12 | 4 | 2 | 26-7 | 40 |
| 4. ასტერასი | 18 | 8 | 7 | 3 | 17-8 | 31 |
| 5. არისი | 18 | 8 | 5 | 5 | 18-11 | 29 |
| 6. ქსანთი | 18 | 7 | 4 | 7 | 19-16 | 25 |
| 7. პანიონიოსი | 18 | 7 | 4 | 7 | 21-25 | 25 |
| 8. პაოკ | 18 | 7 | 2 | 9 | 19-19 | 23 |
| 9. ატრომიტოსი | 18 | 6 | 3 | 9 | 13-19 | 21 |
| 10. ლარისა | 18 | 3 | 10 | 5 | 14-17 | 19 |
| 11. ირაკლისი | 18 | 4 | 7 | 7 | 13-18 | 19 |
| 12. ლევადია | 18 | 5 | 3 | 10 | 14-32 | 18 |
| 13. ვერია | 18 | 4 | 5 | 9 | 13-24 | 17 |
| 14. ოფი | 18 | 4 | 4 | 10 | 21-32 | 16 |
| 15. აპოლონი | 18 | 3 | 6 | 9 | 18-33 | 15 |
| 16. ერგოტელისი | 18 | 2 | 7 | 9 | 11-26 | 13 |

## თურქეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ოფთასი-ისთანბული | 3:2 |
| ბეშიქთაში-გაზიანთეფი | 3:1 |
| ქასიმფაშა-ქაისერი | 0:2 |
| კონია-ანკარა | 1:3 |
| მანისა-დენიზლი | 3:2 |
| სივასი-ფენერბაჩე | 1:4 |
| ანკარაგიუჯუ-გალათასარაი | 0:4 |
| ბურსა-გენჩლერი | დღეს |
| რიზე-ტრაბზონი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 20 | 13 | 6 | 1 | 39-14 | 45 |
| 2. ფენერბაჩე | 20 | 13 | 5 | 2 | 41-20 | 44 |
| 3. ბეშიქთაში | 20 | 13 | 4 | 3 | 31-18 | 43 |
| 4. სივასი | 19 | 13 | 1 | 5 | 30-17 | 40 |
| 5. ქაისერი | 20 | 9 | 8 | 3 | 30-17 | 35 |
| 6. ოფთასი | 20 | 7 | 6 | 7 | 22-20 | 27 |
| 7. დენიზლი | 20 | 7 | 5 | 8 | 26-26 | 26 |
| 8. ანკარაგიუჯუ | 20 | 6 | 7 | 7 | 21-27 | 25 |
| 9. კონია | 20 | 7 | 4 | 9 | 24-35 | 25 |
| 10. გაზიანთეფი | 20 | 7 | 3 | 10 | 24-32 | 24 |
| 11. ტრაბზონი | 18 | 6 | 4 | 8 | 23-23 | 22 |
| 12. ისთანბული | 20 | 5 | 6 | 9 | 24-27 | 21 |
| 13. რიზე | 19 | 6 | 3 | 10 | 21-36 | 21 |
| 14. ანკარა | 20 | 4 | 8 | 8 | 19-23 | 20 |
| 15. ბურსა | 19 | 4 | 8 | 7 | 17-21 | 20 |
| 16. მანისა | 20 | 5 | 5 | 10 | 26-33 | 20 |
| 17. გენჩლერი | 19 | 4 | 6 | 9 | 24-29 | 18 |
| 18. ქასიმფაშა | 20 | 2 | 3 | 15 | 15-39 | 9 |

## ჰოლანდია

XXII ტური

**ვილემი-ალკმაარი 3:0**
**გოლები:** 1:0 მესუდი (37), 2:0 ბუტაჰარი (62), 3:0 ვან დერ სტრუიკი (87-პენ)

**ეინდჰოვენი-ექსელსიორი 2:1**
**გოლები:** 1:0 დჟმუდჟაკი (7), 1:1 დენ ოუდენი (81), 2:1 კოვერმანსი (90)

**როდა-ბრედა 0:2**
**გოლები:** 0:1 სიკორა (38), 0:2 იდაბდელჰეი (68)

**გრააფსხაპი-ჰერენვეენი 0:3**
**გოლები:** 0:1 ბრედლი (24), 0:2 სულეიმანი (64), 0:3 ბრედლი (80)

**ნიიმეგენი-უტრეხტი 2:0**
**გოლები:** 1:0 ბოკერინგი (68), 2:0 ჰოლმანი (78)

**ვიტესი-აიაქსი 2:2**
**გოლები:** 1:0 იუნკერი (7), 1:1 ემანუელსონი (46), 1:2 სუარესი (50), 2:2 გომანსი (55)

**ვენლო-ჰერაკლესი 0:5**
**გოლები:** 0:1 ლოომსი (10), 0:2 გარსია (33), 0:3 ლაკიჩი (41), 0:4 ლაკიჩი (50), 0:5 გლუშჩევიჩი (83)

**ტვენტე-სპარტა 1:2**
**გოლები:** 0:1 როსე (28), 1:1 დენებოომი (38), 1:2 დისელსი (53)

**ფეიენოორდი-გრონინგენი 1:1**
**გოლები:** 0:1 ბერგი (32), 1:1 ფლედეროსი (45-საკ. კარში)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 21 | 14 | 4 | 3 | 46-17 | 46 |
| 2. აიაქსი | 21 | 11 | 8 | 2 | 57-29 | 41 |
| 3. ჰერენვეენი | 22 | 12 | 4 | 6 | 56-28 | 40 |
| 4. ფეიენოორდი | 21 | 12 | 4 | 5 | 39-18 | 40 |
| 5. გრონინგენი | 22 | 12 | 4 | 6 | 38-35 | 40 |
| 6. ტვენტე | 22 | 9 | 9 | 4 | 35-22 | 36 |
| 7. ბრედა | 21 | 10 | 5 | 6 | 27-26 | 35 |
| 8. ვიტესი | 22 | 9 | 5 | 8 | 30-30 | 34 |
| 9. როდა | 22 | 9 | 6 | 7 | 38-35 | 33 |
| 10. უტრეხტი | 22 | 9 | 5 | 8 | 44-38 | 32 |
| 11. ალკმაარი | 21 | 8 | 4 | 9 | 33-34 | 28 |
| 12. გრააფსხაპი | 22 | 7 | 4 | 11 | 25-41 | 25 |
| 13. ჰერაკლესი | 22 | 6 | 4 | 12 | 22-43 | 22 |
| 14. ვილემი | 22 | 5 | 4 | 13 | 26-29 | 19 |
| 15. ვენლო | 22 | 4 | 7 | 11 | 25-49 | 19 |
| 16. სპარტა | 21 | 4 | 6 | 11 | 31-49 | 18 |
| 17. ნიიმეგენი | 22 | 4 | 6 | 12 | 21-39 | 18 |
| 18. ექსელსიორი | 22 | 4 | 3 | 15 | 25-56 | 15 |

**ბომბარდირები:** 19 - ჰუნტელაარი (აიაქსი); 17 - ნ'კუფო (ტვენტე); 13 - ნელისე (უტრეხტი); 12 - მაკაი (ფეიენოორდი); 11 - აფონსო ალვეში (ჰერენვეენი), კოვერმანსი (ეინდჰოვენი), სუარესი (აიაქსი), დენ ოუდენი (ექსელსიორი), ბრედლი (ჰერენვეენი), ბერგი (გრონინგენი); 9 - პერესი (აიაქსი), სიბონი (ჰერენვეენი).

### II დივიზიონი

XXV ტური

აპელდოორნი-კამბური 1:1; ცვოლეომნივორლდი 1:1; ფორტუნა-იგლზი 2:2; ჰაარლემი-ემენი 1:2; ჰელმონდი-ეინდჰოვენი II 4:1; მაასტრიხტი-დორდრეჰტი 3:2; როსენდალი-ვაალვიკი 0:4; ვეენდამი-დენ ჰააგი 3:3; დენ ბოში-ტოპ ოსი გადაიდო; ვოლენდამი-ტელსტარი 2:0.

## პორტუგალია

XVII ტური

**ბრაგა-ბელენენსეში 1:1**
**გოლები:** 0:1 როლანდო (40), 1:1 ლინცი (66)

**გიმარაეში-ბენფიკა 1:3**
**გოლები:** 0:1 ო. კარდოსო (8), 0:2 მ. პერეირა (27), 1:3 გილასი (60), 1:3 ო. კარდოსო (90)

**ნავალი-ამადორა 1:1**
**გოლები:** 1:0 მარსელინი (10), 1:1 მორენო (90)

**ლეიქსოეში-ფერეირა 1:0**
**გოლი:** 1:0 რობერტო (45)

**ლეირია-აკადემიკა 3:1**
**გოლები:** 1:0 ჟოაო პაულო (24), 2:0 ჟოაო პაოლო (68), 3:0 ლარანჟეირო (88-პენ), 3:1 ედგარი(90)

**ნასიონალი-სეტუბალი 0:0**

**სპორტინგი-პორტუ 2:0**
**გოლები:** 1:0 ვუკჩევიჩი (13), 2:0 იზმაილოვი (15)

**მარიტიმუ-ბოავიშტა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 17 | 13 | 2 | 2 | 28-7 | 41 |
| 2. ბენფიკა | 17 | 9 | 6 | 2 | 29-10 | 33 |
| 3. სპორტინგი | 17 | 8 | 6 | 3 | 25-15 | 30 |
| 4. გიმარაეში | 17 | 8 | 4 | 5 | 20-21 | 28 |
| 5. სეტუბალი | 17 | 5 | 10 | 2 | 22-16 | 25 |
| 6. ბრაგა | 17 | 6 | 6 | 5 | 19-20 | 24 |
| 7. მარიტიმუ | 16 | 7 | 2 | 7 | 20-16 | 23 |
| 8. ბელენენსეში | 17 | 5 | 8 | 4 | 16-16 | 23 |
| 9. ნასიონალი | 17 | 5 | 6 | 6 | 12-13 | 21 |
| 10. ლეიქსოეში | 17 | 3 | 10 | 4 | 16-18 | 19 |
| 11. ბოავიშტა | 16 | 4 | 7 | 5 | 17-23 | 19 |
| 12. ამადორა | 17 | 3 | 8 | 6 | 18-20 | 17 |
| 13. აკადემიკა | 17 | 3 | 7 | 7 | 17-27 | 16 |
| 14. ნავალი | 17 | 4 | 4 | 9 | 12-26 | 16 |
| 15. ფერეირა | 17 | 4 | 3 | 10 | 15-24 | 15 |
| 16. ლეირია | 17 | 1 | 5 | 11 | 13-27 | 8 |

**ბომბარდირები:** 13 - ლისანდრო ლოპესი (პორტუ); 9 - როლანდ ლინცი (ბრაგა); 8 - ჟოაო პაოლო (ლეირია); 7 - კარდოსო (ბენფიკა); 6 - მაკუკულა (მარიტიმუ), ედინიო (სეტუბალი), ნუნუ გომეში (ბენფიკა).

### II დივიზიონი

XVII ტური

ფატიმა-ვარზიმი 1:2; ავეში-ბეირა მარი 1:1; ვიზელა-ეშტორილი 0:0; გონდომარი-ფეირენსე 2:2; ფრეამუნდე-ოლანენსე 3:1; სანტა კლარა-პენაფიელი 0:3; პორტიმონენსე-რიუ ავე 2:1; ჟილ ვისენტე-ტროფენსე 1:1.

## ბელგია

XIX ტური

**ვარეგემი-სერკლი 0:3**
**გოლები:** 0:1 პორტიე (37), 0:2 იაშჩუკი (42), 0:3 სერებრენიკოვი (50)

**შარლერუა-ვესტერლო 1:1**
**გოლები:** 1:0 ტერეო (49), 1:1 მენესი (78)

**ბრიუგე-ბეერსხოტი 3:0**
**გოლები:** 1:0 გერაერტსი (57), 2:0 ლეკო (60), 3:0 სიმაესი (66)

**დენდერი-რუზელარე 2:1**
**გოლები:** 1:0 დე პეტერი (25), 1:1 აკგული (42), 2:1 ოლისე (55-საკ. კარში)

**მეხელენი-მონსი 2:0**
**გოლები:** 1:0 ფლემინგსი (38), 2:0 ფლემინგსი (62)

**მუსკრონი-სტ. ტრუიდენი 0:0**

**გენკი-გენტი 3:3**
**გოლები:** 1:0 ბარდა (6), 1:1 გონსალესი (24), 1:2 ფოლეი (32), 2:2 ტიტი (54), 3:2 ბარდა (66-პენ), 3:3 ფოლეი (85)

**ლოკერენი-ანდერლეხტი 0:0**

**ბრიუსელი-სტანდარდი 0:1**
**გოლი:** 0:1 მბოკანი (35)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 19 | 13 | 5 | 1 | 28-12 | 44 |
| 2. სტანდარდი | 19 | 12 | 7 | 0 | 40-13 | 43 |
| 3. სერკლი | 19 | 12 | 4 | 3 | 46-17 | 40 |
| 4. ბეერსხოტი | 19 | 11 | 3 | 5 | 29-17 | 36 |
| 5. გენტი | 19 | 8 | 7 | 4 | 39-26 | 31 |
| 6. ანდერლეხტი | 19 | 8 | 7 | 4 | 26-20 | 31 |
| 7. გენკი | 19 | 8 | 6 | 5 | 31-30 | 30 |
| 8. ვესტერლო | 19 | 6 | 7 | 6 | 28-19 | 25 |
| 9. ლოკერენი | 19 | 5 | 9 | 5 | 17-18 | 24 |
| 10. შარლერუა | 19 | 7 | 3 | 9 | 22-27 | 24 |
| 11. ვარეგემი | 19 | 7 | 3 | 9 | 25-34 | 24 |
| 12. მუსკრონი | 19 | 6 | 5 | 8 | 23-26 | 23 |
| 13. რუზელარე | 19 | 5 | 6 | 8 | 26-36 | 21 |
| 14. დენდერი | 19 | 5 | 4 | 10 | 18-31 | 19 |
| 15. მეხელენი | 19 | 4 | 6 | 9 | 24-32 | 18 |
| 16. სტ. ტრუიდენი | 19 | 3 | 4 | 12 | 15-34 | 13 |
| 17. ბრიუსელი | 19 | 3 | 2 | 14 | 15-44 | 11 |
| 18. მონსი | 19 | 2 | 4 | 13 | 18-34 | 10 |

**ბომბარდირები:** 10 - ბარდა (გენკი), დე სუტერი (სერკლი), იაშჩუკი (სერკლი), დისა (რუზელარე), მალკი (ბეერსხოტი); 9 - იოვანოვიჩი (სტანდარდი), ტომუ (მუსკრონი); 8 - აკპალა (შარლერუა), გომბამი (სერკლი), ლეიე (ვარეგემი), ფოლეი (გენტი), რუისი (გენტი).

### II დივიზიონი

XXI ტური

ანტვერპენი-კორტრიიკი 1:2; ბევერენი-ტუბეკე 1:2; დაინცე-ტინენი 1:2; გეელი-ოსტენდე 3:1; ნამენი-ვაასლანდი 0:2; ვირტონი-ლიერსი 2:2; ჰამე-ოლიმპიკ შარლერუა 0:1; ჰეეერლე-ტურნე 1:0; სტ. ჟილი-ლომელი 1:2.

## შოტლანდია

XXIV ტური

**აბერდინი-ჰართსი 0:1**
**გოლი:** 0:1 ნადე (55)

**კილმარნოკი-დანდი იუნ 1:2**
**გოლები:** 0:1 რობსონი (30), 0:2 კონვეი (66), 1:2 უელსი (83)

**რეინჯერსი-სტ. მირენი 4:0**
**გოლები:** 1:0 ბურკი (27), 2:0 ბოიდი (33), 3:0 უაიტეკერი (37), 4:0 უაიტეკერი (81)

**ფალკირკი-სელტიკი 0:1**
**გოლი:** 0:1 მაკდონალდი (45)

**ჰიბერნიანი-გრეტნა გადაიდო**

**მოზერველი-ინვერნესი გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 22 | 17 | 2 | 3 | 52-17 | 53 |
| 2. სელტიკი | 22 | 15 | 4 | 3 | 53-17 | 49 |
| 3. დანდი იუნ | 24 | 12 | 2 | 10 | 37-31 | 38 |
| 4. მოზერველი | 21 | 11 | 2 | 8 | 31-28 | 35 |
| 5. აბერდინი | 24 | 9 | 6 | 9 | 28-33 | 33 |
| 6. ფალკირკი | 24 | 9 | 5 | 10 | 34-38 | 32 |
| 7. ინვერნესი | 23 | 10 | 1 | 12 | 31-36 | 31 |
| 8. ჰიბერნიანი | 22 | 7 | 7 | 8 | 29-29 | 28 |
| 9. ჰართსი | 24 | 7 | 6 | 11 | 34-40 | 27 |
| 10. სტ. მირენი | 22 | 7 | 4 | 11 | 16-36 | 25 |
| 11. კილმარნოკი | 24 | 5 | 7 | 12 | 24-35 | 22 |
| 12. გრეტნა | 22 | 3 | 4 | 15 | 19-48 | 13 |

**ბომბარდირები:** 15 - მაკდონალდი (სელტიკი); 11 - რობსონი (დანდი იუნ); 10 - ჰანტი (დანდი იუნ); 9 - ველიჩკა (ჰართსი), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი); 8 - ბოიდი (რეინჯერსი), კუზენი (რეინჯერსი), კლარკსონი (მოზერველი); 7 - ფლეტჩერი (ჰიბერნიანი), ნიში (კილმარნოკი), პორტერი (მოზერველი), ჰიგდონი (ფალკირკი), მილერი (აბერდინი).

### I დივიზიონი

XXIII ტური

კლაიდი-ჰამილტონი 2:3; დანდი-ქუინი 2:3; დანფერმლაინი-მორტონი 2:0; პარტიკი-ლივინგსტონი გადაიდო; სტ. ჯონსტონი-სტირლინგი 2:1.

### II დივიზიონი

XXIII ტური

ალოა-ეირდრი 1:2; ეირი-ქუინზ პარკი 3:1; ბრეჩინი-პიტერჰედი 3:1; კოუდენბითი-როსი 2:4; რეითი-ბერუიკი 3:0.

### III დივიზიონი

XXIII ტური

ალბიონი-სტრანრარი გადაიდო; არბროა-ისტ ფაიფი 0:1; ისტ სტირლინგი-დამბარტონი გადაიდო; ელჯინი-მონროუზი 2:1; ფორფარი-სტენჰაუზმური 1:2.

## ინგლისი

XXIV ტური

**ასტონ ვილა-ბლექბერნი 1:1**

**ასტონ ვილა:** კარსონი, ბუმა, კ. დევისი, ლაურსენი, მელბერგი, ბერი, ს. პეტროვი (69. ჰეირვუდი), როე-კოკერი, აგბონლაჰორი, კარიუ, იანგი.

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ოოიერი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, დანი, მერტონი, პედერსენი, რიდი, დერბიშირი (87. რობერტსი), სანტა კრუსი.

**გოლები:** 0:1 სანტა კრუსი (68), 1:1 იანგი (73)

*25-ე წუთზე დერბიშირმა (ბლექბერნი) ვერ გაიტანა პენალტი (ააცილა)*

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 7(3)-9(4); **კუთხური:** 2-7; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 14-15; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 39 602

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტ. იუნ | 23 | 17 | 3 | 3 | 46-11 | 54 |
| 2. არსენალი | 23 | 16 | 6 | 1 | 46-17 | 54 |
| 3. ჩელსი | 23 | 15 | 5 | 3 | 36-16 | 50 |
| 4. ევერტონი | 23 | 13 | 3 | 7 | 40-23 | 42 |
| 5. ასტონ ვილა | 24 | 11 | 8 | 5 | 43-31 | 41 |
| 6. მანჩესტერ ს | 23 | 11 | 7 | 5 | 30-24 | 40 |
| 7. ლივერპული | 22 | 10 | 10 | 2 | 37-16 | 40 |
| 8. ბლექბერნი | 24 | 10 | 8 | 6 | 32-31 | 38 |
| 9. პორტსმუთი | 23 | 10 | 7 | 6 | 34-23 | 37 |
| 10. ვესტ ჰემი | 22 | 9 | 6 | 7 | 28-21 | 33 |
| 11. ტოტენჰემი | 23 | 7 | 6 | 10 | 44-40 | 27 |
| 12. ნიუკასლი | 23 | 7 | 6 | 10 | 27-39 | 27 |
| 13. რედინგი | 23 | 6 | 4 | 13 | 30-49 | 22 |
| 14. მიდლსბრო | 23 | 5 | 7 | 11 | 20-37 | 22 |
| 15. ბოლტონი | 23 | 5 | 6 | 12 | 24-34 | 21 |
| 16. ბირმინგემი | 23 | 5 | 5 | 13 | 23-34 | 20 |
| 17. ვიგანი | 23 | 5 | 5 | 13 | 23-39 | 20 |
| 18. სანდერლ. | 23 | 5 | 5 | 13 | 22-42 | 20 |
| 19. ფულჰემი | 23 | 2 | 9 | 12 | 23-42 | 15 |
| 20. დერბი | 23 | 1 | 4 | 18 | 11-50 | 7 |

**ბომბარდირები:** 17 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 15 - ადებაიორი (არსენალი); 12 - ბენჯანი (პორტსმუთი); 11 - სანტა კრუსი (ბლექბერნი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), კინი (ტოტენჰემი).

### ჩემპიონატი

XXIX ტური

**ბრისტოლი-ბლეკპული 1:0**
**გოლი:** 1:0 ელიოტი (20)

**ბარნსლი-სკანთორპი 2:0**
**გოლები:** 1:0 ბლეიკი (9), 2:0 აკინბიი (32)

**ლესტერი-კრ. პალასი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვესტ ბრომვიჩი | 28 | 15 | 6 | 7 | 62-35 | 51 |
| 2. ბრისტოლი | 29 | 14 | 9 | 6 | 36-34 | 51 |
| 3. უოტფორდი | 28 | 14 | 6 | 8 | 45-36 | 48 |
| 4. სტოკი | 28 | 12 | 11 | 5 | 46-35 | 47 |
| 5. ჩარლტონი | 28 | 12 | 8 | 8 | 41-33 | 44 |
| 6. კრ. პალასი | 28 | 11 | 11 | 6 | 36-27 | 44 |
| 7. ბარნლი | 29 | 11 | 10 | 8 | 38-36 | 43 |
| 8. იფსვიჩი | 28 | 11 | 8 | 9 | 45-37 | 41 |
| 9. კარდიფი | 28 | 10 | 10 | 8 | 37-35 | 40 |
| 10. ვულვზი | 28 | 10 | 10 | 8 | 26-26 | 40 |
| 11. პლიმუტი | 28 | 10 | 9 | 9 | 36-31 | 39 |
| 12. ჰალი | 27 | 10 | 8 | 9 | 33-32 | 38 |
| 13. საუთჰემპტ | 28 | 10 | 7 | 11 | 37-45 | 37 |
| 14. შეფილდი | 28 | 9 | 8 | 11 | 31-33 | 35 |
| 15. ბლეკპული | 29 | 8 | 10 | 11 | 36-37 | 34 |
| 16. ბარნსლი | 28 | 8 | 10 | 10 | 34-41 | 34 |
| 17. ქუინზ პარკი | 28 | 8 | 9 | 11 | 33-40 | 33 |
| 18. კოვენტრი | 27 | 9 | 5 | 13 | 30-44 | 32 |
| 19. ნორვიჩი | 28 | 8 | 8 | 12 | 27-35 | 32 |
| 20. უესდი | 27 | 9 | 4 | 14 | 30-34 | 31 |
| 21. ლესტერი | 28 | 6 | 13 | 9 | 27-27 | 31 |
| 22. პრესტონი | 28 | 7 | 6 | 15 | 27-36 | 27 |
| 23. სკანთორფი | 29 | 6 | 9 | 14 | 28-45 | 27 |
| 24. კოლჩესტერი | 27 | 5 | 11 | 11 | 39-46 | 26 |

**ბომბარდირები:** 16 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი); 13 - მორისონი (კრ. პალასი), ბიტი (შეფილდი); 12 - ფულერი (სტოკი), ებენქს-ბლეიკი (პლიმუტი); 11 - გრეი (ბარნლი), კინგი (უოტფორდი).

### I დივიზიონი

XXVIII ტური

ჩელტენემი-კარლაილი 1:0; დონკასტერი-სუონსი 0:4; ნორთჰემპტონი-ლეიტონი 2:0; ქრიუ-სუინდონი 0:0; ლუტონი-ლიდსი 1:1; ნოტინგემი-როვერსი გადაიდო; პორტ ვეილი-ბორნმუთი 1:3; საუთენდი-ბრაიტონი გადაიდო; ტრანმერი-იეოვილი 2:1; უოლსოლი-ჯილინგემი 2:1.

### II დივიზიონი

XXVIII ტური

ბრედფორდი-ბარნეტი გადაიდო; ჩესტერი-როტერჰემი 0:1; დარლინგტონი-მაკლსფილდი 2:2; გრიმსბი-შრიუსბერი 1:1; ლინკოლნი-დაგენჰემი 2:0; მილტონი-როჩდეილი 0:1; მორეკამბი-ნოტსი 1:1; უიკომბი-ჩესტერფილდი 1:0; რექსჰემი-ბრედფორდი 1:1.

### კონფერენსი

XXVIII ტური

კემბრიჯი-ალტრინჩემი 2:1; დროილსდენი-კიდერმინსტერი 1:0; გრავესენდი-ბარტონი 2:1; ფორესტ გრინი-ექსეტერი 1:1; ნორთვიჩი-ჰალიფაქსი 2:2; ოქსფორდი-გრეისი 0:0; რაშდენი-უეიმაუთი 3:2; სტეფორდი-სალისბერი 1:5; უოკინგი-ქროული 1:1; იორკი-ალდერშოტი 2:0; ტორკი-ჰისტონი დღეს.

## ინგლისის თასი

1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| საუთენდი-ბარნსლი | 0:1 |
| მენსფილდი-მიდლსბრო | 0:2 |
| არსენალი-ნიუკასლი | 3:0 |
| ბარნეტი-როვერსი | 0:1 |
| ქოვენთრი-მილუოლი | 2:1 |
| დერბი-პრესტონი | 1:4 |
| ლივერპული-ჰავანტი | 5:2 |
| ოლდჰემი-ჰადერსფილდი | 0:1 |
| პიტერბრო-ვესტ ბრომვიჩი | 0:3 |
| პორტსმუთი-პლიმუტი | 2:1 |
| საუთჰემპტონი-ბერი | 2:0 |
| უოტფორდი-ვულვზი | 1:4 |
| ვიგანი-ჩელსი | 1:2 |
| ჰერეფორდი-კარდიფი | 1:2 |
| მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი | 3:1 |
| შეფილდი-მანჩესტერ სიტი | 2:1 |

MTN Africa Cup of Nations
GHANA 2008

## აფრიკის თასი

### C ჯგუფი

**კამერუნი-ზამბია 5:1**

**კამერუნი:** კამენი, ატუბა, ბიკეი, ბინია (63. ნგოკნგი), სონგი, ემანა (77. იდრისუ), ჯერემი, მ'ბამი (67. მაკუნი), სონგ ბილონგი, ეტოო, ჟობი.

**ზამბია:** მვეენე, ჰაშილენსა, მუსონდა, მვანზა, ნკეტანი (38. ჰიმონდი), ბაკალა (83. ნეოვუ), შანსა, ფ. კატონგო, შამანგა (64. სუნზუ), ჯ. მულენგა, კ. კატონგო.

**გოლები:** 1:0 ჯერემი (28), 2:0 ჟობი (32), 3:0 ემანა (44), 4:0 ეტო'ო (66-პენ), 5:0 ჟობი (82), 5:1 კ. კატონგო (90)

**მაყურებელი:** 21 000

**ეგვიპტე-სუდანი 3:0**

**ეგვიპტე:** ელ-ჰადარი, ფათალაჰი (56. ჰასანი), ფათჰი, გომაა, მოავადი, საიდი, აბდ რაბუ, შავკი, მოტაები, ზაქი (80. ელ-მოჰამადი), ზიდანი (56. აბუთრიაქა).

**სუდანი:** ელმუიზ აბდალა, ალი ელხიდირი, ელ-თაიები, აჰმედ ჯიბრილი (47. ფარაჰი), დამარ კუკუ, ელდინ აბდალა, ქარარი, ლადო, იუსიფ ჰადო, ბაბიქერი (81. აშაბ სიდო), თამბალი (60. ამარი).

**გოლები:** 1:0 აბდ რაბუ (29-პენ), 2:0 აბუთრიაქა (78), 3:0 აბუთრიაქა (83)

**მაყურებელი:** 13 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეგვიპტე | 2 | 2 | 0 | 0 | 7-2 | 6 |
| 2. კამერუნი | 2 | 1 | 0 | 1 | 7-5 | 3 |
| 3. ზამბია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 4. სუდანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

### D ჯგუფი

**სენეგალი-ანგოლა 1:3**

**სენეგალი:** სილვა, ბეიე, ს. დიავარა, ა. ფეიე, დიოპი, გირანი (84. სუგუ), ფ. მენდი (63. გეიე), სალი, დიუფი, დ. კამარა (70. ა. კამარა), ნიანგი.

**ანგოლა:** ლამა, აიროსა, კალი, რუი მარკეში, აშა, ჟილბერტო (83. მატეუში), მაკანგა, კალანგა, ამადუ ფლავიო, ალბერტო მანუშო (88. ლოკო), მაურიტო (72. დედე).

**გოლები:** 1:0 ა. ფეიე (20), 1:1 ალბერტო მანუშო (50), 1:2 ალბერტო მანუშო (67), 1:3 ამადუ ფლავიო (78)

**მაყურებელი:** 20 000

**ტუნისი-ს. აფრიკა 3:1**

**ტუნისი:** ქასრაუი, ბენ ფრეჯი, ჰაგი, ჟაიდი, მიკარი, მნარი (75. ზუაგი), ნაფთი, ტრაუი, ბენ საადა, შიხაუი (80. ჟემაა), ფრანსილეუდო სანტოსი (66. ბენ დიფალაჰი).

**ს. აფრიკა:** ჯოზეფი, მასილელა (62. ევანსი), მუნი, მორისი, მლონგო, მოდისე, ა. მოკოენა, პიენაარი, შაბანგუ (46. ვან ჰეერდენი), ფანტენი (60. მფელა), ზუმა.

**გოლები:** 1:0 ფრანსილეუდო სანტოსი (8), 2:0 ბენ საადა (32), 3:0 ფრანსილეუდო სანტოსი (34), 3:1 მფელა (87)

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტუნისი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 2. ანგოლა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 3. სენეგალი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 4. ს. აფრიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |

## ჩილე

### აპერტურა

I ტური

| | |
|---|---|
| ოსორნო-კოლო კოლო | 0:3 |
| პალესტინო-ანტოფაგასტა | 1:1 |
| აუდაქსი-ლა სერენა | 0:0 |
| მელიპილა-უნ. ესპანიოლა | 1:2 |
| რეინჯერსი-ატ. ნუბლენსე | 0:0 |
| უნ. კონსეპსიონი-ო'ჰიგინსი | 0:0 |
| კობრელოა-უაჩიპატო | 0:0 |
| კობრესალი-ევერტონი | 4:0 |
| უნ. ჩილე-დ. კონსეპ.ი | გვ. დასრულდა |
| უნ. კატოლ-ს. მორნინგი | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

### კლაუსურა

II ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-გვადალახარა | 1:1 |
| ატლასი-ვერაკრუსი | 3:0 |
| ხაგუარესი-ამერიკა | 2:1 |
| მორელია-პაჩუკა | 3:2 |
| ტიგრესი-კრუს ასული | 1:0 |
| ნეკაქსი-სან ლუისი | 1:1 |
| პუებლა-მონტერეი | 1:1 |
| პუმასი-ატლანტე | 1:2 |
| სანტოსი-ტოლუკა | გვ. დასრულდა |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| იაპონია-ჩილე | 0:0 |
| მაინცი-კარლსრუე | 1:1 |
| კოტბუსი-აუე | 1:3 |
| აუგსბურგი-სტ. გალენი | 2:1 |
| ბოხუმი-კობლენცი | 3:0 |
| ვეენი-აინტრახტი | 0:2 |
| ბაიერნი-მიუნხენი | 1:1 |
| კაიზერი-პერგა | 0:1 |
| ნიურნბერგი-გრასჰოპერსი | 3:3 |
| ფორტუნა-ბორუსია (მ) | 3:1 |
| ცსკა (ს)-ვისლა | 2:0 |
| დინამო (კ)-ცრვენა ზვეზდა | 1:1 |
| ციურიხი-ფრაიბურგი | 1:1 |

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXI ტური

# მივულოცოთ რეალს?

## სხვაობა უკვე ცხრა ქულაა, ეს ფაქტობრივი ჩემპიონობაა!



ესპანურმა პრესამ **იტურალდე გონსალესი** "სევილიისა" და "ოსასუნის" მატჩის ანტიგმირად შერაცხა. პირენეელი ჟურნალისტების აზრით, მთავარმა არბიტრმა საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე არარსებული პენალტი დანიშნა და პამპლონელებს ერთი ქულა ჯიბიდან ამოულო. სხვათა შორის, სენიორ გონსალესის ამ გადაწყვეტილებას საფინალო სასტვენის შემდეგ სერიოზული არეულობა მოჰყვა. გუნდების ურთიერთობის ისტორიიდან გამომდინარე თავიდანვე ცხადი გახლდათ, რომ დაპირისპირება იოლად განსასჯელი არ იქნებოდა. ასეც მოხდა. **მარტინ პოულსენმა** ანგარიში გახსნა. შემდეგ **კიკე სოლამ** გაათანაბრა. თითქოს ფრე გარდაუვალი იყო, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ბოლო წამებზე სტუმართა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა. "ოსასუნას" მესვეურები ამ გადაწყვეტილებით რა თქმა უნდა, უკიდურესად უკმაყოფილო დარჩნენ. პენალტს რომ თავი დავანებოთ, მსაჯმა პამპლონელ ფეხბურთელებს ყვითელი ბარათი ცხრაჯერ უჩვენა. ამის გამო, **ხოსეჩოს** და **ხავი გარსიას** მოედნის დატოვება ვადაზე ადრე მოუხდათ. მათ ორ ორი ყვითელი ბარათი დაუგროვდათ. აბა ამ ყველაფრის შემდეგ რა გასაკვირია, რომ "ოსასუნას" მთავარმა მწვრთნელმა ნერვები ვერ მოთოკა. **კუკო სიგანდამ** სევილიელებისკენ საჩხუბრად გაიწია. დაცვის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიონალიზმი რომ არა, მინდორზე დაუნდობელი ჩხუბი გაჩაღდებოდა. აღსანიშნავია, რომ თამაშის დასრულების შემდეგ **ადრიანომ ასპილიკუეტას** თავში წყლით სავსე ბოთლი ესროლა. სიგანდა განსაკუთრებით ამის დანახვამ გააგიჟა, თუმცა ემოციების მოთოკვის შემდეგ სტუმართა დამრიგებელმა საზოგადოებას ბოდიში მოუხადა: *"იმ დროს ჭკუა არ მომეკითხებოდა. მიმაჩნია, რომ იტურალდე გონსალესმა ერთი ქულა მოგვპარა. ის პენალტი მის გარდა დედამიწის ზურგზე არავის დაუნახავს. ესპანეთის ჩემპიონატი იმდენად მაღალი დონისაა, რომ თითოეულ ქულას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, მსაჯის გაუგებარმა გადაწყვეტილებამ წარმოუდგენლად ალმაშფოთა, თუმცა მატჩისშემდგომი დაპირისპირება უფრო ადრიანოს ნაძირლობამ გამოიწვია. იტურალდეს გამო ნერვები ისედაც ბეწვზე მქონდა, ადრიანოს მიერ ბოთლის სროლამ კი ბოლომდე გამაცოფა. იმ გარეწარს თავი ვინ გონია? როგორ შეიძლება, ასე ხულიგანივით მოიქცე და მოწინააღმდეგეს წყლით სავსე ბოთლი მთელი ძალით ესროლო?! მერწმუნეთ, ამ ტოტალურად უსამართლო სიტუაციაში ნებისმიერი მწვრთნელს გაუჭირდებოდა ნერვების დაოკება, მაგრამ ეს არ მამართლებს. ვალდებული გახლდით, მეტი თავშეკავება გამომეჩინა. რაც არ უნდა იყოს, მთავარი მწვრთნელი ვარ და სხვებს პროფესიონალიზმის მაგალითი უნდა მივცე. საზოგადოებას მძიმე სანახაობისთვის დიდ ბოდიშს ვუხდი."*

"ელ სარდინეროზე" ფეხბურთის ზეიმი შედგა. დიდი ხანია, "რასინგის" სტადიონზე ასეთი ლამაზი თამაში არ გამართულა. **ხავიერ ირურეტამ** "სარაგოსას" მთავარი მწვრთნელის რანგში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა. ბასკი მწვრთნელი ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან, თუმცა მსაჯის მიერ დამატებულ დროში **ჩიტემ** გაიტანა და სამი ქულის ნასალებად გამზადებულ "სარაგოსას" ერთი ქულა აკმარა. წესით სენიორ ირურეტა გულდაწყვეტილი უნდა დარჩენილიყო, თუმცა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ის მხნედ გამოიყურებოდა: *"ბოლო წამებზე გოლის გაშვება და ორი ქულის დაკარგვა ძალიან დასანანია, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ იმედგაცრუებული დავრჩი. მასპინძლები წაგებას ალბათ, არ იმსახურებდნენ. ასე რომ, შედეგს სამართლიანად მივიჩნევ. მით უმეტეს, სანტანდერში წამოსვლის წინ მიზნად დავისახეთ, არ წაგვეგო. ეს ესაა, "სარაგოსას" მთავარ მწვრთნელად დავინიშნე. წინ ძალიან დიდი სამუშაოა. მჯერა, პრობლემებს მოვაგვარებთ და იმ ფეხბურთს ვითამაშებთ, რომელსაც არაგონელი გულშემატკივრები ალმერთებენ. რაც მთავარია, კარგ შედეგებს უნდა მივაღწიოთ. კლუბის ხელმძღვანელობამ სწორედ ამის გამო მომიწვია. დღევანდელი თამაშის შემდეგ შეხედულება კიდევ უფრო გამიმტკიცდა, "სარაგოსას" შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავს. ამ ბიჭებს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი შეუძლიათ."*

მიმდინარე სეზონში ერთხელაც არ მომხდარა, "ატლეტიკოს" გოლის პირველად გაშვების შემდეგ თამაშის ამოქაჩა და მოეგო. აშკარაა, რომ "როხიბლანკოს" ჩავარდნა აქვს. თავად განსაჯეთ, **ხავიერ აგირეს** ბიჭებმა პრიმერა დივიზიონში ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგეს. ამას ესპანეთის სამეფო თასზე "ვალენსიასთან" განცდილი მარცხიც უნდა დავუმატოთ. ჰო, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "ღამურებისა" და ბალეარელების კართან "ატლეტიკოს" ერთი საგოლე მომენტიც არ შეუქმნია. "მალიორკამ" სტუმართა ჩავარდნით მშვენივრად ისარგებლა და "როხიბლანკო" საკუთარ სტადიონზე ცხრანლიანი პაუზის შემდეგ პირველად დაამარცხა. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა ძალიან ცუდად ისპარეზეს, ხავიერ აგირესთვის 0:1 მაინც უსამართლო შედეგია: *"მარცხს არ ვიმსახურებდით. მართალია, მასპინძლებმა სერიოზული პრობლემები შეგვიქმნეს და გაგვიტანეს, მაგრამ გოლის შემდეგ "ატლეტიკომ" დროული რეაგირება მოახდინა. ვფიქრობ, ჩვენ სწორად ავთამაშდით. გვქონდა საიმისო შესაძლებლობა, რომ საჯარიმოში სიტუაცია გაგვემწვავებინა და ანგარიში გაგვეთანაბრებინა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. დღეს უმნიშვნელოვანესი ქულები დავკარგეთ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ უსამართლო შედეგი დაფიქსირდა."*

"ვალენსია" სულ ნახდა. უკვე ცხრა ტურია, "ღამურებს" პრიმერა დივიზიონში არ მოუგიათ. ასეთი სამარცხვინო თამაშის გამო **რონალდ კუმანის** გუნდს გასავარდნ ზონას ახლა მხოლოდ ხუთი ქულა აშორებს. რა შეიძლება ითქვას? ალბათ ის, რომ კუმანის დანიშვნამ ვერ გაამართლა. **კიკე სანჩეს ფლორესს** მუშაობის ბოლო თვეებში დაუნდობლად აკრიტიკებდნენ, მაგრამ ფაქტია, "ვალენსია" მაშინაც კი გაცილებით უკეთ თამაშობდა. ბუნებრივია, გულშემატკივრები ყველაფერს შესანიშნავად ხედავენ. საშინაო მარცხით გამწარებულმა ინჩასებმა კუმანი ლანძღვითა და გინებით აიკლეს. მატჩის მიწურულს "მესტალიაზე" ცნობილი ტრანსფარანტები გამოჩნდა. Koeman vete ya - წადი, კუმანო! დიახ, ასეთია ქომაგების განწყობა. მათი რეაქცია აბსოლუტურად ლოგიკური და სამართლიანია. "ვალენსიას" საკუთარ სტადიონზე გამართულ ბოლო ოთხ პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებაში ერთი გოლიც კი არ გაუტანია. "ღამურებს" ასეთი ცუდი მონაგარი ბოლოს 1993\94 წლების სეზონში ჰქონდათ. "ალმერია" მასპინძლებისგან განსხვავებით შესანიშნავად გამოიყურება. ანდალუსიელებმა ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმეს. დებიუტანტები ასე თუ გააგრძელებენ, უეფას თასის ზონაში ამოჰყოფენ თავს. დღევანდელი მდგომარეობით ევროზონას მათ სულ რაღაც ოთხი ქულა აშორებს. კუმანმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მორიგი გამაღიზიანებელი განცხადება გააკეთა: *"ვაღიარებ, შემაშფოთებელი სიტუაციაა, მაგრამ გადადგომაზე ერთხელაც არ დავფიქრებულვარ. იმ ადამიანთა კატეგორიას არ განვეკუთვნები, რომლებიც ფარ-ხმალს ნაადრევად ყრიან. მზად ვარ, ბოლომდე ვიბრძოლო და გუნდი კრიზისიდან გამოვიყვანო."*

"დეპორტივომ" მშობლიურ "რიასორზე" 133-დღიანი პაუზის შემდეგ პირველად მოიგო. ბოლოს მათ 2007 წლის 16 სექტემბერს "ბეტისს" ძლიეს. ცხადია, ნანატრი გამარჯვებით ყველა კმაყოფილი დარჩა. ლაკორუნიელებმა კიდევ ერთი ფაქტით გაიხარეს, ორწლიანი მტანჯველი ტრავმის შემდეგ გუნდს **ვალერონი** დაუბრუნდა. მიგელ ანხელ ლოტინამ ის შეცვლაზე შეუშვა.

**ფრენკ რაიკაარდი** და მისი შეგირდები ჭკუას ვერ სწავლობენ. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ თამაში სულ მცირე 90 წუთი გრძელდება. როგორც წესი მსაჯები კიდევ რამდენიმე წუთს ამატებენ ხოლმე. საქმე ის არის, რომ პირველ ტაიმში **ბოიანის** მიერ გატანილი გოლის შემდეგ კატალონიელებმა თავი მშვიდად იგრძნეს და ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვა დაიწყეს. ეს განსაკუთრებით მეორე ნახევარში შეიმჩნეოდა. შედეგმაც არ დაახანა. 79-ე წუთზე სტუმრები ბასკების მძლავრ შეტევას ვერ გაუმკლავდნენ და ყველაფერი **ლილიან ტურამის** ავტოგოლით დასრულდა. მერე რა რომ, **სამუელ ეტოომ** **ჟოან ლაპორტას** კატეგორიული მოთხოვნა არ გაითვალისწინა, აფრიკის თასზე საასპარეზოდ წავიდა და პატრიოტული ვალი ვაჟკაცურად მოიხადა. "ბარსელონა" ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებული იყო შეტევისთვის მეტი ყურადღება დაეთმო. გასაგებია, რომ ეტოო უდიდესი ძალაა, მაგრამ რაიკაარდს მისი არყოფნა მაინც ვერ გაამართლებს. ჰოლანდიელ სპეციალისტს იდეები შემოაკლდა. აშკარაა, მისი საფეხბურთო მსოფლმხედველობა პრიმერა დივიზიონის საოცრად მზარდ დინამიკას ჩამორჩა. **რონალდინიოს** ლანძღვა მოდაში შემოვიდა. კრიტიკოსები სხვა ფეხბურთელებსაც არ აკლიათ, მაგრამ ისმის ერთი ლოგიკური კითხვა, ვინ არის გუნდის მომზადებაზე პასუხისმგებელი? რა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელი. ალბათ, დროა, ჟოან ლაპორტამ სასიცოცხლოდ აუცილებელ ცვლილებებზე იფიქროს. გასაგებია, რომ პრიმერა დივიზიონში წლევანდელი სეზონი ჩაფლავებულია, თუმცა თუ "ბარსას" ხელმძღვანელობა რაიმეს არ შეცვლის წარუმატებლობა ჩემპიონთა ლიგასა და მომავალ სეზონსაც კი გადასწვდება.

კატალონიელებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რომ "რეალი" ცხრა ქულით გაიჭრა წინ. სამეფო კლუბმა "ბარსელონის" სამი მოგების ფონზე სამჯერ უნდა წააგოს. სხვანაირად რაიკაარდის ბიჭებს ჩემპიონობაზე ფიქრის შანსიც კი არ ექნებათ. წინ ჯერაც დიდი დროა, მაგრამ ისეთი განწყობა მეფდება, რომ კატალონიელთა მატარებელმა გუშინ დიდი სისწრაფით ჩაიქროლა. მართლაც სასწაულზე გრანდიოზული რამ უნდა მოხდეს, რომ "ბარსელონა" "რეალს" ჯერ დაეწიოს და შემდეგ გაუსწროს. "ვილიარეალთან" გამარჯვებაში ყველა ფეხბურთელმა დიდი წვლილი შეიტანა, თუმცა თამამად შეუძლება ითქვას, მასპინძელთაგან ყველაზე გამორჩეული **რობინიო** იყო. საქმე უბრალოდ ორ გოლში როდია. ბრაზილიელმა საკუთარი ოსტატობა გადამწყვეტ მომენტებში გამოამჟღავნა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რობინიო საკვანძო ფიგურა გახლდათ. **ბერნდ შუსტერმა** **ვესლი სნაიდერიც** იღბლიან ფეხზე შეუშვა მოედანზე. ჰოლანდიელმა **კაპდევილას** მიერ ანგარიშის გათანაბრებიდან ზუსტად ერთ წუთში მადრიდული გრანდი ისევ დააწინაურა.

### მომდევნო ტური

**3 თებერვალი. ბარსელონა-ოსასუნა, სარაგოსა-ბილბაო, ლევანტე-რასინგი, ატლეტიკო-მურსია, ვილიარეალი-მალიორკა, ალმერია-რეალი, ვალიადოლიდი-ვალენსია, ბეტისი-დეპორტივო, ხეტაფე-ესპანიოლი, რეკრეატივო-სევილია.**

### სევილია-ოსასუნა 2:1

**სევილია:** დე სანკტისი, დანიელ ალვეში, მოსკერა, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, პოულსენი, ხესუს ნავასი, რენატო (75. მარესკა), დიეგო კაპელი (62. ადრიანო), ლუიშ ფაბიანო, კერჟაკოვი (46. ჩევანტონი).

**ოსასუნა:** რიკარდო, ასპილიკუეტა, მიგელ ფლანიო, მონრეალი, ხოსეტო, ხუანფრანი, ერისე (61. სოლა), მარგაირასი (61. ექტორ ფონტი), ხავი გარსია, ველა (84. პუნიალი), დადი.

**გოლები:** 1:0 პოულსენი (54), 1:1 სოლა (68), 2:1 ლუიშ ფაბიანო (90+3-პენ)

**გაძევება:** ხავი გარსია (90+1. ოსასუნა), ხოსეტო (86. ოსასუნა)

**გაფრთხილება:** 4-9; **დარტყმა:** 21(11)-6(4); **კუთხური:** 9-5; **თამაშგარე:** 6-2; **ჯარიმა:** 14-23; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 42 000

### რასინგი-სარაგოსა 2:2

**რასინგი:** კოლტორტი, სერხიო სანჩესი, გარაი, სესარი ნავასი, აიოსე, კოლსა, დუშერი, პაბლო ალვარესი (67. სერანო), ხორხე ლოპესი, ივან ბოლადო (62. ჩიტე), სმოლიარეკი.

**სარაგოსა:** სესარი, დიოგო, სერხიო, პავონი, ხუანფრანი, საპატერი, ლუქსენი, გაბი (78. სელადესი), ოსკარი (71. პარედესი), დიეგო მილიტო, რიკარდო ოლივეირა (85. სერხიო გარსია).

**გოლები:** 1:0 ივან ბოლადო (3), 1:1 დიეგო მილიტო (60), 1:2 სელადესი (83), 2:2 ჩიტე (90+1)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 11(3)-7(4); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 2-4; **ჯარიმა:** 16-14; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 26 000

### მურსია-ლევანტე 2:3

**მურსია:** ნოტარიო, დავიდ დე კოსი, მეხია, ოჩოა, პენია, როსინეი, პაბლო გარსია, რეგეირო (81. დანი), აბელი, ივან ალონსო (69. გოიტომი), ბაიანო (64. ინიგო).

**ლევანტე:** კუიოვიჩი, დესკარგა, ალვარო, ხოსე სერანო, დავიდ კასტედო, საული (58. რიგა), მიგელ ანხელი, ბერსონი (63. ხავი ფუეგო), ხუანმა, კურტუა, იბორა (70. პედრო ლეონი).

**გოლები:** 1:0 ივან ალონსო (45), 1:1 ალვარო (72), 1:2 რიგა (81-პენ), 2:2 კუიოვიჩი (88-საკ. კარში), 2:3 პედრო ლეონი (89)

**გაძევება:** მეხია (81. მურსია)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 12(3)-10(7); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 5-2; **ჯარიმა:** 10-23; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 15 000

### მალიორკა-ატლეტიკო 1:0

**მალიორკა:** მოია, ექტორი, რამისი, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, ვარელა (80. ბორხა ვალერო), პერეირა, იონას გუტიერესი, იბაგასა, არანგო, გუისა (87. ტრეხო).

**ატლეტიკო:** აბიატი, ვალერა, პაბლო, ელერი, პერნია, მოტა, კლებერ სანტანა, ლუის გარსია, რეიესი, ფორლანი, მისტა (60. აგუერო).

**გოლი:** 1:0 არანგო (20)

**გაძევება:** რეიესი (86. ატლეტიკო)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 9(5)-9(2); **კუთხური:** 7-6; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 24-20; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 29 000

### ვალენსია-ალმერია 0:1

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, ალბიოლი, ივან ელგერა, მორეტი, მადურო, მარჩენა, ხოაკინი, სილვა (46. ჟიგიჩი), ვისენტე (46. მიგელი), არისმენდი (75. მატა), ვილია.

**ალმერია:** დიეგო ალვესი, ბრუნო, კარლოს გარსია, პულიდო, სისმა, მანე (72. კრუსატი), კორონა (63. ორტისი), ხუანიტო, ფელიპე მელო, ხუანმა ორტისი, ნეგრედო.

**გოლი:** 0:1 ფელიპე მელო (20)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 10(4)-4(1); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 2-4; **ჯარიმა:** 24-17; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 35 000

### დეპორტივო-ვალიადოლიდი 3:1

**დეპორტივო:** ფაბრი, ლოპო, პაბლო ამო, კოლოჩინი, მანუელ პაბლო, ფილიპე ლუისი, ანტონიო ტომასი (73. ვერდუ), დე გუსმანი, ხუან როდრიგესი, გუარდადო (76. ვალერონი), ჩისკო (69. რიკი).

**ვალიადოლიდი:** სერხიო ასენხო, პედრო ლოპესი, ინაკი ბეა, გარსია კალვო, მარკოსი (65. ოსკარ სანჩესი), ვივარ დორადო, კაპდევილა (73. სესმა), სისი (55. ოგბეჩე), ვიქტორი, ლორენტე.

**გოლები:** 1:0 ლოპო (7), 2:0 ჩისკო (46), 3:0 გუარდადო (71), 3:1 ვიქტორი (82)

**გაძევება:** სერხიო ასენხო (74. ვალიადოლიდი)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 11(7)-11(6); **კუთხური:** 3-6; **თამაშგარე:** 5-1; **ჯარიმა:** 22-11; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 27 000

### ესპანიოლი-ბეტისი 1:2

**ესპანიოლი:** კასილა, საბალეტა, ტორეხონი, ლაკრუსი, დავიდ გარსია, ლოლა, ვალდო, რიერა (80. მოა), ანხელი (67. დე ლა პენია), ლუის გარსია, ჯონათან სორიანო (73. კორო).

**ბეტისი:** რიკარდო, დამია, მელი, ხუანიტო, ფერნანდო ვეგა, არსუ, რივერა, კაფა (89. ჩისკო), ედუ, კაპი, პავონე.

**გოლები:** 0:1 რივერა (45), 1:1 ლუის გარსია (51), 1:2 ედუ (90)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 16(5)-18(5); **კუთხური:** 6-5; **თამაშგარე:** 6-1; **ჯარიმა:** 13-21; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 34 000

### რეკრეატივო-ხეტაფე 1:3

**რეკრეატივო:** სორენტინო, ედუ მოია (80. ბეტო), იაგო ბუსონი, მარტინ კასერესი, პოლი, ხესუს ვასკესი, აიტორი, კარლოს მარტინსი (62. ხერარდი), კამუნასი, სინამა პონგოლე, ხავი გერერო (63. ).

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კონტრა, ბელენგერი, კატა დიასი, ლიხტი, სელესტინი, დე ლა რედი, ალბანი (79. კასკერო), პაბლო ერნანდესი (68. კორტესი), გრანერო (59. გავილანი), მანუ დელ მორალი.

**გოლები:** 0:1 ალბანი (1), 1:1 კამუნასი (15), 1:2 გრანერო ([illegible]), 1:3 [illegible] (90)

**გაფრთხილება:** [illegible]; **დარტყმა:** 17(8)-13(4); **კუთხური:** [illegible]; **თამაშგარე:** [illegible]; **ჯარიმა:** 16-9; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 16 000

### ბილბაო-ბარსელონა 1:1

**ბილბაო:** არანსუბია, ირაოლა, უსტარიტსი, აიტორ ოსიო, კოიკილი, ორბაისი, დავიდ ლოპესი, იესტე, სუსაეტა (46. აიტორ რამოსი), ხავი მარტინესი (69. ლორენტე), ადურისი (46. გარმენდია).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ძამბროტა, ტიურამი, პუიოლი, სილვინიო, ინიესტა, დეკუ, ჩავი (63. ედმილსონი), მესი, ანრი, კრკიჩი (80. გუდიონსენი).

**გოლები:** 0:1 კრკიჩი (34), 1:1 ლორენტე (77)

**გაფრთხილება:** 3-0; **დარტყმა:** 18(6)-8(2); **კუთხური:** 3-3; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 21-12; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 40 000

### რეალი-ვილიარეალი 3:2

**რეალი:** კასილიასი, მიჩელ სალგადო (85. დრენტე), კანავარო, სერხიო რამოსი, ტორესი, ჟოაო ბაპტიშტა (73. სნეიდერი), გახო, გუტი, რაული, ვან ნისტელროი, რობინიო (89. იგუაინი).

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ხავი ვენტა, გოდინი, სიგანი, კაპდევილა, სენა, ბრუნო (59. ხოსიკო), კანი (59. ანხელი), კასორლა, ნიჰატი (70. ტომასონი), როსი.

**გოლები:** 1:0 რობინიო (8), 1:1 როსი (15), 2:1 რობინიო (53), 2:2 კაპდევილა (76), 3:2 სნეიდერი (77)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 19(12)-16(5); **კუთხური:** 9-12; **თამაშგარე:** 5-0; **ჯარიმა:** 14-18; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 79 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 21 | 17 | 2 | 2 | 46-16 | 53 |
| 2. ბარსელონა | 21 | 13 | 5 | 3 | 40-14 | 44 |
| 3. ვილიარეალი | 21 | 12 | 2 | 7 | 39-33 | 38 |
| 4. ატლეტიკო | 21 | 11 | 4 | 6 | 35-22 | 37 |
| 5. ესპანიოლი | 21 | 10 | 6 | 5 | 31-24 | 36 |
| 6. რასინგი | 21 | 9 | 6 | 6 | 22-22 | 33 |
| 7. სევილია | 21 | 9 | 2 | 10 | 39-29 | 29 |
| 8. ალმერია | 21 | 8 | 5 | 8 | 18-21 | 29 |
| 9. ვალიადოლიდი | 21 | 7 | 6 | 8 | 30-32 | 27 |
| 10. ხეტაფე | 21 | 8 | 3 | 10 | 27-30 | 27 |
| 11. ვალენსია | 21 | 8 | 3 | 10 | 22-33 | 27 |
| 12. სარაგოსა | 21 | 6 | 8 | 7 | 34-35 | 26 |
| 13. მალიორკა | 21 | 6 | 8 | 7 | 31-33 | 26 |
| 14. ბეტისი | 21 | 6 | 7 | 8 | 23-30 | 25 |
| 15. ბილბაო | 21 | 5 | 8 | 8 | 19-22 | 23 |
| 16. ოსასუნა | 21 | 6 | 5 | 10 | 23-27 | 23 |
| 17. მურსია | 21 | 5 | 7 | 9 | 19-30 | 22 |
| 18. რეკრეატივო | 21 | 5 | 7 | 9 | 17-28 | 22 |
| 19. დეპორტივო | 21 | 5 | 5 | 11 | 22-33 | 20 |
| 20. ლევანტე | 21 | 3 | 3 | 15 | 15-38 | 12 |

**ბომბარდირები:** 15 - ლუიშ ფაბიანო (სევილია), დ. მილიტო (სარაგოსა); 12 - ვან ნისტელროი (რეალი); 11 - ლორენტე (ვალიადოლიდი), გუისა (მალიორკა), ნიჰატი (ვილიარეალი); 10 - ტამუდო (ესპანიოლი); 9 - რაული (რეალი), აგუერო (ატლეტიკო), როსი (ვილიარეალი); 8 - მესი (ბარსელონა), კანუტე (სევილია), რობინიო (რეალი), რიკარდო ოლივეირა (სარაგოსა).

### II დივიზიონი

XXII ტური

**ალავესი-ხიმნასტიკი 1:1**

გოლები: 0:1 კამპანო (19), 1:1 აგანსო (56)

**ელჩე-ალბასეტე 1:1**

გოლები: 0:1 პენია (52), 1:1 კოელიო (55-პენ)

**ეხიდო-სპორტინგი 1:1**

გოლები: 1:0 ხერარდო (25), 1:1 ბარალი (55)

**ტენერიფე-სევილია A 1:1**

გოლები: 0:1 ხუანხო (45), 1:1 აიოსე (57-პენ)

**ლას პალმასი-ნუმანსია 1:2**

გოლები: 1:0 სერხიო (20), 1:1 ბრიტო (48), 1:2 ბრიტო (72)

**სალამანკა-მალაგა 0:0**

**კასტელონი-სოსიედადი 1:0**

გოლი: 1:0 ობერმანი (51)

**კორდობა-სელტა 0:2**

გოლები: 0:1 კანობიო (19), 0:2 პერერა (88)

**ეიბარი-ფეროლი 1:3**

გოლები: 1:0 ალტუნა (43), 1:1 მედინა (46), 1:2 ჯონათანი (49), 1:3 კამი (90)

**გრანადა-კადისი 2:1**

გოლები: 1:0 ფაგოაგა (14), 1:1 დანი (47), 2:1 ლუკე (87-პენ)

**ხერესი-ერკულესი 4:3**

გოლები: 0:1 ტოტე (2), 1:1 იორდი (38), 1:2 ლოპესი (41), 1:3 ფარინოსი (45-პენ), 2:3 იორდი (61-პენ), 3:3 იორდი (71-პენ), 4:3 ვერდესი (87)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნუმანსია | 22 | 13 | 6 | 3 | 33-18 | 45 |
| 2. მალაგა | 22 | 12 | 6 | 4 | 33-19 | 42 |
| 3. სპორტინგი | 22 | 10 | 6 | 6 | 33-22 | 36 |
| 4. სელტა | 22 | 9 | 8 | 5 | 31-24 | 35 |
| 5. სოსიედადი | 22 | 9 | 7 | 6 | 24-20 | 34 |
| 6. ელჩე | 22 | 9 | 6 | 7 | 27-24 | 33 |
| 7. გრანადა | 22 | 9 | 6 | 7 | 27-26 | 33 |
| 8. სევილია B | 22 | 8 | 9 | 5 | 23-22 | 33 |
| 9. კასტელონი | 22 | 8 | 7 | 7 | 21-17 | 31 |
| 10. ტენერიფე | 22 | 7 | 10 | 5 | 28-27 | 31 |
| 11. ერკულესი | 22 | 7 | 8 | 7 | 31-27 | 29 |
| 12. სალამანკა | 22 | 7 | 8 | 7 | 28-25 | 29 |
| 13. ეიბარი | 22 | 8 | 5 | 9 | 23-28 | 29 |
| 14. კადისი | 22 | 8 | 4 | 10 | 21-23 | 28 |
| 15. კორდობა | 22 | 5 | 11 | 6 | 25-30 | 26 |
| 16. ალავესი | 22 | 6 | 7 | 9 | 24-27 | 25 |
| 17. ხიმნასტიკი | 22 | 5 | 8 | 9 | 22-26 | 23 |
| 18. ლას პალმასი | 22 | 6 | 5 | 11 | 23-32 | 23 |
| 19. ხერესი | 22 | 4 | 10 | 8 | 26-34 | 22 |
| 20. ალბასეტე | 22 | 5 | 6 | 11 | 16-24 | 21 |
| 21. ეხიდო | 22 | 5 | 6 | 11 | 19-33 | 21 |
| 22. ფეროლი | 22 | 5 | 5 | 12 | 22-32 | 20 |

თბილისის მსოფლიო თასი

# ზვიადაურის დაბრუნება



ზაზა კედელაშვილი

პირველი გვერდიდან

მეოთხე შეხვედრაში - ნახევარფინალში მას, თამამად შეიძლება ითქვას, ქართული ძიუდოს ამომავალი ვარსკვლავი ვარლამ ლიპარტელიანი დაუპირისპირდა.

ამ 18 წლის ტალანტს საქართველოს ჩემპიონატის შემდეგაც გვარიანი ქება ვუძღვენით და იგივეს გაკეთება არც ახლა დაგვენანება, რადგან სრულიად იმსახურებს ქებას. იგი ჯერ ძალზე პატარაა ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონთან კონკურენციისთვის, რაც თავის წონაში ელოდება, მაგრამ ნუ გაგვიკვირდება, მომდევნო ოლიმპიურ ციკლში ორივე რომ ჩამოიცილოს გზიდან. წინასწარ ვერავინ იტყვის, როგორ ივარჯიშებს იგი და რამდენად წარმატებით გააგრძელებს პროგრესს, მაგრამ სადღეისოდ რასაც ვხედავთ, უნიჭიერესი ფალავანი გვეზრდება. 18 წლის ბიჭი რომ ტექნიკურ-ტაქტიკურ ასპექტში ბოლომდე დახვეწილი არ იყოს, რა გასაკვირია; ცხადია, ჯერ გამოცდილებაც აკლია და - შტანგებზე ვარჯიშიც, მაგრამ დადებითი თვისებებიც ბლომად მოეპოვება - ტექნიკური არსენალი არ დაეწუნება, სწრაფია, ტატამზე კარგად აზროვნებს, ადვილად ითვისებს ნასწავლს და ბოლომდე მიჰყვება მწვრთნელს, მაგრამ მის მთავარ ღირსებად მაინც ხასიათი მიმაჩნია. ბავშვური ასაკის მიუხედავად, არ ეშინია ტიტულების და შესაშურად მშვიდი, გაწონასწორებული გადის საჭიდაოდ. ამჯერად მის ახლოს ყოფნა არ მომწევია, საქართველოს ჩემპიონატზე კი მთელი შეჯიბრება ჩემს წინ იჯდა და გამაოცა მისმა სიმშვიდემ. არანაირი განცდა და მღელვარება სახეზე - პირიქით, კარგა გამოცდილი ფალავანივით გადიოდა ტატამზე. „მე მოვიგებ" - მხოლოდ ეს იკითხებოდა მის სახეზე. ლიპარტელიანმა უფროსებში პირველად იჭიდავა საერთაშორისო ტურნირზე, მაგრამ ჩვეული თავდაჯერება მაინც არ დაუკარგავს. მსოფლიოს უძლიერეს ფალავნებთან მოსალოდნელ შერკინებას ოდნავადაც არ შეუშინებია იგი. ამის ნათელ მაგალითად რუს ევროპის ჩემპიონ და მსოფლიოს პრიზიორ **ივან პერშინთან** შეხვედრაც გამოდგება - სულ რაღაც 1 წუთში ლიპარტელიანმა ჯერ მშვენიერი გდება გააკეთა, მერე კი ეს ტიტულოვანი მეტოქე სულაც შებოჭა! ამ დროს ერთი იპონი უკვე მითვლილი ჰქონდა - უნგრელ **ბალინტ ფარკაშთან**, პერშინის მერე კი შვეიცარიელ მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონ **სერგეი აშვანდენსაც** შავი დღე აყარა - ვაზარ-იუკო აართვა და დამაჯერებლად მოუგო. იგი სამართლიანად დაასახელეს ტურნირის საუკეთესო ახალგაზრდა მოჭიდავედ.

თამბათა შორის ბრძოლა ზვიადაურმა დამაჯერებლად მოიგო. ძირითადად, ისევ გამოცდილების ხარჯზე - ვაზარიუკო აართვა. ისინი ამ ტურნირამდე - შეკრებაზეც შეხვდნენ ერთმანეთს და პირველი ბრძოლა ლიპარტელიანმა მოიგო. შეიძლება ითქვას, ზვიადაურმა სათანადოდ არ შეაფასა მეტოქე და პირველად ნებაზე მიუშვა, მაგრამ როცა მისი ძალა ირწმუნა, უფრო დახურული სტილით ეჭიდავა და მომდევნო ორი მოიგო.

საწყის შეხვედრებში ჩვეულად არც ცირეკიძე გამოიყურებოდა, მაგრამ, ზვიადაურისგან განსხვავებით, იგი ძალებს ზოგავდა. საწყის შეხვედრებში ფინელ **რაულ კარპანენთან** და პოლონელ ევროპის პრიზიორ **კშიშტოფ ვეგლარცთან** (ამას მსოფლიოზეც მოუგო) თითქოს ინერტული იყო, მაგრამ გამარჯვება საეჭვო წუთითაც არ გაუხდია და ორივეს დამაჯერებლად მოუგო. სამაგიეროდ, ლატვიელ **ევგენის ბოროდავკოსთან** და აზერბაიჯანელ **ელხან მამადოვთან** გდებებით დაგვამახსოვრა თავი.

ცირეკიძე და ზვიადაური რომ ჩინებულად იცნობენ ერთმანეთს, არახალია. თანაც, ამ შეხვედრას ბევრის გადაწყვეტა შეეძლო. მოგების შემთხვევაში ცირეკიძე ერთხელ და საბოლოოდ ჩამოიშორებდა ზვიადაურის აჩრდილს. თავის მხრივ, გამარჯვება ზვიადაურსაც კვლავ დაუტოვებდა ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსს. ალბათ, ამ ყველაფერს უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ მეტოქეებს ერთურთის დაზვერვაზე დრო არ დაუკარგავთ, თუმცა არ გაემტყუნებათ, მთლად გახსნილად რომ არ იჭიდავეს. მოწინააღმდეგეზე პირველი იერიში ცირეკიძემ მიიტანა, მაგრამ მის გარესარმას ზვიადაური როგორღაც გაექცა. სულ რაღაც ერთ წუთში უკვე ზვიადაურმა წამოიწყო შეტევა, როცა მეტოქე უზადო კისრულზე წამოილო. თითქოს იპონი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ცირეკიძე თავით დაასკდა ტატამს და გადარჩა. აი, მომდევნო წუთები უფრო ცირეკიძის იყო. ზვიადაურიც აქტიურობდა, მაგრამ უფრო სახიფათოდ ცირეკიძე უტევდა. სამაგიეროდ, ოლიმპიური ჩემპიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი რიგ ეპიზოდებში ჩინებული რეაქცია გამოავლინა და საერთოდ ჩაუხურა გდება, ან - მოხერხებულად დაუძვრა. ამ ეპიზოდში მსაჯმა ზვიადაური პასიურობისთვის გააფრთხილა კიდეც, რასაც დარბაზი წარმოუდგენელი ღრიანცელით შეხვდა. ალბათ, სამართლიანადაც, რადგან იმ ეპიზოდში, ვფიქრობ, არ ეკუთვნოდა და აკი ორივე გვერდითმა მსაჯმა მაშინვე გააუქმა. ძირითადი დრო ორმხრივ შეტევებში, მაგრამ უქულოდ გაილია და დამატებითი დაინიშნა. აი, ალბათ, ამ პერიოდში ზვიადაურს კი ეკუთვნოდა გაფრთხილება, შუამავალმა ერთხელ გვერდითები სათათბიროდაც მიიხმო, მაგრამ არ მისცეს, ორმხრივი ძიძგილაობა კი ზვიადაურის გდებით დასრულდა...

თუმცა ამით ნაკრებში კონკურენცია არ დასრულებულა. ახლა ყველაფერი მომავალ საერთაშორისო ტურნირებზეა დამოკიდებული - ვინც უკეთ იასპარეზებს, პეკინშიც ის წავა. ამათ კონკურენციაში სულ ასე იყო - პირად შეხვედრებში მუდამ ზვიადაური იმარჯვებდა, საზღვარგარეთ კი ცირეკიძე ყოჩაღობდა. ვნახოთ, რა იქნება ამ სეზონში, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი ასე იოლად ჩამოსაწერი არ იქნება.

ორმაგად მისასალმებელია ზაზა კედელაშვილის წარმატება - ლიცენზია ხომ გაინაღდა, ხარისხიანადაც იჭიდავა. თუმცა ეს მაინც არ იყო ძველი კედელაშვილი, რადგან ბევრი დაიკლო და ცოტა გამოფიტულივით გახლდათ. თავადაც აღნიშნა, მსოფლიო ჩემპიონატთან შედარებით, ბევრად უკეთ ვარ მომზადებულიო, რაც დაამტკიცა კიდეც, მაგრამ წონის პრობლემას თუ მოაგვარებს, კარგი იქნება.

ჩემპიონობამდე კედელაშვილმა რთული გზა გაიარა. მით უფრო, არც წილისყრამ გაუმართლა, რადგან იაპონელი ოლიმპიური ჩემპიონი **მასატო უჩიშიბაც** აქვე მოხვდა, თუმცა მასთან შეხვედრა მაინც ასცდა. უცნაურია, მაგრამ ტურნირის გახსნა-დახურვა იმ მეტოქეებთან ჭიდაობით მოუწია, რომლებსაც ევროპის ჩემპიონატების ფინალებში სძლია - პირველ შეხვედრაში სერბ **მილოშ მიიალკოვიჩს** აჯობა, რომელსაც შარშან მოუგო, ფინალში კი ფრანგ **ბენჟამენ დარბელეს** აჯობა, ვისაც 2006 წელსაც მოუგო ასევე კონტინენტის პირველობის გადამწყვეტ შეხვედრაში. მიიალკოვიჩთან შეხვედრა დაახლოებით იგივე სცენარით წარიმართა, როგორც ევროპაზე - ამჯერადაც გაუჭირდა, მაგრამ მაინც მოუგო. სამაგიეროდ, მერე 41 წამში დააიპონა ავსტრიელი **ანდრეას მიტერფელნერი**. ზუსტად ამავე რაუნდში გერმანელმა **ადრიან კულიჩმა** უჩიშიბას მოუგო და კედელაშვილის პირისპირ დადგა. ეს შეხვედრა ქართველმა მართლაც რომ სანაქებო იპონით მოიგო. ერთი ეგ იყო, ზონიდან გასვლისას წამით შეყოვნდნენ და არბიტრებმა იპონამდე ცოტა წაითათბირეს, ჩაეთვალათ თუ არა შიგნიდან დაწყებულად გდება. დასკვინთი ორი შეხვედრა კედელაშვილმა ფრანგებთან ჩაატარა - **სებასტიან ბერტოლოტისა** და დარბელესთან, თუმცა ორივესთან წარმატებით.

ლომერ ჭორჭოლიანმაც ძლიერ მეტოქეებს მოუგო და დამაჯერებლად. უტიტულო და სუსტი მხოლოდ თავიდან შეხვდა ბელარუს **იუჰენ ბიადულინის** სახით, თორემ მერე, ნახეთ, ვის მოუგო - დამატებით დროში უზადო გდებით დაამარცხა ჰოლანდიელი ევროპის ჩემპიონი **ელკო ვან დერ ხესტი**, კოკა აართვა ფრანგ მსოფლიო ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორ **ფრედერიკ დემონფოკოს**, ნახევარფინალში კი წმინდად დასცა გერმანელი ოლიმპიური პრიზიორი **მიხაელ იურაკი**. ყველა მათგანი წონის გამოკვეთილი ლიდერია, მაგრამ ჭორჭოლიანს რიდი ოდნავადაც არ დასტყობია. ასევე არ შეტყობია ჭოჭმანი ფინალში ოლიმპიურ ჩემპიონ **ილიას ილიადისთან**. გაბერძნებულმა ქართველმა ლიცენზია მსოფლიოზე გაინაღდა დ ახლა ბიძაშვილის - **დიონისიოს ილიადისისთვის** ცდილობს - სასტარტო ტურნირები ისედაც სჭირდება და ბარემ 100-ში იჭიდავებს. თუ საგზურსაც მოიპოვებს, ბერძენ ბიძაშვილსაც გაიყოლებს ოლიმპიადაზე. იგი ახალ წონაშიც ლიდერად და ქართველი მაყურებლის კერპად რჩება, რაც სპორტის სასახლეში არაერთხელ დამტკიცდა. ნიჭი ყველგან იჩენს თავს და ახალ წონაშიც ძლიერად გამოვიდა, თუმცა რუს ევროპის ორგზის ჩემპიონ **რუსლან გასიმოვთან** მსაჯებმა იხსნეს. ჭორჭოლიანი არც მის ტიტულებს შეუშინდა და მთელი შეხვედრა შეტევებში გაატარა. მერე რა, თუ გდება ვერ გააკეთა, მისი უპირატესობა აშკარა იყო და დამსახურებულად გაიმარჯვა. არადა, დარბაზში გავრცელდა ხმები, თითქოს ბერძნებმა შეხვედრის დათმობა სთხოვეს, ქულები მაინც არ გჭირდება და ჩვენ მოგვეციო...

იქნებ ვცდები, მაგრამ მომეჩვენა, რომ ჭორჭოლიანი ახლა ცოტა უფრო გახსნილად და თამამად ჭიდაობდა. ადრინდელთან შედარებით თითქოს მეტს უტევდა და უფრო თავდაჯერებულად მოქმედებდა... ამასთან, არც სიფრთხილეს ივიწყებდა. ფიზიკური მომზადება არც აქამდე აკლდა და ამ ტურნირზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ იგი ამ წონაში მსოფლიოში კვლავაც ერთ-ერთი უძლიერესია. თუმცა მსოფლიომდე ისიც დაამტკიცა, რომ საქართველოში კონკურენტი არა ჰყავს. არადა, ამ წონაში საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდობაა და კონკურენციაც დიდია, მაგრამ ვერც **ლევან რაზმაძემ** და ვერც **გიორგი ყიზილაშვილმა** ვერ იყოჩაღეს.

სალიცენზიო თვალსაზრისით, ყველაზე ცუდი მდგომარეობა 81-შია. ამ ტურნირს საკმაოდ დიდ იმედებს ვუკავშირებდით, მაგრამ მდგომარეობა ლამის უცვლელი დარჩა - ჩვენებმა ქულათა მარაგი ძალზე ცოტათი გაიმდიდრეს. თითქოს **გიორგი ბაინდურაშვილს** ბევრიც არაფერი აკლდა მიზნამდე, მაგრამ მრავალნაცად რუს **სირაზუდინ მაოგმედოვთან** თანაბარ ბრძოლაში მიუტევებლად შეცდა... არადა, მანამ ორი შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. სამწუხაროდ, დამამშვიდებლის ფინალში იოლად წააგო გერმანელ ევროპის ჩემპიონ **ოლე ბიშოფთან** და მეხუთეზე დარჩა. მეშვიდეზე გავიდა **გრიგოლ შინჯიკაშვილი**, **გრიგოლ მამრიკიშვილი** კი უფრო ადრე გავარდა. ამან რამდენჯერმე ძველებურად კი იჩაუქა, მაგრამ უფრო გამოცდილების ხარჯზე, ფორმაში კი ვერ იყო. საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **საბა გავაშელიშვილი** პირველივე შეხვედრაში დამარცხდა იაპონელ **მასაჰიკო ტომოუჩისთან** და რაკი ნახევარფინალამდე ამანაც წააგო, გავარდა.

სხვა წონებიდან აღმნიშნავთ მძიმეწონოსან **ლაშა გუჯეჯიანის** მარცხს პოლონელ **იანუშ ვოინაროვიჩთან** და დავით კუპრაშვილის (73) ბრინჯაოს. გუჯეჯიანმა თავიდან ტრადიციულად ჰოლანდიელ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონს, ოლიმპიურ პრიზიორ **დენის ფან დერ ხესტს** - ვაზარით, მერე რუსი **მაქსიმ ბრიანოვსაც** აჯობა, მაგრამ პოლონელთან ვერაფერს გახდა. ვოინაროვიჩი ევროპის ორგზის პრიზიორია, მაგრამ გუჯეჯიანისთვის გადაულახავი ზღუდე ნამდვილად არ იყო, მაგრამ ახლა ვერაფერი მოუხერხა. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში იგი **ადამ ოქრუაშვილთან** საჭიდაოდ არ გავიდა. თითქოს ცოტა უკეთ გამოვიდა **ზვიად ხანჯალიაშვილი**, მაგრამ მაინც წარუმატებლად. იგი თავიდან იაპონელ მსოფლიოს პრიზიორთან და ამ ტურნირის მომავალ ჩემპიონ **იოშეი ტაკაისთან** დამარცხდა, სანუგეშოში კი ოქრუაშვილთან წააგო.

მისასალმებელია, რომ **დავით კუპრაშვილი** (73) თანდათან სტაბილურ მოჭიდავედ ჩამოყალიბდა - ბოლო ტურნირებში მუდამ მედალოსნებშია, თუმცა აქამდე ძირითადად შინაურ შეჯიბრებებში გამოდიოდა, ახლა კი საერთაშორისოზეც ივარგა.



ლომერ ჭორჭოლიანი

ნუგზარ ხურციძის ფოტოები

**თბილისის მსოფლიო თასი. 26-27 იანვარი.**

| 60 კგ. |
|---|
| 1. ჯეიმს მილარი (ბრიტანეთი) |
| 2. პაველ პეტრიკოვი (ჩეხეთი) |
| 3. ლავრენტის ალექსანიდისი (საბერძნეთი) |
| 3. ალბერტ ტეხოვი (ლიტვა) |
| **66 კგ.** |
| **1. ზაზა კედელაშვილი (საქართველო)** |
| 2. ბენჟამენ დარბელე (საფრანგეთი) |
| 3. მიხეილ პულიაევი (რუსეთი) |
| 3. რამილ გასიმოვი (აზერბაიჯანი) |
| **73 კგ.** |
| 1. ალექსანდრ სტიაშენკა (ბელარუსი) |
| 2. იოელ რაზვოზოვი (ისრაელი) |
| 3. მარკო მადალონი (იტალია) |
| **3. დავით კუპრაშვილი (საქართველო)** |
| **81 კგ.** |
| 1. სირაზუდინ მაგომედოვი (რუსეთი) |
| 2. ჟოაო ნეტო (პორტუგალია) |
| 3. ოლე ბიშოფი (გერმანია) |
| 3. ალიბეკ ბაშკაევი (რუსეთი) |
| **90 კგ.** |
| **1. ზურაბ ზვიადაური (საქართველო)** |
| **2. ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)** |
| **3. ვარლამ ლიპარტელიანი (საქართველო)** |
| 3. ელხან მამადოვი (აზერბაიჯანი) |
| **100 კგ.** |
| **1. ლომერ ჭორჭოლიანი (საქართველო)** |
| 2. ილიას ილიადისი (საბერძნეთი) |
| 3. მოვლუდ მირალიევი (აზერბაიჯანი) |
| 3. ჰენკ კროლი (ჰოლანდია) |
| **+ 100 კგ.** |
| 1. იოშეი ტაკაი (იაპონია) |
| 2. იანუშ ვოინაროვიჩი (პოლონეთი) |
| **3. ადამ ოქრუაშვილი (საქართველო)** |
| 3. მაქსიმ ბრიანოვი (რუსეთი) |

## ციგურაობა

ევროპის ჩემპიონატი

# ერთიით გააუმჯობესა



18 წლის ელენე გედევანიშვილმა ზაგრებში ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ პროგრამაშიც მერვე შედეგი აჩვენა, ჯამში მას 147,09 ქულა დაუგროვდა და ასპარეზობა მეშვიდე ადგილზე დაასრულა. ეს შედეგი შარშანდელს ერთი ადგილით კი სჯობს, მაგრამ ელენეს ქართველ გულშემატკივრებს ველარ დააკმაყოფილებს, რადგან ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში დებიუტანტმა ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავა. თავისუფალი პროგრამა ელენემ „სასიყვარულო ისტორიების" მელოდიაზე შეასრულა. ამჯერად, ის არ დავარდნილა, მსაჯებისგან ქართველმა ტექნიკურ ელემენტებში 48,01 დაიმსახურა, ხოლო პროგრამულ კომპონენტებში 45,65 მიიღო.

მეორე დღეს ყველაზე უკეთ **სარა მაიერმა** ისრიალა, მან 113 ქულა მიიღო და სულ ცოტა დააკლდა ევროპის ჩემპიონობამდე. ტიტული კი იტალიელმა **კაროლინა კოსტნერმა** შეინარჩუნა. ფინელი **ლაურა ლეპისტო** მესამე ადგილზე გავიდა. მოკლე პროგრამის შემდეგ მეორე ადგილზე მყოფი **კიირა კორპი** საბოლოოდ უნგრელი **იულია შებეშჩენის** მერე აღმოჩნდა მეხუთე ადგილზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**21-27 იანვარი, ზაგრები (ხორვატია)**

| ქალები |
|---|
| 1. კაროლინა კოსტნერი (იტალია) - 171,28 |
| 2. სარა მაიერი (შვეიცარია) - 169,44 |
| 3. ლაურა ლეპისტო (ფინეთი) - 165,65 |
| 4. იულია შებეშჩენი (უნგრეთი) - 162,89 |
| 5. კიირა კორპი (ფინეთი) - 162,22 |
| 6. ვალენტინა მარკეი (იტალია) - 153,34 |
| **7. ელენე გედევანიშვილი (საქართველო) - 147,09** |
| 8. იენა მაკკორკელი (ბრიტანეთი) - 145,57 |
| 9. ქსენია დორონინა (რუსეთი) - 144,20 |
| 10. იენი ვაკამაა (ფინეთი) - 142,40 |

## სუმო


ეროვნული ბიბლიოთეკა

კოკაი კლასიფიკაციაში წინ წაიწევს

იანვრის ბაშო

# ლევან გორგაძე ძურიოს ჩემპიონია

20 წლის ქართველი დებიუტანტი **ლევან გორგაძე** მეორე ელიტური დივიზიონის, ძურიოს ჩემპიონია. 191 სმ. სიმაღლის და 145 კილო წონის **ტოჩინოშინი** ყველასთვის მოულოდნელად 12-3 ბალანსით გაჩემპიონდა, მან ბაშო ზედიზედ ექვსი მოგებით დაასრულა. ლევანმა ბოლოსწინა დღეს ვეტერანი **ოცუკასა** დაამარცხა საკმაოდ იშვიათი ილეთით, ბოლო დღეს კი უშუალო კონკურენტი და მოქმედი ჩემპიონი **საკაიძავა** გაიყვანა დოჰიოდან. მან ერთი მოგებით აჯობა მეორე ადგილზე გასულ მონღოლ **ჰაკუბას**. ლევანმა ყველაფერი გაილო, თუმცა დასავლეთ ძურიოს მე-12 ნომრობამ თავისი დაღი დაასვა მის ბრწყინვალე გამოსვლას - მაკუუჩის დივიზიონის საგზურს ქართველი ვერ შენვდა. თუმცა ძურიოს დივიზიონის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტმა ისედაც თითქმის წარმოუდგენელს მიაღწია - პირველივე ბაშო მოიგო და კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა.

ქართველი ძურიოს ჩემპიონი მეორედ ხდება, პირველად 2003 წლის კიუშუს ბაშოზე იმ დროისთვის ძურიოს მე-2 ნომერმა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** 14-1 ბალანსით იმარჯვა. მაშინ კოკაი 22 წლის იყო, ტოჩინოშინმა კი ეს ტიტული ორი წლით უფრო ახალგაზრდამ მოიპოვა. ლევანმა იუმისთან (ტიტული) 2 მილიონი იენი (დაახლოებით 20 ათასი ამერიკული დოლარი) დაიმსახურა. კიდევ ერთი დადებითი ბალანსი მას უმაღლესი დივიზიონის საგზურს მოუტანს.

აღმოსავლეთის მეცხრე მაეგაშირა კოკაიმ ბაშო კარგი შედეგით, 9-6 დაასრულა და მარტის ბაშოს გაცილებით მაღალი რანგით შეხვდება, კოკაი ნელნელა იბრუნებს ძველ ფორმას. მე-14 დღეს მან **იოშიკაძესთან** წააგო, თუმცა ბოლოს მაინც გამარჯვებით დაემშვიდობა ტურნირს, **ტოჩიოძანს** ჰატაკიკომის მცდელობა მოუსპო და ოშიდაშით გაისროლა დოჰიოდან.

იმპერატორის თასი კი კლასიკური ბრძოლით გადაწყდა. ორი დიდი ჩემპიონი ბოლო დღეს თასისთვის, 2002 წელს დაუპირისპირდა ! მაშინ **მუსაშიმარუმ ტაკანოჰანა** დაამარცხა. ბედის ირონიით, ამ დიდ სუმოისტებს მეტჯერ ბაშოს დასრულება აღარ დასცალდათ. **ჰაკუჰოს** და **ასაშორიუს** შანსებს, 50/50-ზე აფასებდნენ, თუმცა სპეციალური გამოკითხვის მიხედვით ჰაკუჰოს 70 პროცენტზე მეტი მაყურებელი გულშემატკივრობდა. ჰაკუჰომ თავიდანვე იგდო ინიციატივა და უვატენაგეს ილეთით იმარჯვა, ამით კარიერაში მეექვსედ დაეუფლა იმპერატორის თასს.

ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულა მესამე ქართველმაც, **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** ბოლო დღეს **საოტაირიუსთან** წააგო, მაგრამ საბოლოოდ 4-3 შედეგი აჩვენა. გაგამარუ მესამე დივიზიონ მაკუშიტას 35-ე ნომერია, ის ალბათ 5-10 საფეხურით წაიწევს წინ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)
13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

### მაკუუჩი

XIV დღე: კოკაი-იოშიკაძე 0:1 (იორიკირი), ასაშორიუ-კაიო 1:0, ჰაკუჰო-კოტომიცუკი 1:0, კოტოოშუ-კაკურიუ 1:0, ასასეკირიუ-ამა 1:0, კისენოსატო-ამინიშიკი 1:0, დეჯიმა-ტოიონოშიმა 1:0, ტაკეკაძე-კოტოშოგიკუ 1:0, მიაბიამა-ტოკიტენკუ 1:0, ტოიოჰიბიკი-ტოჩინონადა 1:0, როჰოგოეიდო 1:0, ვაკანოსატო-ჰომაშო 1:0, ტოსანოუმი-ტამაკასუგა 1:0, იჩიჰარა-ჰოკუტორიკი 1:0, ბარუტო-ტაკამისაკარი 1:0, ტოჩიოძანი-ვაკაკირინი 1:0, კაიჰო-კიოკუტენჰო 1:0, ვაკანოჰო-ფუტენო 1:0, ივაკიამა-კასუგაო 1:0.

XV დღე: კოკაი-ტოჩიოძანი 1:0 (ოშიდაში), ჰაკუჰო-ასაშორიუ 1:0 (უვატენაგე), კოტომიცუკი-ამინიშიკი 1:0, კოტოოშუ-კაიო 1:0, ამა-კაკურიუ 1:0, კოტოშოგიკუ-ასასეკირიუ 1:0, ტამაკასუგა-დეჯიმა 1:0, კისენოსატო-ტოკიტენკუ 1:0, ტოიონოშიმა-გოეიდო 1:0, მიაბიამა-ტოჩინონადა 1:0, ვაკანოსატო-ივაკიამა 1:0, ტაკამისაკარი-როჰო 1:0, ბარუტო-ფუტენო 1:0, ჰოკუტორიკი-კიოკუტენჰო 1:0, ტაკეკაძე-იჩიჰარა 1:0, ვაკანოჰო-კასუგაო 1:0, კაკიძოეკაიჰო 1:0.

საბოლოო მდგომარეობა. 14-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა). 13-2: ასაშორიუ (იოკოძუნა). 12-3: ტაკეკაძე (მაეგაშირა 7). 11-4: კაკურიუ (მაეგაშირა 8). 10-5: კისენოსატო (მაეგაშირა 1), ასასეკირიუ (მაეგაშირა 4), ვაკანოჰო (მაეგაშირა 10), კიოკუტენჰო (მაეგაშირა 10). 9-6: კოტოოშუ (ოძეკი), ამა (სეკივაკე), კოკაი (მაეგაშირა 9), ივაკიამა (მაეგაშირა 13). 8-7: კოტომიცუკი (ოძეკი), კაიო (ოძეკი), კასუგაო (მაეგაშირა 11), ფუტენო (მაეგაშირა 12), ტაკამისაკარი (მაეგაშირა 14), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 15), იოშიკაძე (მაეგაშირა 15), იჩიჰარა (მაეგაშირა 16), კაიჰო (8-7).

### ძურიო

XIV დღე: ტოჩინოშინი-ოცუკასა 1:0 (უვატედაშინაგე), კორიუ-ჰოშიჰიკარი 1:0, რიუო-შირონონამი 1:0, ჰაკუბა-საკაიძავა 1:0, მასაცუკასა-ჰოჩიამა 1:0, ტამავაში-ტოიოძაკურა 1:0, მოკონამი-კიტატაიკი 1:0, სატოიამა-კიტაძაკურა 1:0.

XV დღე: ტოჩინოშინი-საკაიძავა 1:0 (იორიკირი), კირინოვაკა-კორიუ 1:0, კიტაძაკურა-რიუო 1:0, ჰაკუროძანი-შირონონამი 1:0, კოტოკასუგა-ჰოჩიამა 1:0, ოცუკასა-კიტატაიკი 1:0, ჰოშიჰიკარი-მასაცუკასა 1:0, ჰაკუბა-უშიომარუ 1:0, მოკონამი-ტამავაში 1:0.

საბოლოო მდგომარეობა. 12-3: ტოჩინოშინი (ძურიო 12). 11-4: ჰაკუბა (ძურიო 8). 10-5: ტამავაში (ძურიო 13). 9-6: საკაიძავა (ძურიო 3), ოცუკასა (ძურიო 4), ჰოშიჰიკარი (ძურიო 5), მოკონამი (ძურიო 7).

იმპერატორის თასი: ჰაკუჰო (მეექვსედ)

ბრწყინვალე ასპარეზობა: ამა (მესამედ)

ბრწყინვალე ასპარეზობა: კისენოსატო (მეორედ)

მებრძოლი სული: ტაკეკაძე (პირველად)

ტექნიკური რიკიში: კაკურიუ (პირველად)

ძურიოს ჩემპიონი: ტოჩინოშინი (პირველად)

## რაგბი



მამუკა გორგოძე



მამუკა მაგრაქველიძე

ლეგიონერები

# კლერმონი დამარცხდა

**საფრანგეთის** ჩემპიონატის პირველ დივიზიონში მე-7 ტური მხოლოდ იმით იყო გამორჩეული, რომ გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით ზირაქაშვილისა და გოდერძი შველიძის „კლერმონმა" სტუმრად წააგო ჯერჯერობით ლიგაში დარჩენისათვის მებრძოლ აქვსენტი გიორგაძის „კასტრთან".

„ვულკანებმა" პირველი ნახევარი მოიგეს (9:6), მაგრამ მასპინძლებმა მეორე ნახევარში მაინც შეძლეს მცირედი უპირატესობის მოპოვება და გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი მინიმალური ანგარიშით, 15:14 დაამარცხეს. **შველიძემ** თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 52-ე წუთზე შეცვალეს. **ზირაქაშვილი** თამაშში 43-ე წუთიდან ჩაერთო. **აქვსენტი გიორგაძე** ქართველებიდან მოედანზე ყველაზე გვიან, 58-ე წუთზე გამოჩნდა.

მე-5 გამარჯვება მოიპოვა და მეორე ადგილზე მყოფ „კლერმონს" 3 ქულით-ლა ჩამორჩება **მამუკა გორგოძის** „მონპელიე". ჩვენებურის გუნდმა ამჯერად შინ დაამარცხა **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონი" 37:13. გორგოძე თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო. კოპალიანი განაცხადში არ იყო. აღსანიშნავია, რომ „მონპელიეს" მწვრთნელებმა თამაშამდე 24 საათით ადრე სავარაუდო შემადგენლობის ოცდაოთხკაციან სიაში შერკინების ქარველი პირველხაზელი **დავით ქუბრიაშვილიც** შეიყვანეს, თუმცა სამწუხაროდ, ყოფილი ლელოელი მატჩის განაცხადში ვერ მოხვდა.

საკუთარ მოედანზე დაამარცხა ერთ-ერი აუტსაიდერი „ალბი" **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა" 25:6. ხინჩაგიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. სტუმრად მინიმალური ანგარიშით 11:12 დამარცხდა „მონტობანთან" **ირაკლი გიორგაძის** „დაქსი". „პატარა გლობუსას" თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. შინ დამარცხდა გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „ტულუზთან" **მამუკა მაგრაქველიძის** „ოში" 3:34. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს.

**I დივიზიონი. VII ტური.** ოში-ტულუზი 3:34, ბიარიცი-პერპინიანი 21:8, მონტობანი-დაქსი 12:11, ბრივი-ალბი 25:6, კასტრი-კლერმონი 15:14, მონპელიე-ბაიონი 37:13, ბურგუენი-სტად ფრანსე 16:31.

1. ტულუზი - 29 ქულა, 2. კლერმონი - 23, ბიარიცი - 22, 4. სტად ფრანსე - 21, 5. მონტობანი - 20, 6. მონპელიე - 20, 7. ბაიონი - 16, 8. ბურგუენი - 15, 9. ბრივი - 13, 10. კასტრი - 13, 11. პერპინიანი - 12, 12. ალბი - 12, 13. დაქსი - 8, 14. ოში - 6

**მეორე** დივიზიონში ისევ დაუმარცხებელია **გია ლაბაძის** „ტულონი". გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა სტუმრად 21:15 დაამარცხა არგენტინელებითა და იტალიელებით გაძეძგილი „მეტრო რასინგი", რომელსაც ცნობილი ფრანგი სპეციალისტი **პიერ ბერბიზიე** წვრთნის. ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

საკუთარ მოედანზე **დავით აშვეთიას** „იიონაქსი" დაამარცხა **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონმა" 25:10. კუთარაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. ძირითადში იყო აშვეთიაც, რომელიც 41-ე წუთზე შეცვალეს.

კიდევ ერთ „ქართულ დერბიში" **მერაბ კვირიკაშვილის** „პომ" შინ დაამარცხა **მალხაზ ურჯუკაშილის** „ორიიაკი" 19:17. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ. ასევე შინ მოიგო **ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანმა", ამჯერად „ბორდოსთან" 10:6. მაჩხანელი ტრავმირებულია.

**იგორ ბარბაქაძის** „ტარბმა" საკუთარ მოედანზე წააგო **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენთან" 14:16. ქართველები არც ამ შეხვედრაში გამოჩენილან. **ლევან ლვაბერიძის** „გრენობლმა" სტუმრდ დაამარცხა გასავარდნად განწირული „ბლანიაკი" 29:17. ლვაბერიძე განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი. XIII ტური.** ნარბონი-იიონაქსი 25:10, ლიონი-ბეზიე 15:6, პო-ორიიაკი 19:17, მონ დე მარსანი-ბორდო 10:6, ბლანიაკი-გრენობლი 17:29, ტარბი-აჟენი 14:16, ლიმოჟი-როშელი 11:15, მეტრო რასინგი-ტულონი 15:21

1. ტულონი - 52 ქულა, 2. მონ დე მარსანი - 43, 3. გრენობლი - 38, 4. მეტრო რასინგი - 36, 5. აჟენი - 35, 6. ლიონი - 34, 7. ორიაკი - 34, 8. ბეზიე - 32, 9. ლა როშელი - 29, 10. პო - 29, 11. ნარბონი - 28, 12. იიონაქსი - 23, 13. ბორდო - 19, 15. ლიმოჟი - 15, 16. ბლანიაკი - 5

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ხელბურთი



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი გარი თურქია

# ახლა ოცწლამდელთა ჯერია

**„ჩელენჯ ტროფის“ მოგების შემდეგ, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრები დროებით უკანა პლანზე გადაწია და გადაერთვება 20-წლამდელთა ნაკრებზე, რომელსაც მარტში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი აქვს. ახალგაზრდული ნაკრების მოსამზადებელი ეტაპის განრიგის შესახებ გუშინ ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ზურაბ კაკაბაძეს გავესაუბრეთ.**

- როგორც იცით, ევროპის 2008 წლის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფურ მატჩებს 21-23 მარტს, ესპანეთში ჩაატარებენ ჩვენი ოცწლამდელები. მასპინძელთა გარდა, ჩვენი მეტოქეები იქნებიან იტალია და სლოვაკეთი. ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი გადის.

საქართველოს ნაკრები საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას ამ დღეებში შეუდგება, როდესაც საბოლოოდ გადავწყვეტთ, თუ რომელ დარბაზში ან დარბაზებში ჩავატარებთ ვარჯიშებს. თავდაპირველად, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე 20-წლამდელებს კვირაში ორჯერ ვავარჯიშებთ. გუნდის მთავარი მწვრთნელი გარი თურქია საბერძნეთში წავიდა და ცოტა მოგვიანებით დაბრუნდება. იქამდე კი ნაკრებს ავარჯიშებს ეროვნულის თავკაცი იმედო ფხაკაძე, რომელსაც ალბათ ახალგაზრდულის მეორე მწვრთნელად შეგულებულ გიორგი ქობელაშვილს დავახმართ.

თებერვლის ბოლოდან კი გუნდი მოსამზადებელ ეტაპს ინტენსიურად შეუდგება და შეკრებაზე გადავა. მარტის პირველ რიცხვებში გვესტუმრება თურქეთის ახალგაზრდული ნაკრები, რომელთანაც ამხანაგურ მატჩებს გავმართავთ. რაც შეეხება მზადების ბოლო ეტაპს, მისი ჩატარება უცხოეთში გვინდა. კერძოდ, ესპანეთში წავალთ ტრანზიტული რეისით, ავსტრიის ან თურქეთის გავლით. ამ ორიდან რომელ ქვეყანაშიც მოგვიხდება გავლა, იქ საკვალიფიკაციო ეტაპამდე ერთი კვირით ადრე ჩასვლას ვაპირებთ, სადაც ბოლო შეკრებას გავივლით და საკონტროლო შეხვედრების ორგანიზებაზეც ვიზრუნებთ. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე ახლა ავსტრიაში იმყოფება ევროპის ხელბურთის ფედერაციის კონგრესზე. საბოლოო გეგმას მისი დაბრუნების შემდეგ ჩამოვაყალიბებთ.

აქვე, გთავაზობთ 20-წლამდელთა საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი გუნდის მატჩების განრიგს.

**კობა ხატისაშვილი**

**21 მარტი**

**საქართველო-სლოვაკეთი**

**22 მარტი**

**საქართველო-ესპანეთი**

**23 მარტი**

**საქართველო იტალია**

## თავისუფალი ჭიდაობა

### საქართველოს ჩემპიონატი

# მინდორაშვილი უმედლოდ დარჩა, კურტანიძემ არ იჭიდავა

ამ უქმეებზე ბათუმში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა, რომელმაც საკმაოდ დიდი მოულოდნელობებით ჩაიარა. უმთავრესი სიურპრიზი მსოფლიო ჩემპიონ **რევაზ მინდორაშვილის** (84) უმედლოდ დარჩენაა - ორი შეხვედრის მოგების შემდეგ ტრავმა მიიღო და ასპარეზობა ვერ გააგრძელა. 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბათუმელმა მაყურებელმა ვერც ამჯერად იხილა ორი მსოფლიო ჩემპიონის - **გიორგი გოგშელიძისა** და **ლუკა კურტანიძის** დაპირისპირება, რადგან ავადმყოფობის გამო კურტანიძე საერთოდ ვერ ჩავიდა ბათუმში. მის არყოფნაში გოგშელიძემ შანსი ხელიდან არ გაუშვა და მორიგი ჩემპიონობა მიითვალა. მთლიანობაში ტურნირმა საკმაოდ ბევრი ახალი სახე წარმოაჩინა. დღეს ბათუმში შესვენებაა, ხვალიდან კი ქვეყნის ჩემპიონატში „ანტიკოსები“ ჩაებმებიან.

**ირაკლი თავაძე**

**26-27 იანვარი. ბათუმი**

**55 კგ.**

1. ბესიკ გუჩაშვილი (გორი)
2. კოკა კოტორაშვილი (თბილისი)
3. ამირან ელბაქიძე (გორი)
3. ლევან მეტრეველი (თბილისი)

**60 კგ.**

1. მალხაზ ქურდიანი (თბილისი)
2. გიორგი მაყიშვილი (გორი)
3. გიორგი ბალიაშვილი (გორი)
3. მალხაზ ზარქუა (აფხაზეთი)

**66 კგ.**

1. კობა კაკალაძე (ა არა)
2. მიხეილ ზარქუა (აფხაზეთი)
3. პაატა ნოზაძე (თბილისი)
3. გიორგი ცუცქირიძე (ქუთაისი)

**74 კგ.**

1. ალექს. პატარქალიშვილი (თბილისი)
2. გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი)
3. იაკობ მაქარაშვილი (თბილისი)
3. გიორგი სანოძე (თბილისი)

**84 კგ.**

1. არჩილ ქიტიაშვილი (გურჯაანი)
2. გელა სალირაშვილი (თბილისი)
3. ირაკლი მარსაგიშვილი (ყაზბეგი)
3. თამაზ გელაძე (ყაზბეგი)

**96 კგ.**

1. გიორგი გოგშელიძე (გორი)
2. ბელდუხ გავაშელი (თბილისი)
3. მიხეილ ბაგაური (თბილისი)
3. დაჩი ქერაშვილი (თბილისი)

**120 კგ.**

1. დავით მოძმანაშვილი (თბილისი)
2. ლაზარე მარსაგიშვილი (ყაზბეგი)
3. ლევან ბერიანიძე (აფხაზეთი)
3. დავით ოთიაშვილი (თბილისი)

## მძლეოსნობა

# მარიამ ქევხიშვილი კვლავ პირველია

გრძელდება აშშ-ის სტუდენტ მძლეოსანთა ზამთრის ტურნირების სერია. მორიგი ასპარეზობა გაიმართა ფლორიდაში. ქალთა შორის ბირთვის კვრაში კვლავ წარმატებით იასპარეზა საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრმა, ათენის ოლიმპიადის მონაწილემ **მარიამ ქევხიშვილმა.**

როგორც საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, მარიამის თბილისელმა მწვრთნელმა **ყარამან საბანაშვილმა** გუშინ გვაცნობა, ჩვენი სპორტსმენი 35 კონკურენტს შორის ამჯერადაც შეუდარებელი ყოფილა - 16 მ 82 სმ.

"ეს შედეგი 12 სმ-ით აღემატება ერთი კვირის წინანდელ მისსავე მიღწევას და მთელი 1 მეტრით აჭარბებს შარშანდელს. ასე რომ, მარიამი დაბეჯითებით მიიწევს წინ პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ნორმატივთან მისაახლოებლად" - გვითხრა საბანაშვილმა.

## ჭადრაკი

### საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. ვაჟები

# უმაღლესის წრე შევიწროვდა...

ამ შაბათ-კვირას საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ორი ტური გაიმართა და როგორც შაბათის ნომერში ვივარაუდეთ, ორიოდ ტური იყო საჭირო, რათა ლიდერ **გაიოზ ნიგალიძეს** საგზური ოფიციალურად გაეფორმებინა, ხოლო დანარჩენ კანდიდატთა ჯგუფი გარკვეულიყო.

მეექვსე ტურში ნიგალიძე შავებით **დავით ლომსაძეს** ხვდებოდა და მეტად დაძაბულ ბრძოლაში, სადაც ორივე მხარეს ჰქონდა მოგების შანსები, ყაიმი დაფიქსირდა. მეშვიდეში ნიგალიძემ თეთრებით უშუალო კონკურენტი **პარმენ გელაზონია** დაამარცხა და 6,5 ქულას მოუყარა თავი. ეს მარაგი კი, ნებისმიერ შემთხვევაში უნაღდებს ბათუმელ ოსტატს უმაღლესის საგზურს. თითქოს გაიოზმა მოტივაცია უნდა დაკარგოს, მაგრამ რეიტინგით იგი ამ შეჯიბრზე მეორეა და სტატუსის მიხედვით სამეულს მიღმა დარჩენა არ ეკადრება. ამიტომ, ეჭვი გვაქვს, რომ ნიგალიძე ბოლომდე იბრძოლებს და პირველობას შეეცდება, - პროფესიონალი სპორტსმენისთვის პირველი ლიგის მოგება ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი წარმატება.

დღეს, მერვე ტურში გაიოზი თეთრებით **ლევან ბრეგაძეს** ხვდება, რომელიც რეიტინგფავორიტია. ლევანმა არცთუ დამაჯერებელი სტარტი აიღო, მაგრამ შემდეგ კლასის ხარჯზე მაინც შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, თუმცა დარჩენილ ორ შეხვედრაში მაქსიმალური მობილიზება მართებს, რათა ექვსეულში მოხვედრა შეძლოს. რთულია ლიდერს შავებით მოგებაზე ეთამაშო, მაგრამ უნდა ეცადოს და ვინ იცის, ეგებ ძალიანაც არ გაიწიოს მოსაგებად მეტოქემ - წელანაც აღვნიშნე, რომ ნიგალიძეს თავი უკვე ქუდში, ანუ უმაღლესში აქვს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლიდერი ერთი ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს: **ლევან ბრეგაძეს** და **ლუკა პაიჭაძეს,** 5 ქულა კი ოთხ მონაწილეს აქვს. უქმეები წარმატებული გამოდგა **შოთა აზალაძის, ივერი ჭილლაძისა** და **ნინო ბაციაშვილისთვის; პარმენ გელაზონიამ** კი ერთი მოიგო და ერთიც წააგო. ამათ 5 ქულა აქვთ და, ცხადია, რეალური შანსიც შერჩენიათ.

ობიექტურად, საგზურის მოპოვება კიდევ ოთხ მონაწილეს აქვს: **ირაკლი ჯანიაშვილმა, დავით ბენიძემ, დავით ლომსაძემ** და **დიმიტრი კვარაცხელიამ** 4,5 ქულა დააგროვეს. ეს მარაგი იძლევა წარმატების შანსს, მგარამ ერთმანეთს ხვდებიან და ცხადია, თუკი ვინმე დამარცხდება, მაშინვე ჩამოშორდება საგზურის მაძიებელთა ქარავანს.

სასიამოვნოა, რომ ვაჟებს ქალბატონიც ეპაექრება - **ნინო ბაციაშვილია** ერთადერთი, ვინც სუსტ სქესს წარმოადგენს ლიდერებში. გუშინ, ნინოობა დღეს მან **მერი არაბიძე** დაამარცხა და მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა საკუთარ თავს. დღეს იგი თეთრებით ხვდება ახალგაზრდა **ირაკლი ჯანიაშვილს** და ფავორიტადაც ითვლება. რთული სათქმელია, 6 ქულა გახდება თუ არა ფინალში მოხვედრის გარანტია, მაგრამ თუკი ნინომ იმარჯვა, ალბათ ამ უფლებას მიიღებს, რადგანაც ბოლო ტურში, მოჭადრაკეთა „სოლიდარობის“ წესის თანახმად, ალბათ ყაიმზე შეუთანხმდება მეტოქეს, რომელსაც, სავარაუდოდ, „ის“ ნახევარი ქულაც მოაწყობს...

ერთი სიტყვით, საგზურისთვის პირველ ექვს დაფაზე მსდომნი თუ იბრძოლებენ, დანარჩენებს შანსი არ დარჩენიათ. მკითხველს პირველ ათ დაფაზე მოპაექრეთა წყვილებს მაინც შევთავაზებთ, რადგან ყველას მაინც საკუთარი ინტერესი გააჩნია და მეორეც: აქამდე არსებული წესის დაცვაც გვმართებს.

მერვე ტური: **გაიოზ ნიგალიძე (6,5) - ლევან ბრეგაძე (5,5), შოთა აზალაძე (5) - ლუკა პაიჭაძე (5,5), პარმენ გელაზონია (5) - ივერი ჭილლაძე (5), ნინო ბაციაშვილი (5) - ირაკლი ჯანიაშვილი (4,5), დავით ბენიძე (4,5) - დავით ლომსაძე (4,5), დიმიტრი კვარაცხელია (4,5) - თამაზ მგელაძე (4), ნოდარ ლორთქიფანიძე (4) - ალექსანდრე ყაშაშვილი (4), იოსებ კვირიაშვილი (4) - გიორგი გამზარდია (4), ნოდარ დავარაშვილი (4) - მერი არაბიძე (4), სოფო ხუციძე (4) - ალეკო მანაშვილი (4)**

**ზვიად შათირიშვილი**



ნინო ბაციაშვილი



ქართული ლეგიონი

# სიახლე: მარკოიშვილი გამთამაშებლად

**მანუჩარ მარკოიშვილის** „კიევმა" უკრაინის ჩემპიონატში მეთექვსმეტე მატჩი გამართა და მეთექვსმეტე მოგება გაიფორმა. დედაქალაქელები იუჟნის „ხიმიკს" ესტუმრნენ და 81:67 აჯობეს. „კიევმა" პირველ ტაიმში გადაწყვიტა გამარჯვების ბედი - დედაქალაქელებმა საწყისი პერიოდი 27:8 მოიგეს, ხოლო 20 წუთში 46:31 იგებდნენ.

მეორე ტაიმში საინტერესო მხოლოდ „კიევის" მწვრთნელის, **ტომო მაჰორიჩის** ტაქტიკა იყო. მან ოთხფოლიანი გამთამაშებელი **პუხ ჯეტერი** თამაშიდან მოხსნა და პირველი ნომრის ფუნქციები **მანუჩარ მარკოიშვილს** დააკისრა. თუკი დედაქალაქელთა ოფიციალურ ვებ გვერდს ვენდობით, ქართველმა ფორვარდმა... უფრო სწორად გამთამაშებელმა დაკისრებულ ფუნქციას თავი შესანიშნავად გაართვა.

...საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი რომ ჰყავდეს, მანუსთან დაკავშირებულ ამ ნიუანსს უბის წიგნაკში ჩაინიშნავდა.

ლირიული გადახვევიდან „ხიმიკი"-"კიევის" მატჩს დავუბრუნდეთ. მანუჩარ მარკოიშვილმა 23 წუთი ითამაშა, 3-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 5 ქულას 2 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიამატა. კიეველთა შორის საუკეთესო კაპიტანი, **არტურ დროზდოვი** იყო, რომელმაც 27 ქულა ჩააგდო.



მანუჩარ მარკოიშვილი

## საბერძნეთი

„ატლანტასა" და „კიევს" არც **ვლადიმერ ბოისას** „არისი" ჩამორჩა და პირველ მეოთხედში მეტოქე, პატრას „ოლიმპია" 8 ქულას არ აცილა - 24:8. ალბათ, არც ის გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვით, რომ არისელებმა ოლიმპიელები საბოლოოდ 75:66 დაამარცხეს.

მწვრთნელმა **გორდონ ჰერბერტმა** ვლადიმერ ბოისა 25 წუთი ათამაშა. დროის ამ მონაკვეთში ვოვამ ორქულიანები ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლა - 3 ტყორცნა გამოიყენა, 1 საჯარიმოც მიამატა და 7 ქულას გამორჩა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 4 მოხსნა და 1 პასია. ამ მატჩის სნაიპერმაც 27 ქულას მოუყარა თავი - „ოლიმპიას" ამერიკელმა უკანახაზელმა დევეინ ჯეფერსონმა.

ეს გამარჯვება „არისისთვის" საბერძნეთის ჩემპიონატში ზედიზედ მეცხრე იყო. ბოისას თანაგუნდელებს ჯამში14 მატჩიდან 11 აქვს მოგებული და მხოლოდ „ოლიმპიაკოსსა" და „პანათინაიკოსს" ჩამორჩებიან.



ვლადიმერ ბოისა

## ესპანეთი

ესპანეთის ჩემპიონატში გაიმარჯვა **ტაირონ ელისის** „კახასოლმა". სევილიელებმა მეცამეტეადგილოსანი „მანრესა" მიიღეს და დამატებით დროში 102:96 აჯობეს.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა ამჯერად შეტევაზე მეტი ყურადღება დაცვას დაუთმო და მხოლოდ ერთი სამქულიანი ჩააგდო (1 ორქულიანი და 5 სამიანი სტყორცნა). ელისის გასწვრივ ოქმში არაერთი სამიანი დაფიქსირდა - 3 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი 30 წუთში.

საინტერესოა, რომ ამ შეხვედრის სნაიპერიც 27-ქულიანი ანდრეს მისო (კახასოლი) გახდა.

„მანრესას" ძლევით სევილიელებისთვის სატურნირო ცხრილში არაფერი შეცვლილა - კვლავ მეთექვსმეტე პოზიციაზე არიან (6 მოგება და 13 წაგება), თუმცა, 2 მოგებით ჩამორჩებიან მეთერთმეტეადგილოსან „გრან კანარიას".

ვაჟა **სიმონიშვილი**



ტაირონ ელისი

ქართველი NBA-ში

# ზაზა ზაზას დაემსგავსა

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსმა" სტუმრად „სიეტლი" 99:90 დაამარცხა.

„სასიხარულოა, რომ ვეტერანი ზაზა ფაჩულია „სიეტლ სუპერსონიქსთან" მატჩში თავის თავს ჰგავდა. მან მოედანზე 16 წუთი გაატარა და ატლანტელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო იყო - 6-6 ქულა-მოხსნა და 1 პასი მიითვალა. სროლის სიზუსტეც ძველებური ჰქონდა - 4 ორქულიანიდან მხოლოდ ერთი აცილა. ფაჩულიას ტრავმებისა და მწვრთნელის მოსაზრებების გამო სეზონის პირველ ნაწილში თავის გამოჩენის საშუალება ნაკლებად ეძლეოდა. ხოლო წინა მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა - „პორტლენდთან" შეხვედრისას ზაზამ მწვრთნელის მაიკ ვუდსონის მისამართით უკმაყოფილება ხელების გაშლით გამოხატა და „ატლანტას" ხელმძღვანელობამ ამიტომაც დასაჯა," - ასე დაახასიათა ზაზა „სიეტლთან" მატჩისას გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენის" კორესპონდენტმა **სეკუ სმიტმა**. ჩვენი მხრივ უფლება არ გვაქვს არ დავეთანხმოთ, ერთი საკითხის გარდა - ფაჩულია ვეტერანი არ არის. 24 წლის ვეტერანი სადმე გინახავთ?

ახლა ორიოდე სიტყვა უშუალოდ მატჩსაც შევაწიოთ. „სიეტლი" დაიბომბა - ესეც ორი სიტყვა. „ატლანტას" კალათბურთელებმა მეტოქე მისსავე მოედანზე ფაქტობრივად პირველ ტაიმშივე დაამარცხეს - ჯორჯიელები დიდ შესვენებაზე 21-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ (52:31). მეორე ტაიმში მასპინძლებმა სხვაობის მხოლოდ 9 ქულამდე შემცირება მოახერხეს და 90:99 დამარცხდნენ.

ამ შემთხვევაში „ჰოქსის" სნაიპერობა ფორვარდმა **მერვინ უილიამსმა** იკისრა - 33 ქულა ჩააგდო, გუნდის ბომბარდირი **ჯო ჯონსონი** 13 ქულას დასჯერდა. ზაზას უშუალო კონკურენტმა **ელ ჰორფორდმა** 38 წუთში 10 ქულა და 16 მოხსნა ჩაიწერა.

„ატლანტა ჰოქსი" სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში მესამე ადგილზეა (17 მოგება, 21 წაგება), „ორლანდოსა" (27 მოგება, 18 წაგება) და „ვაშინგტონს" (23 მოგება, 18 წაგება) ჩამორჩება. აღმოსავლეთის კონფერენციაში კი „ჰოქსი" მეშვიდეა. ფლეი ოფში თითო კონფერენციიდან 8 საუკეთესო გუნდი გავა.

ვახტანგ **ტყეშელაშვილი**

## თარიღი

**აფი გიგანი:** დაიბადა 27.01.1956, მულახი, მესტია. ალპინიზმი, მეკლდეურობა. ორგზის "თოვლის ჯიქი". შესრულებული აქვს უროულესი კატეგორიის სასიმაღლო, სასიმაღლო-ტექნიკური, ტექნიკური და თოვლ-ყინულოვანი ასვლები კავკასიონზე, პამირში, ტიან-შანზე, ჰიმალაებში. მათ შორის: დჰაულაგირზე (1995, პირველგავლა), ევერესტზე (1999), მთავარ ლჰოცზეზე (2000) ხან-თენგრიზე (6 ასვლა), პობედაზე (3 ასვლა), ლენინის (3 ასვლა), კომუნიზმისა (2 ასვლა) და კორჟენევსკაიას (2 ასვლა) პიკებზე, ზამთრის ასვლები უშბასა და ჩათინზე. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი

**ვახტანგ ნაცვლიშვილი.** დაიბადა 27.01.1976, თბილისი. კალათბურთი (204 სმ). თამაშობდა "მართვესა" (1990-93) და "კაქტუსში" (1993-95), ბოსტონის კოლეჯში (აშშ 1995-96), თბილისის "ვითაში" (1996-97), "ვარანში" (ბულგარეთი 1997-98), "კარშიაკაში" (თურქეთი, 1998), "ლოს ბარიოსში" (ესპანეთი, 1999), "ჰერცლიაში" (ისრაელი, 1999-2000), ბათუმის "ბასკოში" (2000-01), "ოლივეირენშესა" (პორტუგალია, 2001-03) და "დიჟონში" (საფრანგეთი, 2003-დან). საქართველოს ნარკების წევრია მისი ჩამოყალიბების დღიდან (1994). ფიბა-ევროპის თასის გათამაშების მეორე პრიზიორი (2004), საქართველოს სამგზის ჩემპიონი (1996, 97, 2001), ბულგარეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი (1998), პორტუგალიის ჩემპიონატის ორგზის მეორე პრიზიორი (2002, 03), პორტუგალიის თასის ორგზის (2002, 03) და სუპერთასის (2003) მფლობელი, საფრანგეთის ლიგის თასის მფლობელი (2004). ბულგარეთისა (1998) და პორტუგალიის (2002) ჩემპიონატების საუკეთესო კალათბურთელი, საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ლეგიონერთა ხუთეულის წევრი (2004).

**ლევ ძაკონსკი.** დაიბადა 27.01.1907, ყარსი (თურქეთი) - 14.03.1981, თბილისი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. სსრკ ორგზის ჩემპიონი (1935, 36) და ორგზის მესამე პრიზიორი (1937, 47). სსრკ ნარკების შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა პირველ უცხოურ ტურნეში (თურქეთი, 1935). სსრკ პირველი ჩემპიონი ჭიდაობაში საქართველოდან. სსრკ ჩემპიონატების მეორე (1948) და მესამე (1947) პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან გივი კარტოზია და ომარ ეგაძე.

**ხვიჩა ბირინაშვილი.** დაიბადა 28.01.1974, სართიჭალა, გარდაბანი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (74 და 76 კგ). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1998), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1998), ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი (1993). ფინეთის, ირანის, უზბეკეთის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში (2000) იასპარეზა აზერბაიჯანის სახელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრალიის ღია პირველობა

# ხუთი ახალი ჩემპიონი

ავსტრალიის ღია პირველობას ხუთი ახალი ჩემპიონი ჰყავს – ოთხივე ტიტულს ახალი პატრონი გამოუჩნდა. კაცებში ჩემპიონის თასს სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დაეპატრონა, ვისთვისაც ეს კარიერაში მოპოვებული პირველი სასლემო ტიტულია. ქალებში საუკეთესო რუსი **მარია შარაპოვა** იყო, ვინც კარიერაში მესამედ გახდა დიდი სლემის ტურნირის ჩემპიონი. წყვილებში ისრაელისა და უკრაინის დუეტებმა გაიმარჯვეს და პირველად გახდნენ სასლემო ტიტულის მფლობელები. თანაც, თავიანთ ქვეყნებს ეს ტიტულები პირველად მოუპოვეს. ახალი ჩემპიონი დუეტი გამოჩნდა შერეულ წყვილთა ტურნირზეც.

## შარაპოვას მესამე სასლემო ტიტული

ხშირი ტრავმების გამო, შარაპოვამ შარშანდელ სეზონში თავი ვერაფრით გამოიჩინა. მაგრამ ახალი სეზონი ჩემპიონისთვის შესაფერისად დაიწყო და პირველი სასლემო ტურნირი ტრიუმფითაც დაასრულა. ფინალში მან ორი სეტი იმყოფინა სერბი **ანა ივანოვიჩის** დასამარცხებლად. რუსმა ტურნირი ისე მოიგო, შვიდ შეხვედრაში ერთი სეტიც არ წაუგია.

*"მე თქვენ ყველანი ძალიან მიყვარხართ, დიდი მადლობა ყველაფრისთვის. დღეს დილით* ***ბილი ჯინ კინგისგან*** *წერილი მივიღე, რომელშიც ის მწერს, რომ ჩემპიონები თავიანთ შანსებს იყენებენ და ფსიქოლოგიური ზეწოლა მათთვის პრივილეგიაა. ბედნიერი ვარ, რომ დღეს მე ჩემი შანსები გამოვიყენე"*, - განაცხადა უიმბლდონისა და აშშ-ის ღიას ყოფილმა ჩემპიონმა, ვისთვისაც ეს ავსტრალიის ღიაზე ნათამაშები ზედიზედ მეორე ფინალური შეხვედრა იყო (შარშან ამერიკელ **სერენა უილიამსთან** დამარცხდა).

შარაპოვას თანატოლ ივანოვიჩისთვის ეს დიდი სლემის ტურნირის მეორე ფინალი იყო და მეორედაც მან კორტი ნაგებულმა, თანაც, ამჯერად თვალცრემლიანმა დატოვა. *"წაგება ყოველთვის მტკივნეულია, მაგრამ ვეცდები, ეს წაგება გაკვეთილად გამოვიყენო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საფრანგეთის ღიას შარშანდელი ფინალისგან განსხვავებით, ახლა უფრო თავდაჯერებული ვიყავი. რა თქმა უნდა განბილებული ვარ, მაგრამ მწამს, კიდევ არაერთ სასლემო ფინალს ვითამაშებ და მიზანსაც მივაღწევ"*, - განაცხადა ივანოვიჩმა.

ფინალური შეხვედრის დასაწყისში ორივე ჩოგბურთელი ნერვიულობდა. შარაპოვა თავის მოწოდებაზე იოლად ახერხებდა ქულების დაგროვებას, ივანოვიჩს კი თავისაზე, ყოველი ქულისთვის ბრძოლა უწევდა. შედეგად, მეხუთე გეიმში რუსმა შეძლო მეტოქის მოწოდების ალება და 3:2 დაწინაურდა. ბრეიკის მომტანი დარტყმა რომ შეასრულა, შარაპოვამ ისეთი დაიკივლა, ტრიბუნის წინა რიგში მჯდარმა ბავშვმა ტირილი დაიწყო.

მერვე გეიმში რუსმა თავის სერვისზე პირველი ქულა დათმო, რამაც მასზე უარყოფითად იმოქმედა. ამის შემდეგ, მან ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და სერბს საპასუხო ბრეიკის ალების საშუალება მისცა – 4:4. მაგრამ ორი გეიმის შემდეგ, შარაპოვამ კიდევ ერთი ბრეიკი აილო, შემდეგ თავისი სერვისგეიმიც მოიგო და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მიუხედავად იმისა, რომ ივანოვიჩს ტრიბუნიდან გასამხნევებელი შეძახილები არ აკლდა, შარაპოვამ მეშვიდე გეიმში მაინც აილო ჯერ მისი გეიმი, შემდეგ თავისი და 5:3 დაწინაურდა. მეცხრე გეიმში სერბის მოწოდების ჯერი იყო. მაგრამ ნერვებს აყოლილმა, მან პირველი სამი გათამაშება დათმო და 0:40 ჩამორჩა. ივანოვიჩმა სამიდან პირველი ორი მატჩ პოინტის მოგერიება კი შეძლო, მაგრამ მესამეზე გატყდა – ფორჰენდი უზუსტოდ შეასრულა და თამაშიც წააგო.

## ჯოკოს პირველი სლემ-ტიტული

თუ შარაპოვამ კარიერაში მესამე ტიტული დაისაკუთრა, კაცებში ტიტულისთვის ის ჩოგბურთელები იბრძოდნენ, რომლებსაც აქამდე არასოდეს მოეგოთ დიდი სლემის ტურნირი. და თუ ნოვაკ ჯოკოვიჩისან ფინალში გასვლა და თუნდაც, მსოფლიოს პირველი ჩოგნის, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** დამარცხება ბევრს არავის გაჰკვირვებია (ბოლოსდაბოლოს, ის ხომ მსოფლიოს მესამე ჩოგანია), ფინალში ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგას** გასვლა უკვე სენსაცია იყო.

და როცა მან ფინალური შეხვედრა ისევე შემართებით დაიწყო, როგორც ნახევარფინალში, ესპანელ **რაფაელ ნადალთან** ითამაშა, ბევრმა იფიქრა, რომ მუქკანიანი მეჩოგნე კიდევ უფრო დიდ სენსაციას გვიმზადებდა. მაგრამ ჯოკოვიჩმა ამის საშუალება არ მისცა.

*"ბედნიერი ვარ, რომ ჩემი პირველი სასლემო ტიტული აქ მოვიპოვე. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ სერბ ქომაგს, რომლებიც ჩემს გასამხნევებლად აქ ჩამოვიდნენ. ვამაყობ იმით, რომ პირველი სერბი ჩოგბურთელი ვარ, ვინც დიდი სლემის ტურნირის მოგება შეძლო. ვფიქრობ, შინ დაბრუნებულს ემოციურ დახვედრას მომიწყობენ"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

მის თანამემამულეთაგან პირველმა დიდი სლემის ტურნირი **მონიკა სელეშმა** მოიგო, ვინც 1991-1993 წლებში ავსტრალიის ღიას ჩემპიონი სამჯერ გახდა, ოღონდ ის იუგოსლავიის დროშით ასპარეზობდა, რის შემდეგაც ჯერ ხორვატიის, შემდეგ კი აშშ-ის მოქალაქე გახდა.

ისე, არანაკლებ საპატიო მისია ცონგასაც ეკისრა – ფრანგ მეჩოგნეებს ხომ ავსტრალიის ღია პირველობა 80 წელი არ მოუგიათ. პირველ სეტში ის შეუდარებელი იყო. ერთ გეიმში სამი ეისიც კი მოაწოდა. ფრანგი იშვიათად უშვებდა შეცდომებს და დროს მუდმივად შეტევაში ატარებდა. სეტის მიწურულს, ჯოკოვიჩს ეტყობოდა, რომ დაბნეული იყო. მაგრამ მისმა მტკიცე ხასიათმა დაბნეულობას აჯობა და ეს აშკარა მეორე სეტის დასაწყისშივე გახდა.

მართალია, სერბს პირველი მოწოდება ხშირად არ გამოსდიოდა, მაგრამ მეორე სეტში ფრანგმა შეცდომებს უხშირა, რამაც ჯოკოვიჩს თამაშის შემობრუნების შანსი გაუჩინა. მანაც ამით შესანიშნავად ისარგებლა. მეშვიდე გეიმში მან ბრეიკის ალება შეძლო. სეტებში ანგარიში სერბის მიერ მოწოდებული ეისის შემდეგ გათანაბრდა. მანვე, მომდევნო სეტის მეორე გეიმშივე კიდევ ერთი ბრეიკი აილო. ანგარიში 5:3 იყო, როცა ჯოკოვიჩმა ფრანგის მოწოდებაზე სეტ პოინტი მიიღო. მართალია, ცონგამ ექვსი სეტ პოინტის მოგერიება შეძლო, მაგრამ მეშვიდეს ვერაფერი მოუხერხა.

მეოთხე სეტში ჯოკოვიჩი ისევ აგრესორი იყო, ცონგა კი ამაოდ ცდილობდა თამაშის შემობრუნებას და მუდმივად თავის მოწოდებაზე ქულების შესანარჩუნებლად იბრძოდა. მაგრამ მეოთხე გეიმში სერბს თავად მოუხდა საკუთარ სერვის გეიმზე ქულისთვის ბრძოლა. შემდეგ მან სამედიცინო პაუზა აილო, რომლის დროსაც, მასაჟისტმა მარცხენა ბარძაყის კუნთი დაუმუშავა.

მეათე გეიმში ცონგას კიდევ ერთი შანსი მიეცა, მაგრამ მორიგი ბრეიკ პოინტი ვერ გამოიყენა. ამ სეტმა ბრეიკების გარეშე ჩაიარა და ტაიბრეიკამდე მიაღწია. აქ კი ფრანგი ფსიქოლოგიურად გატეხილი გამოიყურებოდა. მან რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, რამაც სერბს დაწინაურების საშუალება მისცა. რა თქმა უნდა, ამ შანსის ხელიდან გამშვები ის არ იყო და ასეც მოხდა.

ჯოკოვიჩმა პირველი მინიბრეიკი მეორე ქულის გათამაშებაზე აილო, მეორედ კი მეტოქის სერვისზე ქულას მას შემდეგ დაეუფლა, რაც ცონგამ მეექვსე ქულის გათამაშებაზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. მერვე და მეცხრე გათამაშებაზე სერბი აწოდებდა, რომელმაც პირველივე მატჩ პოინტი გამარჯვების ქულად აქცია, შემდეგ ზურგზე დაეცა, გადმობრუნდა და იმ კორტს ემბორა, რომელზეც თავის კარიერაში ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა.

■ ■ ■

კაცთა წყვილების ტურნირი ისრაელის ჩოგბურთელების, **ჯონათან ერლიხისა და ენდი რამის** დუეტის ტრიუმფით დასრულდა. მათ ფინალში ფრანგების, **არნო კლემანისა და მიშელ ლოდრას** დუეტი დაამარცხეს და პირველად მოიპოვეს დიდი სლემის ტურნირის ტიტული. ამასთან, ეს პირველი წყვილია ისრაელიდან, რომელმაც დიდი სლემის ტურნირის მოგება შეძლო.

ფინალური შეხვედრა პირველ სეტში, ძლიერი წვიმის გამო, იმ დროს შეწყდა, როცა ისრაელის დუეტი 4:2-ს იგებდა. პაუზის დროს, სანამ **როდ ლეივერის** სახელობის კორტი გადაიხურებოდა, კორტის მომსახურე პერსონალმა წვიმით წარმოქმნილი გუბეები პირსახოცებით დააშრო. თამაში ნახევარი საათის შემდეგ განახლდა და უიმბლდონის ჩემპიონმა ფრანგებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. თუმცა, ისრაელის წყვილმა მაინც შეძლო პირველი სეტის ბრეიკით მოგება. ერლიხს და რამს მერვე გეიმში გადამწყვეტი ბრეიკის მოპოვების შანსი გაუჩნდათ, როცა ორი ბრეიკ პოინტი მიიღეს, მაგრამ მათი გამოყენება ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, ორი გეიმის შემდეგ ფრანგებმა აილეს მათი მოწოდება და ახლა მათ გაუჩნდათ სეტის მოგების შანსი, მაგრამ ისრაელის დუეტმა საპასუხო ბრეიკით, საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, სადაც თავად მიაღწია გამარჯვებას.

■ ■ ■

ქალთა წყვილებში კი უკრაინელი დების, **ალონა და კატერინა ბონდარენკოს** დუეტმა სამ სეტში დაამარცხა ისრაელის **შაჰარ პეერისა** და ბელარუსი **ვიკტორია აზარენკას** წყვილი. არადა, პირველი სეტი უკრაინელებმა თითქმის უბრძოლველად დათმეს.

ბონდარენკოებმა ვტა-ს ტურზე წყვილების 38-ე ტურნირზე მიიღეს მონაწილეობა და წარმატებას პირველად მიაღწიეს. მათი წინა საუკეთესო შედეგი სხვადასხვა ტურნირების ნახევარფინალში თამაში იყო. უკრაინელებს თამაშის მოგება მესამე სეტის მერვე გეიმში შეეძლოთ, როცა მატჩზე აწოდებდნენ, მაგრამ მეტოქეებმა ერთი ბრეიკი გაუქვითეს. თუმცა, ორი გეიმის შემდეგ, ბონდარენკოებმა თავისი შანსი კარგად გამოიყენეს.

■ ■ ■

შერეულ წყვილებში კი ჩემპიონის ტიტულს ჩინელი **სუნ ტიანტიანისა** და სერბი **ნენად ზიმონიჩის** წყვილი დაეუფლა, რომელმაც ფინალში ინდოელების, **სანია მირზასა** და **მაჰეშ ბჰუპატის** დუეტი დაამარცხა. სუნისა და ზიმონიჩის დუეტისთვის ეს პირველი ტიტულია, თუმცა სერბ მეჩოგნეს პირველად ავსტრალიის ღია შერეულ წყვილებში 2004 წელს აქვს მოგებული, 2006 წელს კი ჩეხ **კატარინა სრებოტნიკთან** ერთად, საფრანგეთის ღიას წყვილთა ბადეშიც გაიმარჯვა.

სუნისა და ზიმონიჩის დუეტი თავიდან 3:1 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ინდოელებმა ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგეს და თითქოს, სეტიც მათ სასარგებლოდ უნდა ასრულებულიყო. მაგრამ მირზას (ამ ჩოგბურთელმა ტრავმირებული ფეხით ითამაშა) მოწოდებაზე, მომწოდებლების მიერ დაშვებული შეცდომის წყალობით, ჩინელმა და სერბმა ანგარიშის გათანაბრება და სეტის ტაიბრეიკზე გადატანა მოახერხეს.

აქ თავიდან მირზა და ბჰუპატი 3:0 დაწინაურდნენ, მაგრამ ამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს. სუნმა და ზიმონიჩმა მომდევნო რვა გათამაშებიდან შვიდი მოიგეს და სეტიც თავიან სასარგებლოდ დაასრულეს.

მეორე სეტი სუნმა და ზიმონიჩმა ბრეიკით დაიწყეს. მათვე მეშვიდე გეიმში კიდევ ერთხელ ჰქონდათ ბრეიკის შანსი, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, არც მეტოქეს მისცეს თავიანთი მოწოდების მოგების საშუალება და შეხვედრაც მათი გამარჯვებით დასრულდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



**კაცები. ფინალი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)-ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრ) 4:6, 6:4, 6:3, 7:6(2)

**კაცების წყვილები. ფინალი**

ჯონათან ერლიხი/ენდი რემი (ისრაელი, 8)-არნო კლემანი/მიშელ ლოდრა (საფრანგეთი, 7) 7:5, 7:6(4)

**ქალები. ფინალი**

მარია შარაპოვა (რუს, 5)-ანა ივანოვიჩი (სერბ, 4) 7:5, 6:3

**ქალების წყვილები. ფინალი**

ალონა ბონდარენკო/კატერინა ბონდარენკო (უკრაინა)-ვიქტორია აზარენკა/შაჰარ პეერი (ბელარუსი/ისრაელი, 12) 2:6, 6:1, 6:4

**შერეული წყვილები**

სუნ ტიანტიანი/ნენად ზიმონიჩი (ჩინეთი/სერბეთი, 5)-სანია მირზა/მაჰეშ ბჰუპატი (ინდოეთი) 7:6(4), 6:4

# კალათბურთი

## რეგულარული

### 25 იანვარი

**სიეტლი-ატლანტა 90:99**

14:23, 17:29, 28:26, 31:21

სიეტლი: უილკოქსი (18 ქ. 7 მ. 2 დ), დიურანტი (17 ქ. 2 ჩ), უილკინსი (14 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), კოლისონი (12 ქ. 5 მ. 2 დ).

ატლანტა: მერვინ უილიამსი (33 ქ. 7 მ), ჯოშ სმიტი (14 ქ. 5 მ. 5 დ), ჯო ჯონსონი (13 ქ. 7 პ. 6 მ), ჩილდრესი (13 ქ. 6 მ), ჰორფორდი (10 ქ. 16 მ. 2 პ), ზაზა ფაჩულია (6 ქ. 6 მ. 1 პ).

**დეტროიტი-ორლანდო 101:93**

39:18, 29:31, 19:25, 14:19

დეტროიტი: რ. ჰამილტონი (32 ქ. 8 მ. 8 პ. 2 ჩ), ბილაპსი (21 ქ. 6 პ. 3 მ), რ. უოლასი (15 ქ. 4 მ. 2 დ), მაკდაისი (10 ქ. 13 მ), პრინსი (8 ქ. 8 პ. 6 მ).

ორლანდო: თურქოღლუ (23 ქ. 4 მ. 3 პ), დ. ჰოვარდი (22 ქ. 14 მ. 2 პ. 2 დ), აროიო (16 ქ. 6 პ), რ. ლუისი (13 ქ. 2 ჩ. 2 დ), ბოგანსი (10 ქ. 6 მ).

**დალასი-ლეიკერსი 112:105**

28:31, 28:24, 35:19, 21:31

დალასი: ნოვიცკი (26 ქ. 10 მ. 3 პ), ჯოშ ჰოვარდი (26 ქ. 10 მ), დ. ჰარისი (18 ქ. 4 პ), ტერი (15 ქ), ბასი (10 ქ. 5 მ).

ლეიკერსი: ბრაიანტი (40 ქ. 10 მ. 5 პ), ფარმარი (18 ქ. 5 პ. 4 მ), ფიშერი (11 ქ), კ. ბრაუნი (10 ქ. 5 მ).

**იუტა-საკრამენტო 127:113**

26:23, 32:29, 37:35, 32:26

იუტა: ბუზერი (33 ქ. 10 მ), კირილენკო (25 ქ. 6 მ. 6 პ. 4 დ), დ. უილიამსი (16 ქ. 14 პ), კორვერი (15 ქ), ოკური (12 ქ. 8 მ. 3 პ. 2 ჩ).

საკრამენტო: კევინ მარტინი (32 ქ. 7 მ. 4 პ), ბ. მილერი (16 ქ. 6 მ), არტესტი (15 ქ. 8 მ. 3 პ), სალმონსი (13 ქ), გარსია (13 ქ), ბიბი (11 ქ. 6 მ. 4 პ).

**დენვერი-ნიუ ჯერსი 100:85**

19:11, 28:20, 26:36, 27:18

დენვერი: აივერსონი (30 ქ. 5 პ. 3 ჩ), კლეიზა (23 ქ. 11 მ. 2 პ. 2 ჩ), კენიონ მარტინი (20 ქ. 7 მ. 2 დ), ნახერა (12 ქ. 9 მ. 5 ჩ), კემბი (6 ქ. 14 მ. 4 დ. 2 ჩ).

ნიუ ჯერსი: რ. ჯეფერსონი (19 ქ. 5 მ), ბუნი (13 ქ. 14 მ), კიდი (13 ქ. 11 მ. 10 პ. 2 ჩ. 2 დ), ვ. კარტერი (13 ქ. 7 მ. 7 პ. 2 ჩ), ა. რაიტი (13 ქ. 5 მ).

**პორტლენდი-ჰიუსტონი 79:89**

23:16, 27:26, 12:20, 17:27

პორტლენდი: როი (23 ქ. 2 ჩ), ოლდრიჯი (14 ქ. 6 მ), ტ. აუთლო (13 ქ. 2 ჩ).

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (15 ქ. 5 პ. 4 მ), ლანდრი (12 ქ. 8 მ), მინი (11 ქ. 10 მ. 2 დ), სკოლა (11 ქ. 12 მ. 3 ჩ).

**ჩიკაგო-შარლოტი 77:90**

14:20, 20:25, 25:21, 18:24

ჩიკაგო: ნოჩიონი (25 ქ. 5 მ), ჰაინრიხი (14 ქ. 8 პ. 4 მ. 3 ჩ), სეფოლოშა (13 ქ. 10 მ), ბ. უოლასი (6 ქ. 9 მ. 3 დ. 2 ჩ).

შარლოტი: ოკაფორი (21 ქ. 16 მ. 4 დ. 3 პ), ჯ. უოლასი (21 ქ. 5 მ. 5 პ. 4 ჩ), კეროლი (12 ქ), მოჰამედი (11 ქ. 8 მ), ჯ. რიჩარდსონი (11 ქ. 4 მ. 4 პ).

**ნიუ იორკი-ფილადელფია 89:81**

28:23, 22:23, 22:20, 17:15

ნიუ იორკი: ჯ. კროუფორდი (18 ქ. 5 პ. 2 ჩ), ზ. რენდოლფი (16 ქ. 15 მ. 3 პ), ლი (14 ქ. 6 მ. 3 პ), ნ. რობინსონი (13 ქ. 5 პ), კარი (11 ქ. 5 მ).

ფილადელფია: იგუოდალა (24 ქ. 6 მ. 3 პ. 3 ჩ), უ. გრინი (13 ქ), დალემბერი (12 ქ. 5 მ. 2 დ), ა. მილერი (10 ქ. 6 პ. 4 მ).

**ნიუ ორლეანი-კლიპერსი 111:92**

28:22, 22:15, 31:26, 30:29

ნიუ ორლეანი: სტოიაკოვიჩი (26 ქ. 3 მ), დევიდ უესტი (14 ქ. 11 მ. 3 პ. 2 ჩ), პარგო (14 ქ. 2 ჩ), რ. ბატლერი (12 ქ. 5 მ. 3 დ), ჩენდლერი (11 ქ. 13 მ. 2 ჩ), პიტერსონი (11 ქ. 4 პ), პოლი (8 ქ. 14 პ. 5 მ. 2 ჩ).

კლიპერსი: მაგეტი (24 ქ. 5 მ. 3 პ), მობლი (20 ქ. 6 მ), კასელი (16 ქ. 5 პ. 4 მ), ტიმ ტომასი (10 ქ. 6 მ. 3 პ), კამანი (9 ქ. 14 მ).

**ბოსტონი-მინესოტა 87:86**

29:30, 21:17, 17:21, 20:18

ბოსტონი: პერკინსი (21 ქ. 4 მ. 3 დ), პირსი (19 ქ. 9 მ. 8 პ), რ. ალენი (12 ქ. 4 მ), გარნეტი (10 ქ. 16 მ. 2 პ).

მინესოტა: ტელფეირი (18 ქ. 6 პ. 3 ჩ), ე. ჯეფერსონი (15 ქ. 5 მ. 2 პ. 2 ჩ. 2 დ), გომესი (13 ქ), მაკკენტსი (12 ქ. 7 მ. 7 პ).

**ტორონტო-მილუოკი 106:75**

23:20, 24:22, 32:11, 27:22

ტორონტო: ბოში (32 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ), დელფინო (18 ქ. 4 მ), ბარნიანი (13 ქ. 7 მ), ე. პარკერი (13 ქ. 3 პ. 2 ჩ), კალდერონი (11 ქ. 12 პ. 2 ჩ).

მილუოკი: რედი (12 ქ. 2 ჩ), ვილიანუევა (12 ქ. 7 მ), აივი (10 ქ), სიმონსი (7 ქ. 10 მ).

**კლივლენდი-ფინიქსი 110:108**

34:29, 35:27, 21:31, 18:23

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (36 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ), ჰიუზი (25 ქ. 8 მ. 3 ჩ), ილგაუსკასი (21 ქ. 10 მ. 3 ჩ).

ფინიქსი: რ. ბელი (27 ქ. 4 მ. 4 პ), ნეში (26 ქ. 9 პ. 4 მ), ა. სტაუდემაიერი (22 ქ. 6 მ. 3 დ), ბარბოსა (14 ქ. 3 მ. 3 პ), დიაო (11 ქ. 9 პ. 4 მ. 2 ჩ. 2 დ).

**ვაშინგტონი-მემფისი 104:93**

30:9, 29:29, 25:33, 20:22

ვაშინგტონი: ჯეიმისონი (24 ქ. 12 მ. 5 პ), კ. ბატლერი (19 ქ. 7 მ. 7 პ. 3 ჩ. 2 დ), ჰეივუდი (15 ქ. 9 მ), სტივენსონი (13 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), ა. დენიელსი (13 ქ. 3 პ. 2 ჩ).

მემფისი: მ. მილერი (21 ქ. 9 მ), გეი (14 ქ. 6 მ. 2 ჩ), ნავარო (14 ქ), ლოური (13 ქ. 10 პ. 5 ჩ. 4 მ), უორიკი (11 ქ. 6 მ. 2 ჩ), მილიჩიჩი (6 ქ).

### 26 იანვარი

**მაიამი-ინდიანა 98:96**

23:28, 25:29, 29:20, 21:19

მაიამი: უეიდი (35 ქ. 8 მ. 4 პ), ბრაუნტი (19 ქ, დ. რაიტი (14 ქ. 10 მ. 2 დ), ჰასლემი (12 ქ. 9 მ), ბარონი (10 ), ჯ. უილიამსი (4 ქ. 8 პ. 6 ჩ).

ინდიანა: დანლივი (25 მ. 6 მ. 3 პ), გრეინჯერი (13 ქ. 5 მ), იუენსი (13 ქ. 5 პ), რაში (12 ქ. 6 მ. 2 ჩ), ტ. მერფი (9 ქ. 10 მ).

**შარლოტი-ფილადელფია 96:103**

27:20, 28:27, 16:33, 25:23

შარლოტი: ჯ. რიჩარდსონი (35 ქ. 6 მ. 2 ჩ), ჯ. უოლასი (20 ქ. 10 პ), ოკაფორი (17 ქ. 16 მ), მოჰამედი (10 ქ. 7 მ. 4 დ).

ფილადელფია: იგუოდალა (33 ქ. 6 მ. 5 პ. 2 დ), ა. მილერი (23 ქ. 9 პ), ლ. უილიამსი (12 ქ), დალემბერი (7 ქ. 14 მ. 2 ჩ. 3 დ), რ. ევანსი (2 ქ. 9 მ. 2 ჩ).

**მემფისი-კლიპერსი 125:120 (ო)**

36:28, 25:31, 29:23, 18:26, 17:12

მემფისი: გეი (34 ქ. 12 მ), მ. მილერი (27 ქ. 5 პ. 2 ჩ), ლოური (21 ქ. 8 მ. 4 პ), ნავარო (18 ქ), უორიკი (17 ქ), მილიჩიჩი (8 ქ. 7 მ. 2 დ).

კლიპერსი: მაგეტი (5 ქ. 9 მ. 2 ჩ), კასელი (25 ქ. 6 მ), ტ. ტომასი (23 ქ. 8 მ. 2 დ), მობლი (15 ქ. 6 პ), ნაითი (4 ქ. 5 პ. 3 ჩ).

**სან ანტონიო-ნიუ ორლეანი 78:012**

27:28, 16:14, 21:30, 14:30

სან ანტონიო: პარკერი (17 ქ. 6 პ), დანკანი (17 ქ. 8 მ), უდოკა (13 ქ. 7 მ), ჯინობილი (11 ქ), ობერტო (10 ქ).

ნიუ ორლეანი: უესტი (32 ქ. 7 მ), სტოიაკოვიჩი (22 ქ), პოლი (17 ქ. 11 პ), ჩენდლერი (8 ქ. 12 მ).

## შაკი წასვლას არ აპირებს

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "მაიამი ჰიტის" ვეტერანმა ცენტრმა შაკილ ო'ნილმა მორიგი ტრავმა მიიღო და ამის გამო, კიდევ ორი კვირით ჩამოშორდა რეგულარულ ჩემპიონატს. სწორედ ამის შემდეგ გავრცელდა ჭორები იმის შესახებ, რომ შაკმა შეიძლება ნაადრევად დაასრულოს კარიერა.

გუშინ კალათბურთელი ამ ჭორებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ თავისი კონტრაქტის (2009-10 წლების სეზონის ჩათვლით) ბოლომდე ითამაშებს. *"არასოდეს მითქვამს, თითქოს წელს კალათბურთისთვის თავის დანებებას ვაპირებდე. როცა მოქმედ კონტრაქტს ვადა გაუვა, სწორედ მაშინ მივიღებ გადაწყვეტილებას ჩემი მომავლის შესახებ"*, - ამბობს შაკი.

## გასოლმა ორი მატჩი გამოტოვა

რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი უკანასკნელ ტურში, "მემფის გრიზლისის" ესპანელმა ლეგიონერმა **პაუ გასოლმა** ზურგის ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ფორვარდს "ვაშინგტონთან" მატჩის გამოტოვება მოუხდა და ეს გახდა ამ სეზონში მეხუთე შეხვედრა, რომელშიც გასოლმა თამაში ვერ შეძლო. სხვათა შორის, პაო გუშინ, არც "კლიპერსის" წინააღმდეგ გასულა მოედანზე.

ჯერჯერობით უცნობია, როდის დაუბრუნდება მოედანს ესპანელი კალათბურთელი, რომელიც ამ სეზონში საშუალოდ 19.1 ქულასა და 8.9 მოხსნას აგროვებს.

## აიზიას ვაჟი ციხეში მოხვდა

"ნიუ იორკ ნიქსის" მთავარი მწვრთნელის, **აიზია ტომასის** 19 წლის ვაჟი, **ჯოშუა ტომასი** პოლიციამ დააკავა. ამის მიზეზი გახდა ის დებოში, რომელიც ამ ახალგაზრდამ ნიუ იორკის ერთ-ერთ ბარში მოაწყო.

პოლიცია ინციდენტით მაშინ დაინტერესდა, როცა უმცროსი ტომასი საავადმყოფოში დაზიანებული თვალის სამკურნალოდ მივიდა - მას ბოთლით ან მუშტით მიაყენეს ტრავმა. საბოლოოდ, ჯოშუა ციხეში გაისტუმრეს, საიდანაც 500 დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

აიზია ტომასს ამ სკანდალთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

## ბერი ერთ თვეს დაისვენებს

"სან ანტონიო სპურსს" დაახლოებით ერთი თვით გამოაკლდა მცველი **ბრენტ ბერი**. სამქულიანების ოსტატმა "მაიამი ჰიტთან" მატჩის დროს მიიღო ფეხის ტრავმა.

სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ ბერის ზუსტად ის კუნთი აქვს დაჭიმული, რომელიც 26 დეკემბერს, "ჩიკაგოსთან" მატჩში გაიწყვიტა.

## კალათბურთი ღია ცის ქვეშ

"ფინიქს სანზს" განზრახული აქვს გახდეს პირველი გუნდი NBA-ის ისტორიაში, რომელიც რეგულარული ჩემპიონატის მატჩს ღია ცის ქვეშ გამართავს. სავარაუდოდ, თამაში ინდიან უელსის (კალიფორნიის შტატი) ჩოგბურთო კლუბის მოედანზე გაიმართება, რომელიც 16 ათას მაყურებელს იტევს. ეს ინფორმაცია "ფინიქსის" პრეზიდენტმა **რიკ უელტსმა** დაადასტურა.

*"ეს უნიკალური ექსპერიმენტი იქნება. ჩვენ პირველები ვიქნებით, ვინც ამ ნაბიჯს გადადგამს. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი წარმატებით ჩაივლის"*, - ამბობს პრეზიდენტი.

## დონაგის სასამართლო გადაიდო

კიდევ ერთხელ გადაიდო NBA-ის მსაჯის, **ტიმ დონაჰის** სასამართლო პროცესი. ეს არბიტრი იმით არის ცნობილი, რომ მოთამაშეებთან გარიგებაში შედიოდა და ტოტალიზატორზე იმ მატჩებზე აკეთებდა ფსონებს, რომლებსაც თავად ემსახურებოდა.

სასამართლო სხდომა პარასკევს უნდა გამართულიყო, მაგრამ ფედერალურმა მოსამართლემ **კეროლ ემონმა** მოსმენა 18 აპრილისთვის გადადო.

## აიუსოს ციბონაში აღარ უნდა

"ციბონას" პუერტორიკოელ მცველ **ლარი აიუსოს** ხორვატულ გუნდში თამაში არ სურს და სავარაუდოდ, ის ძალიან მალე დატოვებს ზაგრებელთა რიგებს.

ხორვატულმა პრესამ ჯერ კიდევ გასულ კვირას დაწერა, რომ აიუსოს არ სურს "ციბონას" მაისურით თამაში. ეს ჭორი დადასტურდა. აიუსომ ყოველგვარი მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშე უარი თქვა ვარჯიშზე. როგორც ჩანს, ამით მას კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის პროვოცირება სურს, რათა ამას კონტრაქტის გაწყვეტა მოჰყვეს.

ევროლიგაში აიუსომ 13 მატჩი ჩაატარა. მისი სტატისტიკური მონაგარი 12.8 ქულას და 2.5 მოხსნას შეადგენს.

## ველიკოვიჩი მე-13 ტურის რჩეულია

ევროლიგის ბოლოსწინა, მე-13 ტურის საუკეთესო მოთამაშე სერბეთის "პარტიზანის" ფორვარდი **ნოვიცა ველიკოვიჩი** გახდა. პარასკევს, "პარტიზანმა" საკუთარ მოედანზე გერმანიის "ბამბერგი" გაანადგურა - 85:37, ხოლო 21 წლის თავდამსხმელმა 17 ქულა, 13 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. მეტოქე კალათბურთელები კი, ველიჩკოვიჩზე 4-ჯერ დაჯარიმდნენ.

სერბის გარდა, MVP-ს ტიტულზე პრეტენზიას **ლინ გრირი** ("ოლიმპიაკოსი"), **დანილო გალინარი** ("მილანი") და **დევიდ ჰოკინსი** ("რომა") აცხადებდნენ.

## ნილისყრა 4 თებერვალს დაინიშნა

ULEB-ის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ევროლიგის მეორე ეტაპის წილისყრა 4 თებერვალს, მადრიდში გაიმართება. პირველი ეტაპის 16 საუკეთესო გუნდი, სიძლიერის მიხედვით 4 კალათაში გადანაწილდება, რის შემდეგაც, ისინი ოთხ 4-გუნდიან ჯგუფებად დაიყოფიან.

TOP16-ის ტურები 13 თებერვლიდან 20 მარტამდე, ყოველი კვირის ოთხშაბათსა და ხუთშაბათს გაიმართება. ყოველი ჯგუფის პირველი ორი საუკეთესო გუნდი, მერვედფინალიდან გააგრძელებს ბრძოლას მთავარი პრიზისთვის.

ევროლიგის "ოთხთა ფინალი" მადრიდში, 2-4 მაისს გაიმართება. სხვათა შორის, იმავე ULEB-ის ცნობით, ფინალური ეტაპის მატჩებზე ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია.

## დომერკანტი ჯგუფურის MVP გახდა

ULEB თასის პირველი ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე კიდევ ერთი ტურია დარჩენილი, ULEB-ის თასზე გუნდებმა უკვე გაარკვიეს ურთიერთობა ჯგუფურ ტურნირში. 54 გუნდიდან ბრძოლას 32 საუკეთესო გააგრძელებს. ასპარეზობა ოლიმპიური სისტემით, 1/16 ფინალური ეტაპიდან განახლდება.

მანამდე კი, ULEB-ის თასის პირველი ეტაპის საუკეთესო კალათბურთელი გამოვლინდა. ჯგუფური ტურნირის MVP გახდა მოსკოვის "დინამოს" ამერიკელი ლეგიონერი **ჰენრი დომერკანტი**. ამ მცველმა ULEB-ის თასზე 9 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 22 ქულა, 2.2 მოხსნა, 2.8 პასი და 2.6 ჩაჭრა დააგროვა. ამ მაჩვენებლებით, დომერკანტის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 23 ბალი შეადგინა, რაც საუკეთესო შედეგი იყო ჯგუფურ ეტაპზე მონაწილე 725 კალათბურთელს შორის.

## ესტუდიანტესმა პოტაპენკო გააგდო

ესპანეთის "ესტუდიანტესმა" საკუთარი რიგებიდან დაითხოვა უკრაინელი ცენტრი **ვიტალი პოტაპენკო**. ამის მიზეზი გახდა კალათბურთელის მხრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევა. პოტაპენკომ წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოტოვა კლუბის ბოლო ოთხი ვარჯიში.

უკრაინელი კალათბურთელი მადრიდულ კლუბში გასული წლის ნოემბერში გადავიდა. ესპანეთის ჩემპიონატში პოტაპენკო საშუალოდ 5.3 ქულასა და 2.7 მოხსნას აგროვებდა.

# TV სპორტი

### 28 იანვარი. ორშაბათი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ბარსელონა.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ბლექბერნი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. სტ. ეტიენი-ლიონი.
19:10 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი.
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-პორტუ.
00:05 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-გრონინგენი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:15 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. 1/2 ფინალი. დინამო (კ)-ბაიერნი.
09:55 სპორტდოსიე.
10:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-სტ. ლუისი.
12:10 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. გიმარაეში-ბენფიკა.
13:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
14:24 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ბარსელონა.
16:07 ფეხბურთი. Barca TV.
16:14 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-პალერმო.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ინტერი.
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ატლეტიკო.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი.
02:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
02:30 სპორტდოსიე.
03:00 ჰოკეი. NHL. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
05:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ბარსელონა.
07:30 გოლფი. მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონტე კარლო.
12:00 ველოსკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
13:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. მამაკაცები. ფინალი. ჟან-ჟაკ ჯოკოვიჩი-ჯო ვილფრიდ ცონგა. მელბურნი.
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი.
15:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. სენეგალი-ანგოლა. განა.
16:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტუნისი-ს. აფრიკა. განა.
17:00 ბოულინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფინალი. ნორფოლკი. ბრიტანეთი.
19:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
20:00 მულტისპორტი.
20:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
00:00 ბოულინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფინალი. ნორფოლკი. ბრიტანეთი.
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
02:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:15 მულტისპორტი.
03:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტუნისი-ს. აფრიკა. განა.
14:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. იტალია.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. სენეგალი-ანგოლა. განა.
18:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგალარული ლიგა. კოლორადო-სან ხოსე.
19:00 ფეხბურთი. ამხანაგური ტურნირი. 1/2 ფინალი. ესპანეთი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
23:00 ფეხბურთი. ამხანაგური ტურნირი. 1/2 ფინალი. ესპანეთი (LIVE).
01:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგალარული ლიგა. კოლორადო-სან ხოსე.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ტრიკ-ტრაკი. მსოფლიო სერია. ბრიტანეთი.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| ჩიკაგო-ფინიქსი | 77:88 |
| ორლანდო-ბოსტონი | 96:93 |
| **საბერძნეთი** | |
| არისი-აეკ | 75:66 |
| პანიონიოსი-კოლოსოსი | 89:65 |
| აეკ-ეგალეო | 81:70 |
| აელ-ოლიმპია | 75:62 |
| პანელინიოსი-მარუსი | 73:75 |
| პაოკ-ოლიმპიაკოსი | 81:80 |
| რეთიმნო-პანათინაიკოსი | 74:89 |
| **ესპანეთი** | |
| გრანადა-ბილბაო | 97:81 |
| კახასოლი-მანრესა | 102:96 |
| მენორკა-ვალიადოლიდი | 101:93 |
| ბარსელონა-ხუვენტუდი | 85:74 |
| ვალენსია-ხირონა | 70:91 |
| ლეონი-გრან კანარია | 83:81 |
| მურსია-უნიკახა | 70:73 |
| რეალი-ესტუდიანტესი | 84:80 |
| ტაუგრესი-ფუენლაბრადა | 98:61 |
| **იტალია** | |
| რომა-ბიელა | 94:80 |
| სნაიდერო-აველინო | 67:89 |
| ვირტუსი-კანტუ | 75:69 |
| ბენეტონი-დორლანდო | 107:79 |
| მონტეპასკი-კლიმამიო | 75:72 |
| მონტეგრანარო-სკაფატი | 93:77 |
| ნაპოლი-ტერამო | 88:66 |
| რიეტი-ვარეზე | 83:82 (ო) |
| მილანი-სკავოლინი | 96:61 |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-შოლე | 81:53 |
| კლერმონი-ვიში | 51:83 |
| დიჟონი-ვილერბანი | 87:65 |
| გრაველინი-ჰავრი | 92:82 |
| პარიზი-ნანსი | 64:79 |
| პო ორტეზი-ორლეანეზი | 91:88 |
| სტრასბური-რუანი | 71:79 |

**ხელბურთი**

| ევროპის ჩემპიონატი | |
|---|---|
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| საფრანგეთი-გერმანია | 36:26 |
| **ფინალი** | |
| დანია-ხორვატია | 24:20 |

**ჰოკეი**

| რუსეთი | |
|---|---|
| ხიმიკი-აკ ბარსი | 2:2 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ფრანკფურტი | 4:4 |
| დუისბურგი-აუგსბურგი | 0:5 |
| დიუსელდორფი-იზერლონი | 4:3 |
| ინგოლშტადტი-მანჰაიმი | 0:6 |
| ნიურნბერგი-კრეფელდი | 3:1 |
| შტრაუბინგი-კიოლნი | 4:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-პოპრადი | 3:5 |
| მიკულაში-ზვოლენი | 3:0 |
| ნიტრა-კოშიცე | 2:4 |
| სლოვანი-კეჟმაროკი | 3:3 |
| **ფინეთი** | |
| ჰპკ-ტაპარა | 1:1 |
| იოკერიტი-ჰიფკ | 5:2 |
| კერპეტი-იუვიასკიულა | 4:1 |
| საიპა-კიეკო | 6:2 |
| ესპო-პელიკანსი | 3:5 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-პარდუბიცე | 5:2 |
| ტრშინეცი-ლიბერეცი | 4:1 |
| ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 6:0 |
| ზნოიმო-სლოვანი | 5:2 |
| კარლოვი ვარი-ქლინი | 2:5 |
| კლადნო-სპარტა | 2:2 |
| ლიტვინოვი-პლზენი | 2:2 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ლანგნაუ | 9:6 |
| ბერნი-რაპერსვილი | 5:1 |
| ფრიბურგი-ბაზელი | 3:8 |
| სერვეტი-ციურიხი | 4:4 |
| კლოტენი-ლუგანო | 3:2 |
| ბაზელი-კლოტენი | 1:6 |
| ლუგანო-ფრიბურგი | 4:1 |
| რაპერსვილი-დავოსი | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| ლულეა-ბრინესი | 2:2 |
| მოდო-სკელეფტეო | 1:4 |
| იურგორდენი-ლინჩოპინგი | 6:0 |
| ფროლუნდა-სიოდერტალე | 3:3 |
| მორა-ფერიესტადი | 1:4 |
| ჰვ 71-ტიმრე | 6:2 |

ჩოგბურთი

## ფედერერი ერთთვიან პაუზას იღებს

ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში წაგების შემდეგ, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** ერთთვიანი პაუზის აღება გადაწყვიტა. ის ATP-ის ტურში დაბრუნებას მარტის დასაწყისში, დუბაის ტურნირზე გეგმავს.

*"ყოველი დამარცხება უსიამოვნოა, მე ეს ძალიან მიშლის ხელს. თუმცა "დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში გასვლა - კარგი შედეგია. ამავდროულად, კარგა ხანია არა მქონია ისეთი გრძნობა, რომ არ შემიძლია მეტოქეს გავუმკლავდე"*, - განაცხადა ფედერერმა.

**ნოვაკ ჯოკოვიჩთან** რევანშის აღების საშუალება ფედერერს ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსებზე მიეცემა. ეს ტურნირები მარტის მეორე ნახევარში გაიმართება. როგორც ვთქვით, მანამდე შვეიცარიელი დუბაიში მოსინჯავს ძალებს.

როჯერი ავსტრალიის ღიას შემდეგ შეინარჩუნებს პირველ ადგილს რეიტინგში. უახლოეს მდევარ **რაფაელ ნადალთან** ქულათა სხვაობა 1000-ზე ნაკლები იქნება. ფედერერს ასეთი პატარა სხვაობა მეორე ჩოგანთან დიდი ხანია აღარ ჰქონია.

## დევისის თასი ნადალის გარეშე

8-10 თებერვალს, დევისის თასის თავისი პირველი ეტაპის მატჩები უნდა გაიმართოს. ერთ-ერთ მერვედფინალურ წყვილში, ესპანეთი პერუს სტუმრობს. პირენეელებს ოკეანის გაღმა შესუსტებული შემადგენლობით მოუწევთ გამგზავრება. საქმე ისაა, რომ **რაფაელ ნადალი** და **ხუან-კარლოს ფერერო** არ აპირებენ გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის პირველ წრეში თამაშს. ორივე მათგანს სურს, აქცენტი ჰარდის ტურნირებში გამოსვლაზე გადაიტანონ. ნადალისა და ფერეროს არყოფნაში, ესპანეთის ნაკრების ლიდერობა მსოფლიოს მეხუთე ჩოგანს, **დავიდ ფერერს** დაეკისრება.

პერუსთან მატჩი ლიმაში, თიხის საფარიან კორტზე გაიმართება. ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა **ემილიო სანჩეს ვიკარიომ**, ფერერის გარდა გუნდში შემდეგი ჩოგბურთელები მიიწვია - **ნიკოლა ალმაგრო, ტომი რობრედო** და **ფერნანდო ველასკო**.

## რუმინეთმა ოპტიმალური შემადგენლობა შეკრიბა

ესპანელებისგან განსხვავებით, დევისის თასის პირველ წრეში ოპტიმალური შემადგენლობა ეყოლება რუმინეთის ნაკრებს, რომელიც პირველ წრეში საფრანგეთის ნაკრებს ხვდება.

ნაკრების ღირსების დაცვის სურვილი გამოთქვეს **ანდრეი პაველმა** და **ვიქტორ ჰანესკუმ**, რომლებიც მსოფლიო რეიტინგში შესაბამისად 78-ე და 79-ე ადგილებს იკავებენ. მათ გარდა, რუმინელთა კაპიტანმა **ფლორინ სეგარცეანუმ** გუნდში მიიწვია **ფლორინ მერგა** და **ჰორია ტეკაუ**.

ფორმულა 1

## კიმი ორი წლის შემდეგ წავა?

"ფერარის" ფინელმა პილოტმა **კიმი რაიკონენმა** ინტერვიუ მისცა ესპანურ გაზეთ "მარკას", სადაც განაცხადა, რომ ორი წლის შემდეგ, როცა იტალიურ საჯინიბოსთან კონტრაქტს ვადა გაუვა, ის შესაძლოა სპორტიდან წავიდეს.

*"ფერარისთან" ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და არ ვაპირებ სხვა გუნდში გადასვლას. ეს კონტრაქტი უკანასკნელი იქნება ფორმულა 1-ში. ორი წლის შემდეგ 30 წლის ვიქნები და სწორედ მაშინ მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას - დავრჩე თუ არა ამ სერიაში. შესაძლოა, სხვა რბოლებში ძალების მოსინჯვა მომინდეს, მაგალითად რალიში. ჯერ ამაზე არ ვფიქრობ, მთლიანად მომავალ სეზონზე ვარ კონცენტრირებული"*, - განაცხადა მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა.

ჰოკეი

## სელიანე ამ კვირას ბრუნდება

საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა გუშინ ამერიკულ პრესაში. გამორიცხული არ არის, რომ უკვე ამ კვირას, "ოლ სტარის" უიქ ენდის შემდეგ, "ანაჰაიმ დაქსის" რიგებს დაუბრუნდეს ფინელი ვეტერანი **ტეემუ სელიანე**. "იხვების" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან ბურკმა** უკვე განაცხადა, რომ ფორვარდისთვის მის გუნდში ყოველთვის გამოინახება ადგილი.

37 წლის ჰოკეისტი შარშან გახდა თავისუფალი აგენტი და მას შემდეგ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება - გაგრძელოს აქტიური კარიერა თუ დაანებოს ჰოკეის თავი. გასულ სეზონში, სელიანემ 48 შაიბა გაიტანა და დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ "ანაჰაიმმა" პირველად თავისი არსებობის ისტორიაში სტენლის თასი მოიპოვა.

*"მან უკვე დაიწყო ვარჯიში და სავარაუდოდ, თავის საბოლოო გადაწყვეტილებას "ყველა ვარსკვლავის მატჩის" შემდეგ გამოაცხადებს"*, - განაცხადა ბრაიან ბურკმა.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის მსვლელობისას, მსგავი სიტუაცია იყო შექმნილი შარშანდელი სტენლის თასის საუკეთესო ჰოკეისტის, **სკოტ ნიდერმაიერის** გარშემო. საბოლოოდ, ამ მცველმა კარიერის განახლება გადაწყვიტა და ერთი თვის წინ შეუერთდა "ანაჰაიმს".

## იხვებმა სნუპის შვილები გაავარჯიშეს

"ოლ სტარის" უიქ ენდზე საინტერესო აქცია მოაწყვეს "ანაჰაიმ დაქსის" ჰოკეისტებმა. გუნდის კაპიტანმა, **კრის პრონგერმა, რაიან გეტცლაფმა** და **ჯორჯ პაროსმა** მასტერ-კლასი ჩაუტარეს ცნობილი ამერიკელი რეპერის, **სნუპ დოგის** შვილებს. ჰოკეისტები ბავშვებს ციგურებით სრიალსა და ყვანჯის ხმარებას ასწავლიდნენ.

ამასობაში კი, თავად სნუპ დოგი **უილი ო'რის** შეხვდა. ეს უკანასკნელი პირველი შავკანიანია ჰოკეისტია, ვინც NHL-ში მოსინჯა ძალები. ორი დღის წინ, ამ მოვლენიდან ზუსტად 50 წელი გავიდა.

ჭადრაკი

## ვეიკ ან ზეეს ტურნირი

**XI ტური:** ლევონ არონიანი (სომხეთი)-ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) 1:0; პაველ ელიანოვი (უკრაინა)-იუდით პოლგარი (უნგრეთი) 1:0; თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)-ბორის გელფანდი (ისრაელი) 1:0; ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)-მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) 1:0; ვასილი ივანჩუკი (უკრაინა)-მაიკლ ადამსი (ბრიტანეთი) 0.5:0:5; ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)-შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) 0.5:0:5; ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)-პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0.5:0:5.

**XII ტური:** კარლსენი-კრამნიკი 1:0; ელიანოვი-ტოპალოვი 1:0; პოლგარი-ადამსი 1:0; არონიანი-ანანდი 0.5:0:5; ანანდი-ვან ველი 0.5:0:5; მამედიაროვი-გელფანდი 0.5:0:5; რაჯაბოვი-ლეკო 0.5:0:5.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. კარლსენი, არონიანი - 7.5 ქულა; 2-4. ანანდი, რაჯაბოვი - 7; 5. ივანჩუკი - 6.5; 6-9. ადამსი, კრამნიკი, ლეკო, მამედიაროვი - 6; 10-11. ტოპალოვი, პოლგარი - 5.5; 12. ელიანოვი - 5; 13. ვან ველი - 4.5; 14. გელფანდი - 4.





მსოფლიო თასი

## სალივანის პირველი გამარჯვება

ამერიკელი **მარკო სალივანის** გამარჯვებით დასრულდა სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი, დაშვების ეტაპი, რომელსაც საფრანგეთის სამთო კურორტმა შამონიმ უმასპინძლა. ამგვარად, ამ სეზონში გამართულ დაშვების შვიდივე რბოლაში, კვარცხლბეკზე ამერიკელი მოთხილამურე ყოველთვის ახერხებს ასვლას.

ამ შვიდი რბოლიდან, ორი – ბორმიოსა (იტალია) და ვენგენში (შვეიცარია) ამერიკელმა **ბოდე მილერმა** მოიგო, ისვე კიცბუელში მეორეზე გავიდა. სალივანი კანადის ლეიკ ლუისში მეორე იყო, დანარჩენ ორ რბოლაში კი კვარცხლბეკზე ამერიკელთაგან **სტივენ ნიმანი** და **სკოტ მაკარტნი** ავიდნენ.

შამონიში მეორეზე გავიდა შვეიცარიელი **დიდიე კუშე**, ვინც სალივანს 0.11 წამით ჩამორჩა. მესამე შედეგი კი სლოვენიელ **ანდრეი იერმანს** ჰქონდა. ამ რბოლის შემდეგ, დაშვების კლასიფიკაციაში ლიდერობა შეინარჩუნა კუშემ. მისი უახლოესი მდევარი მილერი კი გამარჯვებულს 0.80 წამით ჩამორჩა და მეშვიდე ადგილს დასჯერდა. მხოლოდ მე-18 შედეგი ჰქონდა დაშვებაში მსოფლიოს ჩემპიონს, ავსტრიელ **მიხაელ ვალხჰოფერს**.

*"ეს ნამდვილი სიგიჟეა. ლეიკ ლუისის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ მოგება შემეძლო. ეს ტრასა ჩემს სტილს საუკეთესოდ მიესადაგება და მიხარია, რომ ბოლოსდაბოლოს, ამდენი ტრავმის შემდეგ, თავის გამოჩენის საშუალება მომეცა"*, - განაცხადა 27 წლის სალივანმა, ვისაც კარიერის განმავლობაში, კარგი შედეგების ჩვენებაში ხშირი ტრავმები უშლიდა ხელს.

კუშე, ვინც ჩქაროსნული დისციპლინების სპეციალისტი კია, მაგრამ დაშვებაში უფრო ტექნიკურ ტრასებს ანიჭებს უპირატესობას, თავისი მეორე ადგილით კმაყოფილი დარჩა.

*"ასეთ ტრასაზე ამაზე მეტის მიღწევა ალბათ შეუძლებელი იყო. თუ თასის მოგება გინდა, სტაბილური უნდა იყო და ამ მეორე ადგილით სწორედ სტაბილურობა შევინარჩუნე. რაც მთავარია, ჩემს კონკურენტებზე უკეთესი შედეგი ვაჩვენე"*, - ამბობს კუშე.

პარალელურად, გერმანიის ოფტერშვანგში ქალების გიგანტური სლალომის მორიგი ეტაპი ჩატარდა, რომელიც იტალიელი **დენიზე კარბონის** გამარჯვებით დასრულდა. ეს იტალიელი მოთხილამურის მიერ მიმდინარე სეზონის ექვს რბოლაში მოპოვებული მეხუთე გამარჯვებაა. აღსანიშნავია, რომ ოფტერშვანგში კარბონმა მარცხენა ხელზე მოტეხილი ცერით იასპარეზა.

პირველი ცდის შემდეგ კარბონს მეცხრე დრო ჰქონდა. სამაგიეროდ, მეორეზე საუკეთესო შედეგი დააფიქსირა და ორი ცდის ჯამში, 0.08 წამით აჯობა მეორეზე გასულ ავსტრიელ **ნიკოლ ჰოსპს**, ვისაც პირველი ცდის შემდეგ 1.09 წამით ჩამორჩებოდა.

ოფტერშვანგში დაკავებული მეორე ადგილით, ჰოსპმა აბსოლუტურ კლასიფიკაციაში ლიდერის პოზიცია განიმტკიცა. მეორეზე კი კვლავ ამერიკელი **ლინდსი ვონია**, ვინც გიგანტური სლალომი მეექვსე ადგილზე დაასრულა. აბსოლუტურში მესამეზე მყოფი გერმანელი **მარია რიში** მეორე ცდაზე დაეცა და ასპარეზობა უქულოდ დაასრულა.

*"ძალიან ვამაყობ, რომ ამ სეზონში, რბოლების შემდეგ იტალიის ჰიმნი ასე ხშირად ისმის და ეს ხშირად ჩემი დამსახურებაა. არადა, დღეს ძალიან გამიჭირდა მოგება. თუმცა, ამის მიზეზი ცერის მოტეხილობაა"*, - განაცხადა იტალიელმა, ვინც ცერის ტრავმა ვარჯიშის დროს მიიღო.

*"პირველი ცდა უშეცდომოდ შევასრულე, მაგრამ მეორეზე ორი სერიოზული შეცდომა მომივიდა, რამაც ბევრი დრო დამაკარგვინა. თუმცა, მეორე ადგილითაც კმაყოფილი ვარ, რადგან ამ სეზონში, გიგანტურ სლალომზე აქამდე ამაზე გაცილებით უარესი შედეგები მქონდა"*, - განაცხადა ჰოსპსმა, ვისაც აბსოლუტურში 839 ქულა დაუგროვდა.

გიგანტურ სლალომში მოპოვებული გამარჯვებით, კარბონმა აბსოლუტურში ორი საფეხურით წინ წაიწია, დისციპლინის კლასიფიკაციაში კი ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. აქ მას 560 ქულა აქვს და 181 ქულით უგებს მეორეზე მყოფ ავსტრიელ **ელიზაბეთ გიორგლს**, ვისაც აბსოლუტურში ერთი საფეხურით და 32 ქულით ჩამორჩება.

### შამონი (საფრანგეთი)
### კაცები. დაშვება

1. მარკო სალივანი (აშშ) 2:00.11; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 2:00.51; 3. ანდრეი იერმანი (სლოვენია) 2:00.57; 4. რაინერ შიონფელდერი (ავსტრია) 2:00.61; 5. მანუელ ოზბორნ-პარადიზი (კანადა) 2:00.73; 6. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 2:00.85; 7. ბოდე მილერი (აშშ) 2:00.91; 8. ამბროზი ჰოფმანი (შვეიცარია) 2:00.99; 8. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 2:00.99; 10. კლაუს კრიოლი (ავსტრია) 2:01.11...

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 892; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 874; 3. ბოდე მილერი (აშშ) 867; 4. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 636; 5. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 576; 6. ტედ ლიგეტი (აშშ) 567; 7. მანფრედ მიოლგი (იტალია) 518; 8. მარიო მატი (ავსტრია) 440; 9. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 415; 10. ანდრეი იერმანი (სლოვენია) 379...

### ოფტერშვანგი (გერმანია)
### ქალები. გიგანტური სლალომი

1. დენიზე კარბონი (იტალია) 2:22.26 (1:10.85, 1:11.41); 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 2:22.34 (1:09.76, 1:12.58); 3. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 2:22.35 (1:10.24, 1:12.11); 4. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 2:22.48 (1:10.49, 1:11.99); 5. მანუელა მიოლგი (იტალია) 2:22.54 (1:10.12, 1:12.42); 6. ლინდსი ვონი (აშშ) 2:22.84 (1:10.91, 1:11.93); 7. მარლის შილდი (ავსტრია) 2:22.97 (1:10.80, 1:12.17); 8. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 2:23.08 (1:11.39, 1:11.69); 9. კატრინ ჰიოლცლი (გერმანია) 2:23.11 (1:10.53, 1:12.58); 10. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 2:23.16 (1:11.04, 1:12.12)...

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 839; 2. ლინდსი ვონი (აშშ) 773; 3. მარია რიში (გერმანია) 713; 4. ჯულია მანკუზო (აშშ) 703; 5-6. მარლის შილდი (ავსტრია) 651; 5-6. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 651; 7. დენიზე კარბონი (იტალია) 619; 8. ანა პერსონი (შვედეთი) 616; 9. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 559; 10. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 411...


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უბულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი



ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონისტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX


გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა